

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
სოციალურ და კულტურულ ტრადიციათა პრობლემების სამეცნიერო
საკოორდინაციო ცენტრი

ტრადიცია და თანამედროვეობა, № 27

ვ. ელაშვილი

ფიზიკური აღზრდის ქართული ხალხური პედაგოგია



საბუნებისმეტყველების მეცნიერებათა

თბილისი

1989

წინათქმა

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ქართული ხალხური პედაგოგიკის საველე ეთნოგრაფიული მეთოდით შესწავლის შედეგს. გამოვლენილ იქნა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის არაერთი ხალხური ეროვნული სახეობა, რომელთა ნაწილს თამამად შეუძლია თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავოს ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის საბჭოურ სისტემაში.

კულტურა ფართო, ყოვლისმომცველი ცნებაა, იგი მოიცავს ეროვნული სულით გაჯღენტილ ძველსა და ახალს, ტრადიციულსა და თანამედროვე ელემენტებს. კულტურების მსგავსება დაფუძნებულია ფიზიკურისა და ინტელექტუალურის ფაქტორებზე, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია საზოგადოებაში გაბატონებულ იდეოლოგიაზე. ამიტომაც, რომ თანამედროვე სოციალისტურ ფიზიკურ კულტურაში ეროვნული ვლინდება ფორმაში, რამდენადაც მისი წყარო ხალხის ისტორიული და აღმზრდელობით გამოცდილებიდან მოედინება.

ამჟამად ბევრ ეროვნულ თავისებურებას არ დაუქარგავს თავისი მნიშვნელობა და ჩვენს ყოფაში დამკვიდრებულს, ფართოდ გაუღდამს ფესვები, ან მხოლოდ მენსიერებას შემორჩა. მაგალითად, ფიზიკურ კულტურასა და სპორტში გამოყენებულია ეროვნული საშუალებები, თუმც ხშირად სათანადო პედაგოგიური მეთვალყურეობისა და სპეციალური რეგლამენტაციის გარეშე. ხალხური საშუალებები (განსაკუთრებით პოპულარული ნაწილი) დიდი ხანია რაც ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების მუშაობის შინაარსში დამკვიდრდა და სწორად გამოყენების შემთხვევაში, სპორტის ადგილობრივი (ეროვნული) და თანამედროვე (საერთაშორისო) სახეობების შერწყმის კარგ მაგალითს იძლევა და წარმატებით წყვეტს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ამოცანებს.

მომქმე რესპუბლიკების, ოლქებისა და რაიონებისათვის ეს საკითხი დღესაც აქტუალურია, ისინი დაინტერესებული არიან ამ პრობლემათ, რადგან მის გადაწყვეტაზე ბევრადაა დამოკიდებული ფიზკულტურული მოძრაობის მასობრიობა, მოქალაქეთა, განსაკუთრებით სოფლის ახალგაზრდობის, ფიზიკურ კულტურასა და სპორტში თანდათანობით ჩაბმა.

დღეს ფართოდაა გაშლილი ახალი ადამიანის აღზრდის ეფექტური საშუალებების, ფორმებისა და მეთოდების ძიება, მიმდინარეობს ხალხის შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენა. ამაში ერთ-ერთი დიდი როლი მიეკუთვნება ხალხურ კულტურას, მის პედაგოგიკას.

შეიძლება თუ არა აღზრდის ახალი სისტემის აგებაში მემკვიდრეობა ერთ-ერთ ქმედით ელემენტად იქცეს? საკითხს ასე იმიტომ ვაყენებთ, რომ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობს აზრი, თითქოს თანამედროვე ფიზკულტურული მოძრაობა ისეთ მაღალ დონეზეა, რომ მას არ სჭირდება ხალხური საშუალებანი, რომ ისინი ანაქრონიზმს წარმოადგენენ. და ეს იმ დროს, როცა ჩვენ ფართოდ უნდა ვიყენებდეთ ხალხურ სიბრძნეს, მის პედაგოგიკურ მნიშვნელობას. ხალხური კულტურის მთელი ღირსება იმაშია, რომ იგი საუკუნეების განმავლობაშია შექმნილი, გამოწრთობილია ძნელბედობის ცეცხლში.

ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ქვემარტივად მისაღები ისაა, რომ ფიზიკური კულტურის საბჭოური სისტემა აუცილებლად ეროვნული ფორმითა და სოციალისტური შინაარსით უნდა ვითარდებოდეს.

ფიზიკური კულტურის ფორმისა და შინაარსის ანალიზი რელიეფურად გვიჩვენებს მისი ეროვნული და ინტერნაციონალური მხარეების მჭიდრო ურთიერთკავშირის დიალექტიკას, რომლებიც ზემოქმედებენ ერთმანეთზე და გადადიან ურთიერთში. ეროვნული თავის თავში შეიცავს ინტერნაციონალურს, როგორც თავის არსებით ნაწილს. განვითარების ტენდენციას. ინტერნაციონალური კი, საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური მოთხოვნების შესატყვისად, უშუალოდ ლებულობს ეროვნულ ელემენტებს, ანიჭებს მათ არსებით მნიშვნელობას, ე. ი. ხდის თავის ნაწილად.

ფიზიკური კულტურის ეროვნული ფორმა გამოიხატება იმით, რომ ის თავისი წარმოშობისა და განვითარების მიხედვით კონკრეტული ეროვნების კუთვნილებაა. მას შემდეგ, რაც იგი თავისი ქვეყნის გარეთ გავრცელდება, მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ერისათვის კვლავ ინარჩუნებს ეროვნულ ხასიათს, ხდება საერთაშორისო და ხშირად კლასიკურადაც კი იწოდება. ფიზიკური კულტურის ეროვნული ფორმა განსაზღვრულია მოცემული ერის საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარებით, მისი ყოფის თავისებურებით, ფსიქიკური წყობის განსაკუთრებულობით და ა. შ. კულტურის ყველა ელემენტი, მათ შორის ფიზიკური კულტურისა, ხასიათდება ეროვნულ-ეთნიკური ფორმით, რომლის შინაარსშიც ხორცშესხმულია ეროვნული ინტერესებისა და მიზნების შესატყვისი იდეალი.

სოციალისტური საზოგადოების პირობებში კულტურამ, შეინარჩუნა რა თავისი ეროვნული სპეციფიკა, შეიძინა ახალი, შესაფერისი შინაარსი. საბჭოთა ფიზიკური კულტურის სოციალისტურ შინაარსში იგულისხმება თანამედროვე კულტურისათვის უმეტესად დამახასიათებელი ნიშნებისა და მშრომელთა ფართო ფენებში მოცემული მისი ფორმების გავრცელება (გადატანა) ფიზიკურ კულტურაზე. იგი უაღრესად პროგრესული ხასიათისაა, აგებულია მეცნიერულ-მატერიალისტურ საფუძვლებზე და ხელს უწყობს ერთიანი მიზნის განხორციელებას — სოციალისტური საზოგადოების ყველა მოქალაქეს ამზადებს კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებულ მშენებლად, ხელს უწყობს ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას.

საბჭოური ფიზიკური კულტურის სოციალისტური შინაარსი დებულობს სხვადასხვა ფორმას, რაც გაშუალებულია კონკრეტული ხალხის ეროვნული ყოფით, ზნეობითა და ჩვეულებით, გამოხატავს მის ინტერესებს მთლიანობაში, გულისხმობს ეროვნული ფორმის სოციალისტურ შინაარსთან შესატყვისობას და ზრდის ადამიანებს სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. კულტურის სოციალისტურ და სხვაგვარ შინაარსს შორის განსხვავება განისაზღვრება აღზრდის მთელი პროცესის მიზნითა და მიმართულებით. აქედან გამომდინარეობს, რომ აღზრდის მოცემული საშუალებები შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა კულტურამ. ამის მიღწევა ხორციელდება ყოველი კულტურისათვის დამახასიათებელი საშუალებების გამოყენების მეთოდებით. მაგრამ ერთი და იგივე საშუალებებს სოციალური ფუნქცია პრინციპულად იცვლება საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცვლილებასთან ერთად და, მაშასადამე, განმსაზღვრელ ფაქტორად გვევლინება არა თვით საშუალება, არამედ იდეა და მიმართულება მისი გამოყენებისა. სხვაგვარად, შინაარსის ფუნქციის ცვალებადობის პროცესში, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაზე დამოკიდებულებით, იცვლება არა ამ საშუალებებით განვითარებულ თვისებები, არამედ მიზანი მათი გამოყენებისა.

ეს დებულება აშკარად დასტურდება ფიზიკური კულტურისა და სპორტის მაგალითზე, რამდენადაც იგი ზოგად კულტურასთან ისეთ-სავე მიმართებაშია, როგორშიც ნაწილი მთელთან და ახასიათებს ამ მთელის ნიშნები.

სოციალისტური წყობილების პირობებში ფიზიკური კულტურის ძირითადი დანიშნულებაა ფიზიკურად სრულყოფილი ადამიანის აღზრდა, რაც სულიერ სიმდიდრესა და კომუნისტურ ზნეობასთან ერთად ახდენს ახალი ადამიანის, თანამედროვე საზოგადოების მშენებლის ფორმირებას.

ქართული ჰიდრობის და მოძრავი თამაშების, როგორც კულტურის ელემენტების, მაგალითზე, შეიძლება კვალდაკვალ მივყვეთ ამ მსჯელობის სისწორეს და განვსაზღვროთ, თუ როგორ ვლინდება მისი ეროვნული ფორმა და შინაარსი. ქართული ჰიდრობის ეროვნული ფორმა სინთეზირებული სახით, შერწყმულად შეიცავს საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისათვის დამახასიათებელ ჰიდრობათა ელემენტებს. ამიტომ ის ასახავს ეროვნულ ხასიათში გამოვლენილ საქართველოს განვითარების საზოგადოებრივისტორიულ პირობებს. ის თავს იჩენს იმაშიც, რომ ლოკალურ ხასიათს ატარებს ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაში. მისი განვითარების პროცესში იქმნება ტრადიციული ილეთები, გამომუშავდება ჰიდრობის სტილი, რაც ხასიათდება თავისებური ტემპერამენტით განპირობებული „ფეთქებადი“ მოქმედებებით, სიმარჯვით, ძალითა და სისწრაფით. სწორედ ამან განსაზღვრა მისი ეროვნული თავისებურება.

ამრიგად, ვლავარაკობთ რა ქართულ ჰიდრობაზე როგორც კულტურის ელემენტზე, მასში ვგულისხმობთ, უპირველს ყოვლისა, ჰიდრობის ფუნქციონირების მთელ პროცესს და აგრეთვე იმასაც, რომ ილეთების უმეტესობა ქართული წარმოშობისაა, რომ ისინი გამოხატავენ არა მარტო შინაარსს, არამედ სტრუქტურასაც.

ჰიდრობის სოციალისტური შინაარსი ჩვენს საზოგადოებაში იმაში იჩენს თავს, რომ იგი მთელი ჩვენი ხალხის საზოგადოებრივ ინტერესებს ექვემდებარება, ხოლო მარეგლამენტირებელ ფაქტორად გვევლინება საბჭოური სპორტის ეთიკა, რომელიც კრძალავს უხეშობას, საშიში ილეთების გამოყენებას, შეურაცხყოფას და ა. შ. უფრო მეტიც, გამოდის რა სპორტული ჰიდრობის სხვა სახეობის სამახსურში, იგი ინტერნაციონალურ ფუნქციას ასრულებს, აფართოებს მის სოციალისტურ შინაარსს. ამგვარად, ჰიდრობა გახდა სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი, და მთელ საქართველოში პოვა გავრცელება, ხოლო მისი სპეციფიკური ხერხები დიდი წარმატებით გამოიყენება საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების წარმომადგენლების მიერ სპორტული ჰიდრობის საერთაშორისო სახეობებში (თავისუფალი, ძიუდო, კლასიკური). ამან უშუალო ზემოქმედება მოახდინა მის განვითარებაზე — გამდიდრდა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში შემორჩენილი ჰიდრობის ცალკეული ვარიანტებიდან შემოტანილი ელემენტებით (მაგალითად, სვანური ლიბურგიელი).

ეს ზოგადმეთოდოლოგიური დებულებები ეფუძნება სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ლენინურ გაგებას, როგორც ფორმით ეროვნულ და შინაარსით ინტერნაციონალურ კულტურათა დაახლოების მნიშვნელოვან პირობას, რაც ხასიათდება იდეური ერთობით, ხალხთა თანასწორუფლებიანობით, კულტურულ ღირებულებათა ურ-

თიერთპატივისცემით, მრავალეროვნულ კულტურულ კავშირთა განვითარებით, რასაც მიეყვარათ საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურების ურთიერთგამდიდრებისაკენ.

ჩვენს მრავალეროვნულ ქვეყანაში ხალხთა კულტურული მემკვიდრეობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის საყოველთაო ზრუნვის ობიექტია, რაც ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის შემოქმედებითი ასახვისა და გამოყენების ნიმუშია. ჩვენს სინამდვილეში ამ მემკვიდრეობის სწორი გამოყენება ადამიანებს ხელს უწყობს მოზარდი თაობის სულიერი და ფიზიკური აღზრდის საქმეში, საბოლოო ანგარიშით კი — აახლოებს სხვადასხვა ეროვნებათა კულტურას, არეგულირებს მათ ურთიერთობასა და გადააქცევს საყოველთაო საკაცობრიო კულტურად.

მოზარდი თაობის ცხოვრების მკაცრი პირობებისათვის, შრომისათვის მომზადების, გარედან ხელყოფისაგან დაცვის არსებითმა ობიექტურმა მოთხოვნებმა შექმნეს ხალხური ფიზიკური აღზრდის განვითარების წინაპირობა. ამ კულტურული მოვლენის განვითარება კი შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ აღზრდის კატეგორია გაფორმდა როგორც საზოგადოებრივი მოვლენა.

ამგვარად, ხალხური ფიზიკური აღზრდა თავს იჩენს ადამიანთა შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის მზადებაში. ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ სოციალურ-ეკონომიკური, კლიმატურ-გეოგრაფიული, ეთნიკური და ცხოვრების სხვა პირობები.

ფორმისა და ხასიათის მიხედვით თამაშები მარტივია, მაგრამ, ამასთან ერთად, კოლორიტულია, მიმზიდველი, საყოველთაოდ აღიარებული. ახასიათებს უშუალობა, სიხალისე და სიბრძნე. შეჯიბრება ტარდება ბუნებრივ პირობეში, ხელს უწყობს როგორც ჯანმრთელობის განმტკიცებას, ისე განმავითარებელ ზემოქმედებას, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ტრადიციების ფორმირებასა და სრულყოფას, გავლენას ახდენს საერთო კულტურაზე. სოციალისტური საზოგადოების განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ფიზკულტურასა და სპორტში მოსახლეობის მასობრივად ჩაბმის ამოცანას აყენებენ. ამ საკითხის გადაჭრის ერთ-ერთ გზად მიჩნეულია ფიზიკური აღზრდის ხალხურ საშუალებათა გამოყენება. „ეროვნული სახეობები ფიზიკური კულტურის საბჭოური სისტემის ორგანული ნაწილია და მშდ კომპლექსი, ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე, სათანადოდ უნდა შეიცვალოს და პასუხობდეს თითოეული ეროვნული რესპუბლიკის თავისებურებებს“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის

შემდგომ აღმავლობას და მის საერთო-სახალხო მოვლენად გადაქცევას.

მომხმე რესპუბლიკებისათვის და, მათ შორის, ჩვენი რესპუბლიკისათვისაც, დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საპროგრამო, პარტიულ-სახელმწიფოებრივი მითითებების ცხოვრებაში გატარებას. იგი უშუალოდ ეხება ხალხურ-ეროვნული საშუალებების გამოყენებას არა მარტო სპორტში, არამედ საერთო ფიზიკურ მომზადებაში და გამოიყენება აგრეთვე არსებული არსენალის გასამდიდრებლად, ახალი წყაროების გამოსაძებნად.

ცხოვრების თანამედროვე პირობებში გამოყენებულ ხალხურ საშუალებათა (ფიზიკური ვარჯიშები, მოძრაი თამაშები და სპორტი) ანალიზი გვიჩვენებს, რომ ძველი ტრადიციები მეტწილად სოფელ და ცენტრიდან დაშორებულ რაიონებშია შემონახული. ქალაქებში კი ურბანიზაციამ, მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა და, არსებითად, საერთაშორისო სახეობების დანერგვამ, ფაქტიურად, განდევნა ხალხურ-ეროვნული სახეობები. ამავდროს, გამოკვლევამ უჩვენა, რომ ჭერ კიდევ არაა მონახული გზა, რაც ამ სახეობათა ორგანულად შერწყმის საშუალებას მოგვცემდა. ჩვენ მიერ შემუშავებულ იქნა კონკრეტული გეგმა სპორტის ეროვნული და საერთაშორისო სახეობების ორგანულად ურთიერთდაკავშირების შესახებ, რათა მაქსიმალურად მიღწეული ყოფილიყო სპორტში ჩაბმა სოფლის მცხოვრებლებისა და მათი ოჯახების წევრებისა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობისა.

სპორტის საშუალებათა პრობლემა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ქვეყანაში გაშლილი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მასობრიობა მიმართულია საერთო-სახალხო მოვლენად გადაზრდისაკენ. მაგრამ ამას ხელს უშლის ბევრი მათგანის (საშუალებების) აბსტრაქტულობა, აგრეთვე მრავალეროვანი სახელმწიფოს ცალკეულ კონკრეტულ პირობებში მათი ნაკლებმრავალფეროვნება სოფლად, სადაც ადგილობრივ მოსახლეობაში უპირატესობა ეძლევა სპორტის „საკუთარ“, ადგილობრივ საშუალებებს, რომლებიც აღმოცენდნენ განსაზღვრულ კლიმატურ-გეოგრაფიულ, ეთნიკურ, კულტურულ და სხვ. პირობებში და საუკუნეთა ქარტეხილებს გაუძღეს. ამას არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ, რადგან იგი გავლენას ახდენს მასობრიობასა და ხალხის ფიზიკური მომზადების დონეზე. ამიტომ სპორტის ხალხურ-ეროვნული საშუალებების პერსპექტიულ განვითარებაში მოჩანს აღმზრდელობითი თვალსაზრისით სრულფასოვანი სახეობებით სპორტის შემავსებელი წყაროები. სპორტის საშუალებათა თანდათანობით გაფართოების ბუნებრივი პროცესის გათვალისწინების საფუძველზე გამოვლინდება ამ პროცესის მართვის აუცილებლობა სხვადასხვა დონეზე (რესპუბლიკურ, საკავშირო, საერთაშორისო).

კვლევის პროცესში გამოვლენილი ამ პრობლემის ერთ-ერთი ასპექტია ფიზიკური აღზრდის ხალხური პედაგოგიკა, როგორც ერთიანი სისტემის პროდუქტი. ისტორიაში დადასტურებულია საზოგადოებრივი განვითარების ადრეულ ფორმებში აღზრდის კოლექტიური ხასიათი, რაც ხორციელდებოდა უფროსი თაობის წარმომადგენლების მიერ და დამოკიდებული იყო შრომის პირობებისა და გონებრივი მონაცემების თავისებურებაზე. უფროსი თაობა ანსახიერებდა ახალგაზრდობის მომამზადებელ გარკვეულ ინსტიტუტს. ეს ინსტიტუტი აღმოცენდა ხალხური პედაგოგიკის იმ საფეხურზე, როცა ამოცანები, საშუალებები, მოსალოდნელი შედეგები და აგრეთვე, შესატყვისი ნორმატივები, ერთიანი სისტემის სახით ჩამოყალიბდა და პასუხობდა სათანადო მოთხოვნებს. იგი ფუნქციონირებას იწყებდა ოჯახურ პირობებში და იცავდა რა განსაზღვრულ ასაკობრივ ეტაპობრიობას, მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდებოდა თემში.

ობიექტურ მონაცემებზე დაყრდნობით, ჩვენ ფიზიკური აღზრდის ხალხურ პედაგოგიკას განვიხილავთ როგორც აღზრდის პროცესის ერთიანი კომპლექსისათვის ხელშემწყობ ერთ-ერთ საშუალებას. მკვლევართა დიდი უმრავლესობა აღიარებს, რომ ხალხური პედაგოგიკა ქმედითი სტიმულის როლს ასრულებდა აღმზრდელობითი ეფექტის გაძლიერებაში, კერძოდ, ეს ითქმის სასწავლო პროცესისა და მით უმეტეს ფიზიკური აღზრდის შესახებ. ამასთან, სწორი ორგანიზაციის პირობეში, იგი ხელს უწყობს მოვარჯიშეთა ზნეობრივ-ესთეტიკური აღზრდის ამაღლებას.

ხალხური პედაგოგიკის პროგრესული ელემენტების ფიზიკურ აღზრდაში გამოყენება ახალი ამბავი არაა. მართალია, იგი რთულია, მაგრამ მნიშვნელოვანია და იმსახურებს ყურადღებას. ამავე დროს, სიფრთხილის დაცვა გვმართებს, რათა ფიზიკური აღზრდის ხალხურ საშუალებათა და მეთოდის არც გაზვიადება და არც შეუფასებლობა გამოგვივიდეს.

სოციალისტური საზოგადოების პირობებში სპორტის არსენალის გამდიდრება უნდა ხდებოდეს, ძირითადად, სპორტის ხალხურ-ეროვნული სახეობების ხარჯზე. ამ მხრივ ამჟამად მსოფლიოში მკვეთრად განირჩევა ორი ტენდენცია: ერთი, უთუოდ პროგრესული, რომელიც თავის საწყისებს ეროვნული სახეობებიდან იღებს (ძიუდო, მშვილდოსნობა და სხვ.), მეორე — უარყოფითი, რომლის საფუძველშიც ქვემარტივი სპორტისაგან შორსმდგომი მიზნები ძევს (კომერციული, მილიტარისტული და სხვა ინტერესები). ამ უკანასკნელმა მიგვიყვანა მსოფლიოში სპორტის საშუალებათა ცვალებადობისა და შემდგომი ზრდის მიზანმიმართული მართვის აუცილებლობამდე, რათა ეს ზრდა ოლიმპიური იდეალების შესატყვისი ყოფილიყო.

სპორტის სახეობათა ევოლუციის პროცესი დინამიკურია და მუდამ იცვლება (ახალი აღმოცენდება, ძველი კვდება), რაც საერთაშორისო, და მათ შორის ოლიმპიური სპორტის, ერთ-ერთი პრობლემაა. ამასთან დაკავშირებით, შემთხვევით როდი შეიქმნა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან ოლიმპიური თამაშების პროგრამის შემქმნელი სპეციალური კომისია, რომლის ფუნქციაში შედიხა გრძელვადიანი გეგმის შემუშავება ახლანდელი ოლიმპიური პროგრამის გადასინჯვით, მასში ახალი სახეობების ჩართვისა და ძველი, არაპოპულარული, არასრულფასოვანი სახეობების ამოღების მიზნით. ამ კომისიამ უკვე შეიმუშავა სახეობების შერჩევის გარკვეული პრინციპები. ისინი ძირითადად პროგრესული ხასიათისაა, მაგრამ ამასთან ისმის კითხვა, მუდამ ურყევად უნდა ვიდგეთ იმ თვალსაზრისზე, რომ თითქოსდა სპორტული შეჯიბრებების პროგრამა უნდა გადახალისდეს მხოლოდ იმ სახეობების ხარჯზე, რომლებმაც „ფართო გამოყენება და პოპულარობა მოიპოვეს მთელ მსოფლიოში“? მსოფლიოში ფართოდ გავრცელება და პოპულარობა როდია შერჩევისათვის საკმარისი კრიტერიუმი. სპორტის (ფიზიკური ვარჯიშების, მოძრაობის თამაშების) მრავალი სახეობა ზემოხსენებული ორი ნიშნით ხასიათდება მაგრამ ითვლება, რომ ეთიკური მოსაზრებით არ არის საზოგადოებისათვის პროგრესული და სასარგებლო. სულ სხვა საქმეა, როცა პოპულარობა და ფართოდ გავრცელებულობა დაკავშირებულია პედაგოგიურ მოთხოვნებთან (ე. ი. პედაგოგიურად მნიშვნელოვანია), ეთიკურ ღირებულებასთან და დადებით ემოციებთან.

საკმაო რაოდენობითაა იმის მაგალითები, რომ ლოკალურად გავრცელებული სპორტის ხალხური სახეობა თანდათანობით აღიარებას პოულობს და ფართოდ ვრცელდება. სწორედ ასეთი ბედი ეწია ძიუდოს. დღეს ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, რომ ნელა, მაგრამ დაბეჭითებით ფართოვდება ბალახის ხოკეის გეოგრაფია... მაშასადამე, აუცილებელია გაბედულად გამოვიტანოთ საერთაშორისო სარბიელზე სპორტის ის ხალხური სახეობები, რომლებმაც თავიანთი პედაგოგიური ფასეულობით დაიმსახურეს საყოველთაო პოპულარობა.

ამრიგად, ფიზიკური აღზრდისა და, მათ შორის სპორტის ხალხურ-ეროვნული, საშუალებების გამოყენებას საერთაშორისო მნიშვნელობაც აქვს. მათი სწორად გამოყენება იმის ნიმუშად გამოდგება. თუ როგორ უნდა შევეუთავსოთ სპორტის საერთაშორისო სახეობები ეროვნულ სახეობებს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ორგანიზაციის დროს. იგი ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის დაახლოებასა და შემკიდროებას, მათი ურთიერთობის განმტკიცებას, კულტურის ბევრი ელემენტის შერწყმას. ეს კი გზაა ფიზიკური კულტურის ინტერნაციონალიზაციისაკენ. ადგილობრივ ფიზიკურ კულტურასთან

ნაცნობობა მას უბიძგებს იმის აუცილებლობისაკენ, რომ კულტურის ამ ელემენტს თავის ქვეყანაში მიაქციოს ყურადღება (რესპუბლიკაში, ოლქში, რაიონსა და ა. შ.), რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს თეორიული და პრაქტიკული მუშაობის გაშლას, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პრაქტიკაში ორიგინალური სახეობების დანერგვას.

ზოგადისტორიული და პედაგოგიური კვლევა გრძელდება, საზღვარი ფართოვდება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მიუხედავად სიძნელებისა, პრობლემები გადაიჭრება. მის განსახორციელებლად არ შეიძლება არსებობდეს სხვა ალტერნატივა გარდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის, როგორც საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოვლენის, დიალექტიკური განვითარებისა.

ვიდრე დაწერილებით გავეცნობოდეთ ხალხურ პედაგოგიკას, მის თეორიულ და პრაქტიკულ მხარეს, ჩასახვისა და განვითარების გზებს, საჭიროა მოკლედ შევეხოთ ფიზიკური აღზრდის ძირითად საშუალებებს.

ფიზიკური აღზრდის ძირითადი საშუალებები

ყოველმა ხალხმა, თავისი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესაბამისად, გამოიმუშავე ფიზიკური ვარჯიშებისა და მოძრავი თამაშების მრავალსახეობა. დროთა განმავლობაში ისინი გაერთიანდნენ ფიზიკური აღზრდის საშუალებათა სისტემაში (რიტაქ) ხალხური კულტურის განუყოფელ ნაწილად იქცნენ. სწორედ ფიზიკური აღზრდის ხალხური საშუალებები გამოხატავენ ხალხის მისწრაფებას — აღზარდოს მომავალი თაობა როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქიკურად ძლიერი, თავისი ეპოქის იდეებისათვის თავდადებულად.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალებათა პრობლემა დღეისათვის, სამწუხაროდ, არც თეორიულად და არც პრაქტიკულად, ბოლომდე არ არის შეცნირულად გადაწყვეტილი, თუმც მათი სწორედ კონკრეტულად გამოყენების ყველა პირობა დიდი ხანია რაც არსებობს.

ცნობილა, რომ ადამიანის საქმიანობის ყოველ დარგში, როგორც წესი, გამოიყენება საერთო და მხოლოდ მისთვის სპეციფიკური საშუალებები. აქედან დასკვნა: ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში, როგორც ერთ-ერთი საშუალება, გამოიყენება როგორც ზოგადპედაგოგიური, ისე სპეციფიკური ფიზიკური აღზრდის საშუალებანი (სამწუხაროდ, დღეისათვის არ არსებობს ერთიანი აზრი ფიზიკური აღზრდის საშუალებათა რაობაზე. „ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდის სახელმძღვანელოში“ (გამომცემლობა, „განათლება“, ტომი I, გვ. 77) ფიზიკური აღზრდის საშუალებებში იგულისხმება მხოლოდ ფიზიკური ვარჯიშები, როგორც „ფიზიკური აღზრდის ძირითადი სპეციფიკური საშუალებანი“. ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდის დამხმარე სახელმძღვანელოშიც (გამომცემლობა „პროსვეშენიე“, 1979 წ.) ფიზიკური აღზრდის ძირითად სპეციფიკურ საშუალებად მიჩნეულია ფიზიკური ვარჯიშები (გვ. 41). ამასთანავე, ამ დარგის სპეციალისტთა უმრავლესობა თვლის, რომ ფიზიკური ვარჯიშები პრაქტიკულ მეცადინეობებში ვლინდებიან თამაშის, ტანვარჯიშის, სპორტისა და ტურიზმის სახით.

იმისათვის, რომ ეს საკითხი მეცნიერულ დონეზე გადაწყდეს, უნდა გავითვალისწინოთ ორი გარემოება: პირველი — ფიზიკური აღ-

ზრდის საშუალებათა ჩამოყალიბების ძირითადი ეტაპები, მეორე — აღზრდის საშუალებანი შევეფუარდით თვით აღზრდის ამოცანებს.

ეს საკითხი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რადგან ფიზიკური აღზრდის მეთოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხთა რიცხვს სწორედ აღზრდის საშუალებათა პრობლემა წარმოადგენს. მაგრამ პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ ამ ბოლო დროს მეცადინეობებზე გამოყენებულ საშუალებათა რიცხვი მეტად შეიზღუდა და სტანდარტულად ორგანიზებულ მეცადინეობებზე გადაიქცა.

საქმე იმაშია, რომ ფიზიკური აღზრდის ძირითად საშუალებებზე დღეისათვის აღიარებულია მხოლოდ ფიზიკური ვარჯიშები. ამასთან თვლიან, თითქოს ისინი მეცადინეობებში ვლინდებიან თამაშის, ტანვარჯიშის, სპორტისა და სხვ. სახით. ამდენად, ტანვარჯიშს, თამაშსა და სპორტსაც კი, თვლიან ფიზიკურ ვარჯიშად. ეს მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1925 წლის 13 ივლისის დადგენილებაში მითითებულია: „ფიზიკური კულტურა არ უნდა იზღუდებოდეს მხოლოდ ფიზიკური ვარჯიშებით ტანვარჯიშის, თამაშების, სპორტისა და სხვათა სახით“. ეს მეთოდოლოგიური დებულება საფუძვლად დაედო საშუალებათა სპეციალური ჯგუფის (ფიზიკური ვარჯიშები, სამყაროს ბუნებრივი ფაქტორები, ჰიგიენური პირობები და შრომისა და დასვენების სწორი რეჟიმი) სწორ გაგებას. მაშ, რაშიდენად მართებულია, როცა ფიზიკური აღზრდის ძირითად სპეციფიკურ საშუალებად მხოლოდ „ფიზიკურ ვარჯიშებს“ თვლიან. მართალია, ფიზიკური ვარჯიშები ვლინდებიან ტანვარჯიშსა და სპორტში მეცადინეობისას, მაგრამ ამას თამაშის მიმართ ვერ ვიტყვით, რადგან ფიზიკური ვარჯიშები, როგორც აღამიანთა მოძრაობითი მოქმედებანი, სპეციალურად შეირჩევიან და დოზირებულად გამოიყენებიან. თამაშში გამოყენებულ მოძრაობით მოქმედებათა ერთგვარ ჯამზე კი ამას ვერ ვიტყვით.

მთავარი აქ მაინც ისაა, რომ თამაშში პრინციპში განსხვავდება ფიზიკური ვარჯიშისაგან. განსხვავდება თუნდაც იმით, რომ ფიზიკური ვარჯიშები ეს არის მოქმედება, თამაშში კი (მოძრაევი) ქცევა. ამიტომ იგი ითვლება ბავშვთა ასაკში ფიზიკური აღზრდის ძირითად საშუალებად და არა ფიზიკური ვარჯიში, რასაც აგრეთვე პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. გარდა იმისა, რომ პედაგოგიკაში ცნობილია ეს დებულება, ბავშვები თვითონაც თვლიან სწავლების ამ (თამაშის) ფორმას მათთვის ერთადერთ მისაღებ ფორმად. ბავშვებისათვის ძნელია მრავალჯერ შეასრულონ გარემოსაგან მოწყვეტილი, ფაქტიურად, აბსტრაქტული ხასიათის ცალკეული მოქმედებანი, იმ დროს, როცა თამაშში თვითონვე ერკვევიან როგორ მოიქცნენ, როგორ გაართვან თავი რთულ, ცვალებად გარემოებას.

აქედან გამომდინარე, ფიზიკური აღზრდის ძირითად და სპეცი-
ფიკურ საშუალებებად, ფიზიკურ ვარჯიშთან ერთად, აღიარებულ
უნდა იქნენ მოძრავი თამაშებიც. რაც შეეხება ტანვარჯიშს, სპორტს,
ტურიზმს, ისინი, ასე თუ ისე, უფრო მეცადინეობათა ფორმებია.

როგორც ცნობილია, საზოგადოების განვითარების ადრეულ სა-
ფეხურზე, სახელდობრ, გვაროვნულ წყობილებამდე, საერთოდ, აღ-
ზრდისა და კერძოდ, ფიზიკური აღზრდის ძირითად საშუალებას თვით
შრომის პროცესი წარმოადგენდა. იმისათვის, რომ გავერკვეთ ამ,
არცთუ ისე იოლ, საკითხში, პირველ რიგში უნდა გავიხსენოთ ზო-
გიერთი მნიშვნელოვანი ფაქტი ისტორიიდან. საზოგადოების განვითარების
ადრეულ პერიოდში, ანუ პირველყოფილ საზოგადოებაში,
ფიზიკური აღზრდის საშუალებებად თავდაპირველად გამოიყენებოდა
შრომისადმი მიმბაძველობით მოქმედებათა ერთგვარი ჯამი. რაც ფაქ-
ტიურად შემსრულებელთა ქცევას წარმოადგენს; მაგალითად, სხვა-
დასხვა ხასიათის ნახევრად პირობითი ორთაბრძოლები, როდესაც ისინი
ჯერ კიდევ არ იყვნენ მთლიანად საბრძოლო მოქმედებებიდან გა-
მოყოფილი და ფაქტიურად, თამაშის ფორმაში ტარდებოდა. ე. ი.
ყველაფერი ისე სრულდებოდა, როგორც ამას შექმნილი კონკრეტულ-
ლი პირობები კარნახობდა. ეს კი უკვე თამაშია (და არა ფიზიკური
ვარჯიში). ეს ის დროა, როცა აღზრდა ჯერ არ არის აგებული ცალ-
კეულ, უკვე აბსტრაქტულ მოძრაობათა მოქმედებებზე მრავალჯერ გა-
მეორებაზე. ეთნოგრაფიული მასალა გვაჩვენებს, რომ აღზრდა, ადრე-
არსებული ხალხური წესით, არ ითვალისწინებდა ადამიანის ცალკე,
ვთქვათ, ნებელობითი და ფიზიკური თვისებების განვითარება-სრულ-
ყოფას. მაშინდელი საზოგადოება მოითხოვდა, რომ მის თითოეულ
წევრს შეძლებოდა რაიმე არა აბსტრაქტული, არამედ კომპლექსური
ხასიათის მოქმედებათა ჯამით შესრულება, რომელიც წარმატებით გა-
დაწყვეტდა საზოგადოების მიერ დასმულ ამოცანას (დაეწიოს და
შეებრძოლოს მტერს, დააშოშმინოს მოჩხუბრები და ა. შ.). საზოგა-
დოების განვითარებასთან ერთად ადამიანის მოქმედების ზოგიერთ
სახეს, რომელთა ნაწილი უკვე ფიზიკური აღზრდის ჩამოყალიბებულ
საშუალებებს წარმოადგენდა, სულ უფრო ხშირად იყენებდნენ, სულ
უფრო მეტად იქცეოდნენ ისინი განსაკუთრებული ყურადღების საგ-
ნად. ამან გამოიწვია შეფასების კრიტერიუმების წარმოქმნა და მათი
თანდათან გართულება. ადამიანთა შეჭიბრების ელემენტები თანდა-
თან იქცნენ გვარების, მთელი ტომებისა და ტომთაშორის ასპარეზო-
ბის ფორმად. ეს პროცესი, რომელიც ფიზიკური აღზრდის ბევრ სა-
ხეს შეეხო, სულ უფრო რთულდებოდა და ფაქტიურად, სპორტის ჩა-
მოყალიბების პროცესად იქცა. ამა თუ იმ სახეობათა გავრცელების
არის გაფართოებასთან ერთად ეს მოთხოვნებიც თანდათან გავრცელ-

და და მიუახლოვდა ყველა მონაწილისთვის საერთო ნორმებს, რის შედეგადაც სპორტად ჩამოყალიბდა. ამგვარად, სპორტი, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, ფიზიკურ აღზრდაზე გაცილებით გვიან მივიღეთ.

სპორტის ფორმირება მოხდა ფიზიკური ვარჯიშებისა და მოძრაობის თამაშების შერჩევის პროცესში, რომლებმაც საასპარეზო ფორმების გამოყენების შედეგად ფართო გავრცელება და საერთო აღიარება პოვეს, როგორც პრაქტიკულად გააზრებულმა აღმზრდელობითმა საშუალებებმა.

ამ დროიდან სპორტი კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტად, საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად იქცა.

კონკრეტულ-ისტორიული გარემოს თავისებურებანი, ბუნებრივია, თავის გავლენას ახდენს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალებების ჩამოყალიბებაზე. ეს მათ ანიჭებს კულტურული ტრადიციის ხასიათს, აქცევს მათ ხალხური, მეტე კი ეროვნული კულტურის ერთ-ერთ ელემენტად. მათი ნაწილი მათივე შექმნილი ხალხის ეროვნული კულტურის სახედ იქცევა. ამასთან, სპორტის უფრო მნიშვნელოვანი სახეობები, ხალხთა ურთიერთობის გაღრმავების პირობებში, სცილდება ეროვნულ ჩარჩოებს და თანდათან საერთაშორისო მნიშვნელობას იძენს.

თამაში მკვეთრად განსხვავდება ფიზიკური ვარჯიშისაგან. ვიმეორებთ, ფიზიკური ვარჯიში მოქმედებაა, ხოლო თამაში — ადამიანის ქცევის ერთ-ერთი, საკმაოდ მნიშვნელოვანი ფორმა. ვარჯიშის სწავლებისას ორივე მხარე (მასწავლებელი და მოსწავლე) ცდილობს როგორმე უკეთესად აითვისოს ესა თუ ის კონკრეტული მოძრაობა და შესრულების ხარისხით როგორმე მიუახლოვდნენ მასწავლებლის მიერ ახსნილ და ნაჩვენებ ვარჯიშს. თამაშის შესწავლისას — სრულიად სხვა ხასიათის პედაგოგიკურ პროცესს აქვს ადგილი. თამაშისათვის დამახასიათებელია სიტუაციის მუდმივი ცვლა, ამასთან, მოთამაშის მომზადება ვარჯიშის სწავლებისაგან სრულიად განსხვავებულად ხდება, აქ მთავარი ის კი არ არის როგორ შესრულდება ესა თუ ის მოქმედება, არამედ როგორ მოიქცევა თითოეული მოთამაშე ამა თუ იმ სიტუაციაში, ე. ი. როგორ დამოუკიდებლად გადაწყვეტს თავის ქცევას ისე, რომ ხელი შეუწყოს თამაშში თავისი გუნდის (თუ გუნდურია იგი) წარმატებას. ეს პედაგოგიური საქმიანობის ერთ-ერთი ურთულესი ამოცანაა.

ფიზიკური აღზრდის ახალ სასკოლო პროგრამაში (1985 წ.) მერვე კლასიდან რატომღაც ამოღებულია მოძრაობის თამაშები. ჩვენი აზრით, ასეთი ნაბიჯი მცდარია. მოძრაობის თამაშები მხოლოდ სპორტულ თამა-

შებს კი არ ემსახურებიან, არამედ ისინი აღზრდის დამოუკიდებელი საშუალებებია და მათი დანიშნულება მარტო სასკოლო ასაკით და უშუალოდ სპორტის ინტერესებით არ ამოიწურება. მოძრავ თამაშებს ფიზიკური კულტურის საბჭოურ სისტემაში უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში და საერთოდ, მასობრივ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში. აქედან დასკვნა: ფიზიკური აღზრდის ხალხური საშუალებანი — ფიზიკური ვარჯიშები და მოძრავი თამაშები — არ შეიძლება ჩაითვალოს მოძველებულ, პრიმიტიულ, მით უმეტეს, დრომოკმულად და ამდენად, თითქოს არც ღირს საკითხის დასმა მათ შემდგომ გამოვლენასა და შესწავლაზე.

ცნობილია, რომ ხალხური ფიზიკური ვარჯიშებისა და მოძრავი თამაშების სახეობები, რომლებიც თავისი განვითარების პროცესში სხვაზე მეტად დაიხვეწა და გასცდა ეროვნულ ჩარჩოებს, გადაიქცნენ საერთაშორისო სახეობებად. ამიტომაც, რომ ხალხურ-ეროვნული ფიზიკური ვარჯიშები და თამაშები ფიზიკური აღზრდის თანამედროვე პრაქტიკის გამდიდრებისა და სრულყოფის ამოუშრობი წყაროა. სწორედ აქ უნდა ვეძებოთ სპორტის ახალი სახეობები. ჩვენ, ისე როგორც სხვა ხალხებს, გვაქვს ფიზიკური ვარჯიშებისა და მოძრავი თამაშების საკუთარი, საკმაოდ განვითარებული ფორმები.

ქართველი ხალხის მიერ დროთა ვითარებაში შექმნილმა ფიზიკური კულტურის დადებითმა ტრადიციებმა ისინი ჩამოაყალიბა და გამოსცადა, დააზუსტა და სრულყო, მისი საუკეთესო ნიმუშები კი შემოქმედებითად განაზოგადა თანამედროვე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალებებში.

თანამედროვე სოციალისტური კულტურა, საერთოდ და კერძოდ, ფიზიკური კულტურა, შემოქმედებითად უნდა იყენებდეს ხალხის მიერ შექმნილ დადებით ტრადიციებს. ზოგი ხალხური საშუალება ისპობა და ახალი წარმოიქმნება, რომელიც უკეთ პასუხობს ახალი ცხოვრების ფორმებს. მათ შორის პროგრესულად უნდა ჩაითვალოს ხალხური სპორტის ის სახეობა, რომელმაც შემოინახა კეთილისმყოფელი ნიადაგი მასობრივი განვითარებისათვის.

ქართული ჰიდაობა

ქართული ჰიდაობა თავდაპირველად, ალბათ, საბრძოლო ჰიდაობა იყო. დროთა განმავლობაში შეჯიბრებაში გადაიზარდა. სწორედ აქედან დაიწყო მისი, როგორც ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი დამოუკიდებელი სახეობის, ჩამოყალიბება. ხოლო როდესაც ფიზიკური აღზრდა გამოეყო საერთო აღზრდას და შედარებით დამოუკიდებელ დარგად იქცა, ჰიდაობა ზუსტად დადგენილი ტექნიკით, შემოქმედებითი ტაქტიკითა

და შეჯიბრების ჩატარების ერთიანი წესებით საბოლოოდ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალება გახდა.

თავის დროზე ქართულ ჭიდაობაზე ბევრი დაიწერა ჩვენს პრესაში, კამათი იყო ამ საინტერესო სახეობის ყველა დეტალზე. შეჯიბრების წესებზე, წონით კატეგორიებზე, სარბიელის ზომებზე, მისი მასობრიობის აუცილებლობაზე და სხვ. მაგრამ, სამწუხაროდ, ქართული ჭიდაობის განვითარების მოამაგეებს დღემდე არ მოჰგონებიათ მისი ტექნიკური არსენალის გაზრდა. უამთა სვლამ თავისი გაიტანა. ქართულმა ჭიდაობამ ცვლილებები განიცადა, თანამედროვე ელემენტებით შეივსო. მაგრამ იგი ძირითადად შეეხო ჭიდაობის წესებს, ტექნიკას კი — არა. საჭიროა ქართული ჭიდაობის შემდგომ განვითარებაზე, ილეთების დახვეწაზე, წესების დაზუსტებაზე ზრუნვა. ყოველივე ეს ისე უნდა გაკეთდეს, რომ მან თავისი ეროვნული იერი არ დაკარგოს. ამიტომ ახლა მწვავედ დადგა ამ შესანიშნავი ჭიდაობის არსენალის კიდევ უფრო გაზრდის საკითხი. იგი უნდა შეივსოს ახალი ილეთებით. მაგრამ საიდან მოვიტანოთ ეს ილეთები? ქართული ჭიდაობის გარდა განა გვაქვს კიდევ ჭიდაობის სახეობა, საიდანაც შეგვიძლია ილეთების სესხება? რასაკვირველია, გვაქვს. რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით მთიანეთში, შემონახულია ჭიდაობის ვარიანტები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ ვიფიქროთ, რომ დღევანდელი ქართული ჭიდაობა მისი სინთეზი და განვითარების საფეხურია. თუ ეს ასეა, მაშინ ამ ვარიანტებს შემონახული ექნებათ სხვადასხვა ილეთები, რომელთა შესწავლა-დამუშავებამ შეიძლება კარგი შედეგი მოგვცეს. მაგალითად, სვანური ჭიდაობა „ლიბურგიელ“ თავისი ორგანიზაციით, ნაწილობრივ, ფანდებითა და შებმის დაწყების თავისებური წესებით ქართული ჭიდაობის გარკვეულ სახესხეობას წარმოადგენს. „ლიბურგიელ“ იმართება სხვადასხვა დღესასწაულებზე და თავისუფალ დროს სპეციალურად მოწყობილ თავშესაფარ ადგილებში ან სოფლის ცალკეულ უბანში. სვანეთში არის ჭიდაობის ერთი სხვა სახესხეობა — „ლიბუნძვალ“, რაც მასობრივ, გუნდურ ჭიდაობას ნიშნავს. აქ სოფლის ცალკეული უბნები ხვდებიან ერთმანეთს, წყვილები განსაზღვრული არაა.

ძალზე საყურადღებოა ხევსურული ჭიდაობაც, რომელიც, „ლიბურგიელ“-ისაგან განსხვავებით, მშვიდობიანად არ თავდება — ფალანგებს შორის შულლი ჩამოვარდება ხოლმე. ხევსურულ ჭიდაობაში „მოშ და მოშ“ (მკლავ და მკლავ) ფეხს არ ხმარობენ, ამიტომ მოკიდევებს არც ქამარი სჭირდებათ ხელის ჩასაყვებად. ჭიდაობის მეორე სახეობა, რომელიც აქ ტარდება, არის „მუქასრისა ხელის ჩავლებით“. აქ კი ფეხებითაც მოქმედებენ და მშვენივრად იყენებენ „ხრინ-

კას“ (ვიდაობის ფანდს ხევესურეთში ძველად ასე უწოდებდნენ) ანუ სარმას.

ქართული ვიდაობის საინტერესო ვარიანტია დამოწმებული რა-ჭაშიც. მას „ლოჯურ ვიდაობას“ უწოდებენ. იგი ქართული ვიდაობისა-გან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ყველა ფანდი ლოჯური ჩაქი-დებით იწყება.

აღსანიშნავია, რომ „ლობურგიელ“, ხევესურული და რაჭული ვა-რიანტები ვიდაობის ადრინდელი სახეობებია. ისინი ძალისმიერი, ხერ-ხებით ხასიათდებიან. ქართული ვიდაობა კი განვითარებული ეტაპია, შექამებული და ტექნიკურად დახვეწილი. ყოველივე ამის მიუხედავად, როგორც სვანეთში, ისე ხევესურულ და რაჭულ ვიდაობაში, შეიძლე-ბა მოიძებნოს ისეთი ფანდები, რომლებიც სათანადო დამუშავებისა და დახვეწის შემდეგ, ქართული ვიდაობის ტექნიკურ არსენალს გაამ-დიდრებს.

დღეს უცხოეთის სპორტსმენები კარგად ხმარობენ ქართულ მო-გვერდს, კისრულს, შიგა და გარე სარმებს, შუაჯაურს და გარეჯაურს... ყველა მათგანს შესატყვისი ტერმინები მოუძებნია და ბევრმა არც კი იცის, რომ ისინი ქართული ვიდაობის ფანდებია. იქნებ, ერთი რამის გაკეთება მაინც შეძლონ ჩვენმა ვიდაობის სპეციალისტებმა, ეს საქმე ვიდაობის ფედერაციამ უნდა ითავოს — ვიდაობის ფანდებს ქართუ-ლი შესატყვისი ტერმინები შეუნარჩუნონ. ხომ ვიდაობენ რუსები, სომხები, უკრაინელები და სხვა ხალხები იაპონურ ძიუდოს და ყველა შათ ფანდს და არა მარტო ფანდს, ქულასა და სარბიელსაც კი იაპო-ნურ სახელებს უწოდებენ. მაშ, რა დააშავა „შუაჯაური“? დე, ყველ-გან, სადაც ამ ფანდს იხმარენ, ნუ დაარქმევენ ხელოვნურად შეკოწი-წებულ სახელს, ნუ თარგმნიან მას, უწოდონ „შუაჯაური“...

აუროთაობა

ქართულ მოძრავ თამაშობათა შორის ბურთაობა ერთ-ერთი უძვე-ლესი სახეობის ზოგადი სახელწოდებაა. მოძრავ თამაშთა ამ სახეობაში გაერთიანებულია ლელო, ცხენბურთი, გაკვრატურთი, ლორობია, გაქ-ცევი-ბურთაობა, ხელბურთი, საყვებურთი, შენლაბურთი, ბინაბურთი, ბურთი კალათში, ბურთი შეჭობრში, წრებურთი და ხაზბურთი.

ერთ-ერთი ადრინდელი ცნობა ბურთაობის შესახებ დაცულია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ და მომდევნო წერილობით წყაროებში. ქართული ბურთაობა ასახულია თანამედროვე მწერალ-თა, მხატვრების მიერ შექმნილ ნაწარმოებში და ქედურ ხელოვნება-ში. ამასთანავე, არის ბურთაობის ერთი კონკრეტული სახეობა, რომე-ლიც ამავე ტერმინით აღინიშნება. ბურთით თამაშების მრავალფერო-ვნებამ, მისმა მაღალმა დონემ და მყარმა ეროვნულმა ტრადიციებმა,

განსაკუთრებით პატარებს შორის, ბურთაობის ცალკე ჯგუფად ჩამოყალიბება განაპირობა. ბურთით თამაშები განსაკუთრებით პატარებს შორის იყო დიფერენცირებული. იგი გამოირჩევა სიუჟეტური მრავალფეროვნებითა და ემოციური დატვირთვით. ამიტომ განდა იგი ბავშვთა ერთ-ერთი უსაყვარლესი გართობა. იგი ხელს უწყობს მთელ რიგ ფიზიკურ (განსაკუთრებით სიმარჯვის), ნებელობით და წმინდა მორალური თვისებების განვითარებას. ბურთაობდნენ სხვადასხვა ხასიათის თავყრილობის, დღესასწაულებისა და ქორწილების დროს. მის დიდ პოპულარობაზე ლაპარაკობს აგრეთვე ამ მიზნით ბურთაობის მეტწილ სახეებში შეჭიბრების ჩასატარებლად სპეციალური მოედნების (ასპარეზი, მერე და სხვ.) არსებობა საქართველოში. თბილისში დღემდე შერჩენილია ქალაქის ერთ-ერთი მიკრორაიონის დასახელება — „საბურთალო“. ამაზევე მეტყველებს ხალხური თქმულება — „ყველა თამაშობდაში ბურთაობა მეფეა და ჭირითი დედოფალიო“. ჩვენში ბურთაობის მხედრული სახეობანიც იყო, რომლებიც მხედრისა და ცხენის შეთანხმებული მოქმედება-მოძრაობების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ცხენით ბურთაობა ადრე მხოლოდ გაბატონებული კლასისათვის იყო ხელმისაწვდომი.

ბურთაობდნენ ჩვენში როგორც შიშველი ხელებით (ეს უფრო მეტად იყო გავრცელებული), ასევე რაიმე საგნის (მაგალითად, ჩოგნის) გამოყენებით.

ბურთაობას საქართველოში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც ჰქონდა. იგი ემსახურებოდა ხალხის სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას. ბურთაობის დიდ მნიშვნელობაზე საქართველოში, როგორც მეომართა სამხედრო მომზადების, მათ შორის ფსიქოლოგიური განწყობის ერთ-ერთ საშუალებაზე, ლაპარაკობს ისიც, რომ შუასაუკუნოვან საქართველოში ბრძოლის წინ ბურთს თამაშობდნენ.

პოთამაშეთა ასაკის გათვალისწინებით ბურთაობის სხვადასხვა სახეობებს იყენებდნენ. დროთა განმავლობაში ერთნი იცვლებოდნენ, ვითარდებოდნენ, იქმნებოდა ახალი თამაშები. მათ შორის მრავალმა საუკეთესომ ჩვენამდე მოადღწია დახვეწილი სახით. ლელო და ცხენბურთი დიდი ხანია, რაც ქართული სპორტის მეტად საინტერესო და წარმატაც სახეობებადაა აღიარებული.

ბურთაობის მრავალი ქართული ტრადიციული სახეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროების მიხედვით აღდგენილი და გადამუშავებულ-რეგლამენტირებული, დღესაც წარმოადგენს სხვა მოძრავ თამაშთა შორის ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას.

შემოხაზულია წრე (დიამეტრი 5—6 მ), მონაწილეობს ორ თანხაბარი შემადგენლობის (თითოეული 5—6) გუნდი. კენჭის ყრით ერთნი თავდამსხმელებია, მეორენი იცავენ ლახტებს (ქამრებს) და თავიანთ თავს.

დამცველი გუნდი წრეშია, თითოეული მათგანი ფეხებს შორის ლახტს დებს ბალთით წრის ხაზთან, ბოლო წრის ცენტრისაკენაა მიქცეული.

თამაშისათვის მზადყოფნას ორივე გუნდი აცნობებს ერთმანეთს წამოძახილით — „ჭერია“. თავდამსხმელები წრეს უვლიან და ცდილობენ წაართვან (თითო თითოზეა) ლახტი ისე, რომ თვითონ არ მოხვდეთ ფეხი, ე. ი. არ ჩაიჭრან. დარტყმებს აყენებენ ფეხის ტერფით, მუხლს ქვემოთ. თამაშის დროს დამცველი შეიძლება წრიდან გამოვიდეს, მაგრამ ისე, რომ ცალი ფეხი წრის შიგნით დარჩეს. თავდამსხმელებს უფლება აქვთ ნებისმიერი ხერხით, მათ შორის წრის გარბენით, გადაგორებით და სხვ., წრიდან აიღონ ლახტი. მაგრამ უმეტესად ეს ხელით ხდება და ისიც იმ დროს, როცა დამცველი ცდილობს იგი ხელებით წრეში შემოათრიოს. თუ რომელიმე დამცველს წრიდან ააცალეს ლახტი, მას იყენებენ იმისათვის, რომ მისი მოშველიებით დანარჩენი ლახტებიც გამოაცალონ. დამცველები ლახტს მხოლოდ ფეხების ქნევით იცავენ, მაგრამ ზედ არ შედგებიან, მოწინააღმდეგის ჩაჭრას კი ხელებით ცდილობენ, შეიძლება წრეში შეიტაცონ კიდევ. „დაბრუნებული“ ლახტით შეიძლება წრის გარეთაც მოიგერიოს მოიერიშენი.

როცა ყველა ლახტს გამოათრევენ, იწყება წრეში მყოფთა ე წ. „ახურება“ ანუ ლახტით ცემა (ლახტის დარტყმა მხოლოდ წელს ქვემოდ შეიძლება). ეს უკანასკნელნი (დამცველები) ასეთ შემთხვევაში ერთმანეთს ზურგით ამოუდგებიან. იცავენ რა თავს, ერთდროულად ცდილობენ როგორმე ჩაჭრან ისინი. როცა ვინმე დამცველთაგანი მოწინააღმდეგეს გამოსტაცებს ლახტს, მაშინ (მოლაპარაკებით) იგი შეიძლება გუნდში ყველაზე გულადსა და მარჯვეს გადასცენ, რომელიც მისი ქნევით ცდილობს თავდამსხმელები წრეს მოაშოროს. თავდამსხმელები, ტაქტიკური მოსაზრებით, წრეს გარშემო უვლიან, შეიძლება გადაჭრან კიდევ. თუ ლახტის განოტაცებისას ან „ახურების“ დროს წრის გარეთ მყოფი ჩაიჭრება, მისი გუნდი წაგებულია, როლები იცვლება და თამაში თავიდან იწყება. არსებობს ლახტაობის მცირედ ჯანსხვავებული ვარიანტები. მაგალითად, წრის (დიამეტრი 2—3 მეტრია) შუაში ერთი დახვეული ლახტი დევს, რომელსაც კენჭის ყრით, მხოლოდ ერთი იცავს. ხშირად თამაში ლახტის ამ რთული ვარიანტით თავდება.

ლახტაობა საქართველოში იმ ძალზე გავრცელებულ თამაშთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც სიმაძაქეს, სიმარჯვესა და სხვა საუკეთესო თვისებებს უფითარებს მოთამაშეებს, ასწავლის ტკივილის გაძლებასა და სხვა.

ლახტაობაში სიმბოლურადაა გამოხატული ქალაქ-სიმაგრის დაცვა. წრის შიგნით მყოფნი იცავენ დასახლებულ პუნქტში რამოდენიმე (წრეში მდგომთა რიცხვის მიხედვით) სიმბოლურ შესასვლელს — რადიალურად განლაგებულ ლახტებს. თავდამსხმელები წრიდან ლახტთან ერთად თვით დამცველების გამოთრევასაც ლამობენ. ასეთ შემთხვევაში „ტყევები“ თამაშიდან გამოდიან.

ჩვეუური დაცვა და ის, რომ აქ „დატყევებას“ აქვს ადგილი, ლაპარაკობს იმაზე, რომ ერთ შემთხვევაში ინდივიდუალურ მოქმედებებთან გვაქვს საქმე, ხოლო მეორეში კოლექტიური მოქმედებებია ასახული და საზოგადოებრივი წყობის უფრო მაღალ დონეზე. სახელდობრ, დაცვითი ნაგებობების რთული სისტემის მქონე სამხედრო-დემოკრატიულ წყობაზე მიუთითებს. გარდა ამისა, პირველ შემთხვევაში დასჯა ითვალისწინებს მხოლოდ როლების შეცვლას, მეორეში — ლახტის დარტყმით ისჯებიან დაცვის სისუსტისათვის, ადარებენ რა ამას ალყაშემორტყმულთა მწარე ხვედრს.

ჰოკით სიგრძეზე ხტომა

საქართველოში, კერძოდ მის მთიან რაიონებში, წინააღმდეგობათა გადასალახნავად ძველთაგანვე გამოყენებული იყო მოძრავი საყრდენები. იგი გავრცელებული იყო სსრ კავშირის სხვა ხალხთა ყოფაცხოვრებაშიც. მაგალითად: ბურიათები ნადირობის დროს ჭოკების დახმარებით ხტებოდნენ პატარა მდინარეებზე, ვანიერ თხრილებზე, ხეებზე და ორმოებზე. დროთა ვითარებაში ჭოკით სიგრძეზე ხტომა „გასართობ ვარჯიშად“ გადაიქცა¹. ევროპაში, კერძოდ პოლანდიაში, ჭოკით სიგრძეზე ხტომა ადრე მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებს ემსახურებოდა. სოფელ ვინსიუმში კი ეს წესი გადაიზარდა ტრადიციულ შეჯიბრებაში ჭოკით სიგრძეზე ხტომაში. აღსანიშნავია, რომ ვინც მდინარეს ვერ გადააწყობოდა, წყალში ჩაყარდებოდა და, თითქოს, ბუნებრივად ისჯებოდა². ამრიგად, ხტომის ამ სახეობამ, გამოყენებით მნიშვნელობასთან ერთად, ფიზიკური აღზრდის ხალხური სისტემის საშუალების მნიშვნელობაც მიიღო.

1 ე. ა. პოკროვსკი. საბუნებო თამაშები. მ., 1887, გვ. 124.

2 სოვეტსკი სპორტი, 1961. 13. IX (№ 217), გვ. 7.

ჩვენი რესპუბლიკის მთის სოფლებსა და ბარშიც მოცემული სა-
კითხის ეთნოგრაფიულმა შესწავლამ დაგვანახა, რომ ჭოკით, როგორც
მოდრავი საყრდენით, ხტომა პირველად საყოფაცხოვრებო ხასიათისა
იყო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სიმაღლეზე ჭოკით მხტომელ სპორტსმენთა
ნაკლებობა შემთხვევითი არ არის. როგორც ჩანს, იგი განპირობებულია
შესრულების ტექნიკის სირთულით, მიუწვდომელია სპორტსმენთა
(ფიზკულტურელთა) მასისათვის, მით უმეტეს, რომ იგი ისტორიულად
რომელიმე ხალხის ყოფასთან არ არის დაკავშირებული³. ეს მაშინ,
როდესაც ჭოკით სიგრძეზე ხტომა განავითარებს და სრულყოფს ფი-
ზიკურ, ნებელობით და მორალურ თვისებებს არანაკლებად, ვიდრე ჭო-
კით სიმაღლეზე ხტომა.

თუ ხტომების ამ ორ სახეობას შევადარებთ, პირდაპირ შეგვი-
ძლია ვთქვათ, რომ ნებელობითი თვისება უფრო მეტად ჭოკით სიგრძე-
ზე ხტომებით გამოიმუშავდება, ვინემ ჭოკით სიმაღლეზე ხტომით. აქვე
შევნიშნეთ, რომ ჭოკით სიგრძეზე ხტომის დროს ადამიანი კმაყოფი-
ლების გრძნობით იმსჭვალება. მან უკვე იცის, რომ ამ სახეობის დაუფ-
ლებით გაუადვილდება ჭაობების, მდინარეების, ხრამების გადალანჯა,
ამრიგად, მან უკვე იცის რას ეუფლება და რისთვის ეუფლება, ხოლო
ჭოკით სიმაღლეზე მხტომელი სპორტსმენისათვის სავსებით გასაგებო
არ არის ამ ხტომის გამოყენებითი მნიშვნელობა.

მძლეოსნობის შესახებ ერთ-ერთ წიგნში წერია, რომ „ჭოკით ხტო-
მა, როგორც მძლეოსნური ვარჯიში, შედარებით გვიანაა გამოყენებუ-
ლი“, რომ... „ამ დრომდე ჭოკით ხტომა გამოიყენებოდა როგორც ტან-
ვარჯიშული ვარჯიში. მაგრამ ჯერ კიდევ უფრო ადრე... ჭოკით ხტომით
სარგებლობდნენ ჭაობებში სიარულის დროს“⁴. ჭოკით ხტომა მოხსე-
ნებულია ვ. იაკოვლევის შრომაში⁵. იქ ლაპარაკია ჭოკის საშუალებით
თხრილებზე, რუებზე, ან პირობითად მიწაზე დახაზულ თხრილებზე
გადახტომის შესახებ.

საქართველოში პატარა მდინარეებზე ამ საშუალებით ჯარის გა-
დაყვანა დამოწმებულია ჯერ კიდევ XVII საუკუნეში. ცნობილი იტა-
ლიელი მხატვრის კასტელის ალბომში (კასტელი საქართველოში ცხოვ-
რობდა XVII საუკუნის 30—35 წლებში) ჩახატულია ჯარების მასო-
ბრივი გადაყვანა მდინარეზე ჭოკით. სურათზე აღბეჭდილია საომარი
ბანაკი. მეომრებს ხელში დროშები და გრძელი ჯოხები (ჭოკები) უჭი-

3 ვ. ე. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ფიზიკური კულტურის ქართული ხალხური ტრადიციები და
თანამედროვეობა. თბ., 1973, გვ. 139 და სხვ. (რუსულ ენ.).

4 მძლეოსნობა. ი. მ. კორიაკოვსკის რედაქციით. მ., 1938, გვ. 327—328.

5 ვ. ი. ა. კ. ვ. ლ. ვ. ი. პიონერთა შორის სახეიდრო-სპორტული მუშაობა. მ., 1945.

რავთ. შუაში მდინარეა, მარჯვნივ ჯარის ნაწილი, რომელიც ჭოკების დახმარებით მდინარის მეორე ნაპირზე გადადის.

ჩვენ ამ დოკუმენტს ვთვლით იმის მკაფიო დადასტურებად, რომ საქართველოში, XVII საუკუნეში ჭოკით ხტომა მიღებული იყო ლაშქრობის დროს წინააღმდეგობათა გადასალახავად.

ჭოკით სიგრძეზე ხტომა ჩვენ მიერ აღწერილია საქართველოს მთელ რიგ მთიან რეგიონებში (ხევსურეთში, სვანეთში, ფშავეში, ხევში, მთიულეთ-გუდამაყარში, ზემო და მთის რაჭაში). იგი დამოწმებულია აგრეთვე გორის, ბორჯომის, სიღნაღის და ბევრ სხვა რაიონში, სადაც, ახლაც კი, ახალგაზრდები ჭოკის ნაცვლად იყენებენ მეცხვარის კომბალს (ორი მეტრის სიგრძის).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სვანეთში ისეთ ბუნებრივ დაბრკოლებებთან, როგორცაა მთის მდინარე, ნაპრალები, თხრილები, ხევები, ჩვეულებრივ, იღო ჭოკი. თუ რაღაც მიზეზების გამო იგი არ იყო ადგილზე, სვანი, რომელიც გადასვლას აპირებდა, გამოჭირდა საჭირო ზომის ჯოხს და დაბრკოლების გადალახვის შემდეგ, როგორც წესი, ტოვებდა მას ერთ-ერთ ნაპირზე, რათა სხვა მოგზაურს გამოეყენებია. სვანი ახალგაზრდები დღესაც ერთმანეთს დიდი ენთუზიაზმით ეჭიბრებიან ამ სახეობაში. ფშაველები კი, სვანებისაგან განსხვავებით, ჭოკს არ ტოვებდნენ ნაპირზე, რომ იგი მტერს არ გამოეყენებია. ფშავეში ჭოკით ხტებოდნენ როგორც სიგრძეზე, ასევე გვერდზე, ამიტომ ხმარობდნენ სხვადასხვა ზომის (ორიდან ოთხ მეტრამდე) ჭოკებს.

იგივე დადასტურებულია ო. ვახანიას მიერ აფხაზეთში. სიგრძეზე ჭოკით ხტომა ჩვეულებრივი მოვლენა იყო მონადირეებისათვის, რომლებსაც ხშირად უხდებოდათ სხვადასხვა დაბრკოლებათა გადალახვა. ჩვეულებრივ, საჭირო ზომის ჭოკი ადგილზევე იჭრებოდა, მაგრამ თუ წყლიანი დაბრკოლებები ხშირად იყო, მაშინ ჭოკი თან მიჰქონდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ტოვებდნენ გამოყენების ადგილზე, რომ სხვებს შეძლებოდათ მათი მოხმარება.

მას შემდეგ, რაც დღის წესრიგში დადგა კომპლექსური ღონისძიებების — ოლიმპიადების, სპარტაკიადების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების — მოწყობა და საერთოდ, ხალხთა შორის სპორტული ურთიერთობის გაფართოება, ახალი პრობლემა წამოიჭრა სპორტული მოძრაობის მესვეურთა წინაშე — შეჭიბრებათა პროგრამების გაფართოება, უკვე კულტივირებულ სახეობათა დახვეწა და ახალ სახეობათა შემოღება.

პროგრამათა გამრავალფეროვნების მიზნით მეცნიერულ-შემოქმედებითი ძიებანი უწყვეტი პროცესია, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ კომპლექსურ შეჭიბრებათა პროგრამა კიდევ უფრო გაიზრდება. გაიზრდება იგი მსოფლიოს ხალხებში დაუნჯებული სახეობებით. აი,

აქ არის საჭირო სიფხიზლე, სპეციალისტის სათუთი ხელი — პროგრამაში არ მოხვდეს ხელოვნურად შეკოწიწებული სახეობანი. საყოველთაო აღიარების უფლება უნდა მიენიჭოს მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებულ, უმთავრესად ხალხურ ნიადაგზე წარმოქმნილ, ყველასათვის ხელმისაწვდომ სახეობას.

ჩვენ თავის დროზე დავამუშავეთ ხტომის ტექნიკა, შეჯიბრების დროებითი წესები; მივმართეთ მძლეოსნობის რესპუბლიკურ ფედერაციას და მაშინდელ სპორტულ საზოგადოება „კოლმეურნეს“, რათა შეესწავლათ და დაენერგათ იგი უპირველსად სოფლის ფიზკულტურულ სექციებში. მძლეოსნობის ფედერაციამ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრას (მაშინდელი გამგე — პროფესორი დ. იოსელიანი) დაავალა საგანგებოდ შეესწავლა ჭოკით სიგრძეზე ხტომის დანერგვის მიზანშეწონილობა. კათედრამ ეს საკითხი განიხილა თავის გაფართოებულ სხდომაზე და საჭიროდ ცნო მისი პრაქტიკული შემოწმება. ჩატარდა საცდელი მეცადინეობები სპორტული საზოგადოება „დინამოს“ მძლეოსანთა სექციაში და ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებთან. ახალგაზრდები სწრაფად გაერკვნენ ხტომის არსში და პირველი შედეგებიც იმედის მომცემი აღმოჩნდა.

საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტისა და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ მიერ ორგანიზებულმა ეროვნული სახეობებისადმი მიძღვნილმა რესპუბლიკურმა სპარტაკიადამ ჭოკით სიგრძეზე ხტომაში იმდენი მონაწილე მიიზიდა, რომ შეჯიბრების ორგანიზატორები იძულებული გახდნენ გათამაშება ორ ზონად გაემართათ და მხოლოდ ამის შემდეგ მოეწყოთ ფინალური ასპარეზობა. აგერ უკვე მეთორმეტე წელიწადია, რაც შეჯიბრება ამ სახეობაში სისტემატურად ტარდება.

ეს უკვე ჭოკით სიგრძეზე ხტომის სპორტულ სახეობად აღიარებაა, მისი განვითარების პირველი ეტაპია. ამიტომ იგი უნდა შევიდეს შეჯიბრებათა რესპუბლიკურ კალენდარში როგორც ცალკე სახეობა და ჩაერთოს მძლეოსანთა ყველა მასშტაბის შეჯიბრებაში. მერე კი უნდა დადგეს საკავშირო სარბიელზე მისი ექსპორტის საკითხი. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პროცესი დაუშვებლად ჭიანჭურდება, მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის მესვეურნი და თვით მისი სამმართველო რატომღაც გაურბიან ამ სახეობის ოფიციალურად დაფუძნებას. ამ ჭოქმანსა და, უფრო სწორად, ყოველივე სიახლისადმი გამოუცნობ შიშში დრო გადის და ეს საინტერესო სახეობა ერთი სპარტაკიადის პროგრამას ვერ გასცდა. ამასობაში საფრანგეთში გამოჩნდა ხალხი, რომლებმაც საღად შეაფასეს ჭოკით სიგრძეზე ხტომის მნიშვნელობა მასებში ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში და გადაწყვიტეს

ჩატარონ სპეციალური შეჯიბრება — „ჰოკით სიგრძეზე ხტომის კრიტიკურიუმი“, იმათთვის, რომლებიც ჯერ არ დაუფლებიან ჰოკით სიმალეზე ხტომის რთულ ტექნიკას („სოვეტსკი სპორტი“, 1983, 23. 1).

მოკლე თხილამურები

ეურნალმა „ნედელიამ“ 1971 წელს მთელი გვერდი დაუთმო სათხილამურო სპორტს, მის საჭირობოროტო საკითხებს. მოგეხსენებათ, საბჭოთა სპორტსმენები სამთოსათხილამურო სპორტის გარდა, ზამთრის თითქმის ყველა სახეობაში წარმატებით გამოდიან, ეურნალიც ამ უკანასკნელს ეხებოდა და მსჯელობდა მისი განვითარების გზებზე. აქვე იყო მოთავსებული ფრანგულ ეურნალ „სკი ფლიშ-ნეჟ ეტლიასის“ მიხედვით შედგენილი ერთი ფრიად საინტერესო ინფორმაცია. იგი ეხებოდა ფრანგი ინსტრუქტორების, პ. ტრიუნბერგისა და რ. ბლანის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტებს — თხილამურებით სრიალის შესწავლის საწყის ფაზაში მოკლე თხილამურების გამოყენებას.

როგორც ცნობილია, სწრაფდაშვებისას ხშირია ვარდნები. ამიტომ მთავარია წონასწორობის დაცვა. თუ სპორტსმენი ამას მიაღწევს, მაშინ ტრასას თამამად, უხიფათოდ გაივლის. ეს კი, თავის მხრივ, მინიმუმამდე შეამცირებს ტრავმებს და მნიშვნელოვნად გაზარდის შედეგებს. ამასთან, როგორც ფრანგები ამტკიცებენ, შემცირდება სპორტსმენის მომზადებისათვის საჭირო დრო.

ფრანგები თურმე აღფრთოვანებული ყოფილან ამ სიახლით: მოკლე თხილამურს დიდი პერსპექტივა აქვსო, გაიგეს სპორტულმა ფირმებმა და სწრაფად აითვისეს ახალი სახის ინვენტარის დამზადების ტექნოლოგია, მეთოდოლოგია და გაავრცელეს, როგორც მაღალი თანრიგის მოთხლამურეთა წინასწარი მომზადების საუკეთესო საშუალება. მაგრამ ისმის კითხვა, მართლა „აღმოჩენაა“ მოკლე თხილამურები, თუ იგი უკვე ცნობილია სხვა ხალხების ყოფაში?

როდესაც სპორტის ეროვნულ სახეობებზე ვლაპარაკობთ, მკითხველს თვალწინ წარმოუდგება ისინდი, ცხენბურთი, ქართული ჭიდაობა, ლელო... მაგრამ საქართველოს მთიანეთში ფართოდ გავრცელებულ მოკლე თხილამურებზე, ალბათ, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. ამიტომ ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ არა ფრანგების მიერ „აღმოჩენილ“, არამედ სვანი, ხევსური, თუში, ფშავი, რაჭველი ბიჭუნების მოკლე სამთო თხილამურებზე, დაახლოებით ისეთ თხილამურებზე, რომლებსაც ფრანგი სპეციალისტები მრავალ სიახლეს მიაწერენ. ჩვენ ვიცით, ეს ერთი და იგივე თხილამურები არ არის. მაგრამ ფრანგი სპეციალისტების მიერ აღნიშნულთან ძალზე ახლოს დგანან ჩვენებური სამთო თხილამურები, ზოგ შემთხვევაში უპირატესობაც აქვთ. დიახ, მოკლე თხილამურები, რომლებიც ფრანგებმა

„აღმოაჩინეს“, საქართველოს მთიანეთში უხსოვარი დროიდან არის კულტივირებული. ხევსურეთში მას ლეკმარხილას, ფშავეში კანკებს, მთიულეთ-გუდამყარში კაგდებს, თუშეთში ქოკებს და ქოკლოზებას, ზემო სვანეთში — ლაჭირხალარს, ხოლო ზემო და მთის რაჭაში — საყურიალეებს და კანკებს უწოდებენ. ბავშვები 5—6 წლიდან იწყებენ თვითნაკეთი მოკლე თხილამურებით სრიალს და მისდამი ტრფიალი 15 და ზოგჯერ 18 წლამდე გაჰყვებათ ხოლმე. ისინი ისე არიან გატაცებული ბავშვთა სპორტის ამ ხალხური სახეობით, რომ ზოგჯერ სკოლის მასწავლებლები, იმის ნაცვლად, რომ გამოიყენონ ეს ვართობა ორგანიზებულ სასწავლო-სპორტულ მუშაობაში, კრძალავენ კიდევ მას. მთის რაჭაში მოგზაურობის დროს ერთმა მასწავლებელმა ასე დაახასიათა მოკლე თხილამურები: „ჩვენს პირობებში, ზამთრობით, ბავშვთა ფიზიკური აღზრდისათვის საუკეთესო საშუალებაა. მაგრამ მან ისეთი გატაცება იცის, რომ ხშირად თხილამურებს ვართმევთ, რადგან გაკვეთილების მომზადებისთვის დრო აღარ რჩებათ“.

საქართველოს სხვადასხვა მთიან რაიონებში, თხილამურების როგორც სიგრძე, ისე დამაგრების წესი სხვადასხვანაირია. ასე მაგალითად, ზემო და მთის რაჭაში მათ აკეთებენ ფეხის ტერფზე ოდნავ გრძელს, რათა ტერფი მჭიდროდ იქნეს დამაგრებული რკალის ბოლოებს შორის, ხოლო თუშეთში — ტერფზე გაცილებით გრძელს და დამატებით საყრდენისათვის (დაშვების დროს ფეხი რომ არ დაუცურდეს) მის წინა ნაწილზე ამაგრებენ პალოებს ან ხის პატარა ნაჭერს. მიმმართველი ფეხისათვის ეს დამატებითი მოწყობილობა მაგრდება რკალის უკანა ნაწილთან, რაც აადვილებს მოხვევებსა და დამუხრუჭებას, აღსანიშნავია, რომ თუშური თხილამურები, გარდა იმისა, რომ უფრო გრძელია, თანამედროვე სპორტულ-სასრიალო თხილამურებს უახლოვდება.

ჩვეულებრივი მოკლე თხილამურები საშუალოდ 85 სანტიმეტრამდე სიგრძისაა, თუმცა ჩვენ შევხვდით 120 სანტიმეტრის სიგრძის თხილამურსაც. ორივე ბოლოზე მათ ღრმულები აქვთ, რომლებშიც ჩამაგრებულია რკალად მოხრილი წნელი. მისი სიმაღლე ნებისმიერია (ჩვეულებრივად მენჯის სიმაღლემდე აღწევს) და ინდივიდუალური წესით მზადდება. რკალის უკანა მხარე უფრო სქელია, რადგან სწორედ ეს ნაწილი განიცდის დიდ დატვირთვას მოსახვევებში, დამუხრუჭებისა და სხვა ილეთების შესრულებისას.

აღნიშნული თხილამურებით სისტემატურად მეცადინეობის შედეგად მთიელები, თავდაპირველად ალბათ ემპირიულად, ხოლო შემდეგ კი წინასწარ მოფიქრებულად და სრულიად შეგნებულად, ეუფლებოდნენ ციკაბო კლდეების გადალახვას და მთებიდან სწრაფად

დაშვების ტექნიკას. შეიძლება ითქვას, მათში გამჭადარია ეს ტექნიკა. ერთი და იგივე მოძრაობების მრავალგზისმა განმეორებამ და ტრადიციით მიღებულმა გამოცდილებამ გაამდიდრა მათი ცოდნა.

მოკლე თხილამურებით სრიალი და შეჯიბრებები მაშინ იწყება, როდესაც თოვლი მკვრივდება ან ყინულის ფენა გადაეკვრის. ტრასას ბავშვები თვითონ ირჩევენ და ტყეპნიან ან საქონლის მიერ დატყეპნილი ბილიკებით სარგებლობენ. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბავშვები განგებ გამოძებნიან ისეთ „დაკიდულ“ და დაკლანკილ ტრასას (ბილიკს), რომ გამოცდილი სლალომისტ-ინსტრუქტორის შერჩეული გეგონებათ.

ძირითადი დგომი: ორივე ფეხი მუხლებში ოდნავ მოღუნული, ხელები ჩავლებული აქვთ სახელურის ცენტრალურ ნაწილზე, ტანი და სიმძიმის ცენტრი გადატანილია წინ. აღსანიშნავია, რომ თუშეთში ზოგი ბავშვი იყენებს მეტად დაბალ დგომს. იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სწრაფია დაშვება, მოთხილამურე მცირე ან ღრმა ჩაჯდომს აკეთებს, სხეულის შესატყვისი გადახრებით. ამრიგად, სხეულის მდგომარეობა მოხერხებულად არის გამოყენებული დაშვების სისწრაფით გადიდების ან შენელებისათვის. იგივე უნდა ითქვას დაშვების დროს ფეხების მდგომარეობაზე. დიდი სისწრაფის განვითარებისას ერთი ფეხი რამდენადმე წინაა გაწეული.

სათხილამურო სპორტის დაუფლების საწყის ფაზაში (ლაპარაკია მხოლოდ სლალომსა და სწრაფდაშვებაზე) სათხილამურო სპორტის სხვა სახეობაში მოკლე თხილამურებით არ ვარჯიშობენ. ამავე დროს, დიდი ნაყოფის მოტანა შეუძლია მოკლე თხილამურებს, რაც მთავარია, მეტად იოლია სისწრაფის განვითარების დროს მისი მართვა რკალების საშუალებით, როგორც დამრეცი ტრასაც არ უნდა იყოს, თითქმის მინიმუმამდეა დაყვანილი წაქცევა, ყოველგვარი მოსახვევის გავლისას ადვილია დამუხრუჭება, შეიძლება ცალი ფეხით სრიალი. დაკლანკილი ტრასის გავლის ტექნიკას მთიელ ბიჭუნებს საგანგებოდ არავენ ასწავლის. ისინი თვითნაკეთი თხილამურებით თვითონ ხვეწენ ხოლმე თავიანთი უფროსების ტრადიციით გადმოცემულ ამ ჩვევებს და ყოველგვარი შიშის გარეშე ეშვებიან ფერდობიდან. მოკლე თხილამურებით სრილის შესწავლის შემდეგ, ახალბედს დაუბრკოლებლად შეუძლია დადგეს თანამედროვე თხილამურებზე და გავიდეს ტრასაზე. მას უკვე დაძლეული აქვს შიშის გრძნობა, სისწრაფის აღქმისა და წონასწორობის დაცვის უნარი.

ქართულ მოკლე თხილამურებზე ჩვენ თავის დროზე გამოვაქვეყნეთ წერილი „ლელოში“, ხოლო უფრო დაწვრილებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უწყებებში და ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკაში“. იმავე წელს საბჭოთა კავ-

შირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილების, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტების ე. წ. საანგარიშო-საექსპედიციო სესიაზე (კავკასიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სექციის სხდომაზე) განხილული იქნა ჩვენი მოხსენება ქართულ ხალხურ მოკლე თხილამურებზე. აქ დადასტურდა ჩვენი ჰიპოთეზა, რომ ხალხური სპორტის ეს ინვენტარი და სახეობა საქართველოს მთიანეთის კუთვნილებაა. სესიაზე ერთხმად აღიარეს მისი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის პრაქტიკაში გამოყენების მიზანშეწონილობა. ამ საკითხით დაინტერესდა, და არა შემთხვევით, საკავშირო სამეცნიერო-თეორიული ჟურნალი „ტეორია და პრაქტიკა ფიზიკური კულტური“, რომელმაც 1975 წელს გამოაქვეყნა ჩვენი წერილი „სამთომოთხილამურეთა მომზადებაში გავითვალისწინოთ ხალხური გამოცდილება“.

ყოველივე ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ სათხილამურო სპორტის მესვეურები ყურადღებით მოეკიდებოდნენ ამ საკითხს, პრაქტიკულად შეისწავლიდნენ მოკლე თხილამურების სარგებლიანობას მთიელ ბავშვთა ფიზიკურ აღზრდაში. სამწუხაროდ, დღემდე არაფერია დაინტერესებულა ამ საკითხით, მკვლევარ გ. კახიძის გარდა, რომელმაც ფიზიკური კულტურის საქართველოს ინსტიტუტის ფიზიკური კულტურის თეორიის კათედრაზე დამუშავებული საკვლევო მეთოდით, მოაწყო ყაზბეგის რაიონის სკოლებში ამ სახეობის აპრობაცია ზამთრის პირობებში. შემოწმებამ აჩვენა, თუ როგორი მონდომებით შეუდგნენ მოსწავლეები ვარჯიშს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სულ მალე სათხილამურო სპორტის რომელიმე მწვრთნელს ეს „სიახლე“ ჭკუაში დაუჭდება და იტყვის: რა შემოქმედებითები ყოფილან ფრანგი სპეციალისტები, როგორ დაგვეხმარა მათი შექმნილი მოკლე თხილამურები კვალიფიციურ სამთომოთხილამურეთა აღზრდაშიო. მაგრამ განა ფრანგმა ინსტრუქტორებმა მოკლე თხილამურები მთვარიდან ჩამოიტანეს? ეძებეს ბავშვთა ფიზიკური აღზრდის ახალი საშუალებები და მიაგნეს კიდევ. ალბათ, რომელიმე ხალხის ყოფაში მიაკვლიეს მას, დაუკვირდნენ, გამოცადეს და გამოიყენეს. ჩვენ კი ცხვირწინ გვაქვს მოკლე თხილამურის ორიგინალური მოდელი, მისი გამოყენების ხალხური მეთოდია გვაქვს და ვუცდით ფრანგების შედეგებს, მიიღონ „მოწყალება“ და გაგვიზიარონ თავიანთი გამოცდილება ამ საქმეში.

ბუნებრივია, როდესაც სამთომოთხილამურეთა აღზრდაში მოკლე თხილამურების დანერგვას მოვიტხოვთ, არ ვგულისხმობთ, რომ იგი მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადებაში ხვალვე გადატრიალებას მოახდენს. წვრთნის ახალი მეთოდი პერსპექტივაში უნდა განკვევრიტოთ. უნდა დავეთანხმოთ მკვლევარ გ. კახიძეს იმაში, რომ პირველ ეტაპზე მოკლე თხილამურები დაინერგოს საქართველოს მთიანი 28

რიონების სასკოლო ფიზიკური აღზრდის პროგრამაში, კლასგარეშე მუშაობის ჩათვლით. აქ ყურადღება უნდა მიექცეს აღსაზრდელებში შიშის გრძნობის დაძლევას. როგორც მთიელთა ყოფაზე დაკვირვებიდან ჩანს, თუ ბავშვობიდანვე სწორად წარემართავთ პედაგოგიურ პროცესს, შეიძლება მივალწიოთ კარგ შედეგებს მაღალი კლასის სამთომოთხილამურეთა თანდათანობით მომზადებაში.

მკითხველს უთუოდ დაებადება აზრი, მაინც რა განსხვავებაა ფრანგულ და ჩვენებურ მოკლე თხილამურებს შორის? წერტნიის მეტოდიკაში ჩვენ ბევრი მასალა არ მოგვეპოვება, მაგრამ განსხვავებაა თვით ინვენტარში, ჩვენსას სახელური აქვს, რაც დაკლაკნილი ტრასის გავლას და საერთოდ, მართვას დიდად ემხარება. არის კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი განსხვავება. როგორც კინოფილმმა „თუშმა მემცხვარემ“ დაგვიდასტურა, ჩვენებური ბიჭუნები ამ თხილამურებით ზაფხულობითაც დასრიალებენ ფერდობებზე. თურმე როგორც კი თავჯარაშზე მოწვავს ბალანს, იგი თოვლზე არანაკლები სასრიალო ხდება. მაშასადამე, თუშური თუ სვანური მოკლე თხილამურებით ზამთარ-ზაფხულ შეიძლება ვარჯიში, ესეც სრულწლიური წერტნა!

გაზეთებმა გვაუწყა, რომ იაპონიის ქალაქ იოკოჰამას (სადაც თოვლი საერთოდ არ იცის) მცხოვრებლებს ზაფხულშიაც შეუძლიათ თხილამურებით ვარჯიში. სპეციალური მასალისაგან დამზადებული საფარით ქალაქის მიმდებარე მთა დაუფარავთ და ცხელ დღეებში ხელოვნურ თოვლზე სლალომსა და სწრაფდაშვებაში ვარჯიშობენო. ჩვენს მთიელ ბავშებს ხელოვნურსაფარიანი მთა არა აქვთ, მაგრამ თვითნაკეთი მოკლე თხილამურებით მზით მომწვარ ბალანზე შურდულივით ეშვებიან ციცაბო ფერდობებიდან.

მთიდან დაშვება

ახლა შევეხოთ ერთ ორიგინალურ სახეობას, რომელიც ჩვენს თვალწინ ჩამოყალიბდა და საკმაო პოპულარობა მოიპოვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს თვალწინ ქრება. ეს არის „მთიდან დაშვება“. იგი ხეცსურეთში ფართოდ გავრცელებულ სამგლოვნირო რიტუალიდან — „ცხენნიდან“ — გამომდინარეობს.

1950 წელს, იქ, სადაც ახლა დედაქალაქის იზოდრომია, დაცემული მიხდორი იყო. მის სამხრეთით აღმართულიყო ხრიოკი კლდე, არსად ჩანდა ხე და ბუჩქი. აპორტულ წრეებში იცოდნენ, რომ აქ იზოდრომი უნდა აგებულიყო, ჰოდა, ვიდრე მშენებლები მოვიდოდნენ და გადათხრიდნენ იქაურობას, გადაწყვეტეს სახელდახელო ტრიბუნებით აეგოთ, ცხენთა სარბოლი ბილიკები გაეკვალათ, საჭირო წრე მოეწყოთ, ბილიკებს შუა ლელოს მოედანი დაეხაზათ... ჩანაფიქრი

გრანდიოზული და კეთილშობილური იყო. უნდა ჩატარებულიყო ხალხური სპორტის დემონსტრირება-შეჯიბრება, უნდა ენახა ყველას, თუ რა საუნჯის პატრონები ვართ. როდესაც მონაწილე გუნდების განაცხადები იხილებოდა, დაისვა ხევსურთა მოწვევის საკითხი. დუშეთის რაიონს დაევალა მათი ჩამოყვანა და თუ მოისურვებდნენ, ცხენთა რბოლაში მონაწილეობა. სამი დღის განმავლობაში დელისის მინდორზე წარმტაცი, დაუეიწყარი ასპარეზობა მიმდინარეობდა. ჩაუქები ძალებს ცდიდნენ ცხენბურთში, ისინდში, თარჩიაში, ყაბახში, ჭიდაობაში, ლელოში, დოღში, მარულაში... და აი, ზეიმის მეორე დღეს მოხდა სენსაცია. დიქტორმა (რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ე. მანჯგალაძემ) მიმართა მაცურებელს: ახლა დაიწყება უჩვეულო სანახაობა, სარბიელის სამხრეთით აღმართულ კლდეზე ხევსური მხედრები დოღს გამართავენო. მაცურებელი გაოგნებული, განცვიფრებული შესტკეროდა კლდის წვერს, რომელზეც მოჩანდნენ მხედრების სილუეტები. სად უნდა ირბინონ, სად? — ერთმანეთს ეკითხებოდნენ საცხენოსნო სპორტის ქომავლები და ვეტერანებიც.

მალე ყველაფერი გაირკვა. კლდის წვერზე გაქვავებული ცხენკაცის სილუეტები მოწყდნენ თხემსა და პირდაპირ დაეშვნენ კლდიდან. ამის შემყურე რამდენიმე ათასმა მაცურებელმა ერთხმად დაიგმინა. დღეს ამ კლდის წინ იპოდრომის ტრიბუნებია აღმართული და კაცს საშუალება აღარა აქვს თვალი შეავლოს იმ დაკიდულ კლდეს. აქ ცხენით რბოლა წარმოუდგენელი იყო, ვინ იფიქრებდა, თუ მის დამრეც კლდეზე ვინმე ცხენით დაშვებას გაბედავდა. გაბედეს „ცხენში“ გამოწრთობილმა ხევსურებმა, გაბედეს და გაოფლილი ცხენები შემოაგდეს იპოდრომის სარბოლ ბილიკებზე. ახლა გაკვირვებას აღფრთოვანება მოჰყვა. ხევსურებმა მთელი ეს თვალისმომკვეთი ტრიუჟი ჩაატარეს უბელო ცხენებზე, სადავიაა და ცხენის მუცელზე ამოკრული სარტყლის ამარა.

ამ დაკიდულ ტრასაზე არც ერთ ცხენს არ წაუფორხილია და არც კოჭის ძარღვები დაჰიმვიათ.

ქალაქში დაირხა ხმა. ზეიმის მესამე დღეს მოაწყდა მაცურებელი დელისის მინდორს, თხოვეს მსაჯთა კოლეგიას ხევსურული დოღის გამეორება. ხევსურებმა არ აწყენინეს თბილისელებს.

1964 წელს თბილისში ჩატარდა კოლმეურნე ცხენოსანთა საკავშირო შეჯიბრება. პროგრამით გათვალისწინებულ სახეობათა გვერდით, ყველა მოძმე რესპუბლიკას უფლება ჰქონდა წარმოედგინა საკუთარი ეროვნული თამაშები. მაშინ დაისვა საკითხი ისინდის, ცხენბურთის, თარჩიასა და ყაბახის გვერდით ხევსურული დოღის მოწყობის შესახებ. მაგრამ საამისოდ საჭირო იყო შეჯიბრების წესები და დებულება. ერთი სიტყვით, უნდა შექმნილიყო ახალი ხალხური სა-

ხეობა უკვე კულტივირებულ სახეობათ თანაბრად, საჭირო რეგლამენტით. ეს საქმე დაევალა ამ სტრიქონების ავტორს. საკავშირო შეჯიბრების მონაწილე რესპუბლიკებს დაეგზავნათ დებულება და სთხოვეს ამ სახეობაში მონაწილეობა. შეჯიბრებას პირობითად მთიდან დაშვება დაერქვა (და ეს სახელი შერჩა კიდევ). ექვსმა რესპუბლიკამ გამოთქვა მონაწილეობის მიღების სურვილი ორ-ორი ცხენ-მხედრით. მოწვეულ ხევსურებს გავაცანიტ დებულება. ვუთხარიტ, რომ მათ გარდა კიდევ თორმეტი კაცი მიიღებდა მონაწილეობას რბოლაში: ტაჯიკები, უზბეკები, ინგუშები — განთქმული ცხენოსნები, ისე რომ, მოგება იოლი საქმე არ იქნება-მეთქი. მდუმარედ მოისმინეს ნათქვამი. მხოლოდ ერთმა მკითხა: „დოღს (ჯიღღოს) ისინიცი მიიღებენო?“ როდესაც დავუდასტურე, მიპასუხა: თქვენ კარგი „დოღები“ მოამზადეთ და ვინც წაიღებს, მაგასაც ვნახავთო. ასე მოხდა, ყველა „დოღი“ მათ დარჩათ.

შეჯიბრების წინა დღეს, ტრასების შემოწმებისას სტუმრებმა უარი თქვეს მთიდან დაშვებაზე. ერთმა გამოცდილმა ცხენოსანმა, ყოფილმა კავალერისტმა დამაჯერებლად მითხრა: ჩვენ ცხენ-მხედარს ვერ გავწირავთ და არც თქვენ გირჩევთო, იქიდან მხოლოდ პარაშუტით შეიძლება დაშვებაო. ხევსურები კი დაეშენენ. მეორე დღეს, როგორც კი ცაში აიჭრა წითელი შუშხუნა, თხემზე შეიარხენ ცხენ-კაცის სილუეტები და დაეშენენ...

მთიდან დაშვებაში ოფიციალური შეჯიბრება აღარ ჩატარებულა. „ცხენნი“ კი კვლავ იმართება ხევსურეთში, ვაჟები დაარბოლებენ ცხენებს არა მარტო ვაკეში, მდინარის გასწვრივ, არამედ დელისის კლდეზე უფრო დამრეც ფერღობებზეც. ახლა ისმის კითხვა: რატომ არ არის შეტანილი „მთიდან დაშვება“ სოფლის ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებათა პროგრამაში? ალბათ, იმიტომ, რომ საჭიროა სპეციალური ტრასა — დამრეცფერდიანი მთა. ეს არ არის მიზეზი. მეკლდეურები ხომ ეჯიბრებიან კლდეზე ცოცვამი? გამოდის, რომ დაინტერესებული ხალხი კლდესთან მიდის და არა კლდე მოდის მათთან.

სიძნელე, რასაკვირველია, არის. თბილისი ტერიტორიულად ათვისებულია, აღარ დარჩა ასეთი ადგილი, სადაც ეს წარმტაცი შეჯიბრება ჩატარდება, მაშ, რა ვქნათ, ნაცარი წვაყყაროთ, დავმარხოთ? არა. „სამთო“ სახეობები იქ უნდა ჩავატაროთ, სადაც მისი ბუნებრივი ბაზაა. მთიდან დაშვებაში შეჯიბრებები შეიძლება რიგრიგობით ჩატარდეს ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში, ხევში, მთიულეთ-გუდამაყარში და ჩრდილო კავკასიის მეზობელ ხალხთა ტერიტორიაზე. თბილისში ცხენოსანთა მეშვიდე საკავშირო პირველობას ესწრებოდა მოსკოველი სპეციალისტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა

კანდიდატი ილ. კაშტანოვი, რომელმაც თავის წერილში აღნიშნა: „მაცურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ქართულ ცხენოსანთა ორმა დოღმა. განსაკუთრებით დოღმა 5000 მეტრზე (მთიდან დაშვება), რომელიც გაიმართა თბილისის ჯილდოზე. დიდი დამაჯერებლად მოიგო გ. გოგოჭურმა. სამთო კროსის ეს სახეობა გლუვ დოღთან ერთად მეტად პერსპექტიულია მთის ჯიშის ცხენების გამოსაცდელად. აუცილებლად უნდა ჩატარდეს ასეთი შეჯიბრებები სხვადასხვა ვარიანტით და კავკასიური მთის ჯიშების მონაწილეობით“. „სამთო დოღის ამ სახეობამ ძალზე დააინტერესა მონაწილენი და მაცურებელი. ეს შეჯიბრება ჩატარდა თბილისში, 1964 წლის სექტემბერში. როგორც მნახველები აღნიშნავენ, სანახაობა წარმტაცი იყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა ყველას თვალწინ მონაწილენი მთელი სვლით დაეშენენ თითქმის დაკიდულ კლდეზე და იპოდრომის სარბენ მილაკზე დაამთავრეს რბოლა“ — ეწერა მოსკოვის ცენტრალური იპოდრომის ცხენთა გამოცდის პროგრამაში (№ 100, 27.1, 1965 წ.).

კიდევ ერთი საკითხი. ხევსურეთში ყოველწლიურად ათასნაირი ექსპედიცია იგზავნება. სწავლობენ, იკვლევენ ყოველ დეტალს და ვერ ამოწურა. მხოლოდ ს. მაკალათიამ მოუყარა თავი იმ დროს მის ხელთ არსებულ და მის მიერვე შეკრებილ მასალებს და გამოსცა მონოგრაფია „ხევსურეთი“. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ბევრი მასალა გამოვლინდა. ამიტომ მე მგონია, უკვე დროა შეჯამდეს ყველაფერი და მკითხველს მივაწოდოთ სრულყოფილი, ყოვლისმომცველი წიგნი რესპუბლიკის ამ რომანტიკულ კუთხეზე. ხევსურები ამას იმსახურებენ.

ხალხური პედაგოგიკა

საზოგადოების ჩამოყალიბებასა და მის შემდგომ არსებობაში გადამწყვეტი როლი ითამაშა არსებული ინფორმაციისა და ცხოვრებისეული გამოცდილების ურთიერთგაზიარება-დამკვიდრებამ. ყოველივე ეს ხდებოდა აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო წესების, მოთხოვნებისა და კრიტერიუმების სახით, რომლებიც ცხოვრებისა და სოციალური ურთიერთობის გართულებასთან დაკავშირებით, საზოგადოებრივ ფორმებში გადაიზარდნენ.

სოციალისტური საზოგადოება უზარმაზარ ამოცანებს ისახავს არა მხოლოდ ცხოვრების მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად, არამედ ყველაზე ღირებული „პროდუქტის“ — ახალი ადამიანის — ფორმირებისათვის, რომელშიც ორგანულად იქნება შერწყმული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა.

ამ ყოვლისმომცველი პროგრამის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ ფაქტორს, ჩვენი აზრით, წარმოადგენს ხალხში დაუწყებელი აღმზრდელობითი მუშაობის საშუალებები, მეთოდები და ფორმები, რაც მონახვასა და გამომზეურებას საჭიროებს.

აღნიშნული საკითხი, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ პლანში, ფიზიკური კულტურის საგანს განეკუთვნება. იგი შედის ფიზიკური აღზრდის „საგნობრივ-ღირებულებით“ (როგორც ფიზიკური კულტურის თეორიის ნაწილის) განაყოფში, რამდენადაც ყოველი თეორია წარმოადგენს განზოგადებული ცოდნის უმაღლეს დონეს, რაც ყოველმხრივ ხსნის კონკრეტული მოვლენის შინაარსს, ამდენად, მისმა პოსტულატებმა უნდა ასახონ ფიზიკური კულტურის ყველა ნიშანი და დებულება.

საბჭოთა ავტორების შრომებში, ფიზიკური აღზრდა, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, საკმაოდ ფართოდაა განხილული. სამწუხაროდ, მხოლოდ წარმოშობის, განვითარებისა და სრულყოფის თვით ფაქტის პოზიციებიდან არ იყო სათანადოდ გაანალიზებული პირველყოფილი პედაგოგიკის მეთოდური ასპექტი, თუმცა საამისო მრავალი წინაპირობა არსებობდა. მაგალითად, პროფესორი ი. ტ. ოგოროდნიკოვი წერს, რომ უკვე გვაროვნულ წყობილებამდე საზოგადოებაში აღზრდა გულისხმობდა „ახალგაზრდა თაობისათვის შრომითი ჩვევების, პირველყოფილი ცხოვრებისათვის დამახასიათებელ წესჩვეულებათა შესრულების ცოდნას, საზოგადოების სულ უფრო გართულებულ იდეოლოგიასთან ახალგაზრდობის დაკავშირებას“¹. ნ. ი. პონომარევი და სხვა ავტორები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „ცხოვრებისეულ გამოცდილებას ადამიანი იმ აზრამდე მიჰყავს, რომ აუცილებელია მოზარდი თაობის წინასწარი მომზადება“².

ფიზიკური კულტურის თეორიის დამხმარე სახელმძღვანელოში, რომელიც, სხვათა შორის, განზოგადების ერთ-ერთ პირველ ცდას წარმოადგენს. „ფიზიკური კულტურის“ ცნების არსის გაშიფრვის დროს, ფაქტიურად, განუხილველი რჩება ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა საბჭოური ფიზიკური კულტურის სოციალური შინაარსი, რომელიც მოიცავს მისი ეროვნული ფორმების სოციალისტურ შინაარსს. ამასთან, „ეროვნულისა და ინტერნაციონალურის“ შერწყმა ფიზიკური კულტურის სფეროში³ უნდა განიხილებოდეს ფიზიკური კულტურის არსის განხილვის დროს.

1 პედაგოგიკის ისტორია. პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო, რსფსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემია. მ., 1955, გვ. 12.

2 ნ. ი. პონომარევი. ფიზიკური აღზრდა როგორც საზოგადოებრივი მოვლენა. — ფიზიკური კულტურის თეორია და პრაქტიკა, 1960 წ. № 4.

3 ფიზიკური კულტურის თეორიის შესავალი, მ., 1983, გვ. 17.

საბჭოთა ავტორების გამოკვლევაში ზოგადადაა ნაჩვენები საბჭოთა კულტურის სოციალისტური შინაარსისა და ეროვნული ფორმის ურთიერთკავშირი. ეს კი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ფიზიკური კულტურის თეორიის ჩამოყალიბების თანამედროვე გზა, ამ პერიოდში საგნის სტრუქტურისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებებით, სადაც ფიზიკური კულტურა განხილულია როგორც მხოლოდ სოციალისტური კულტურის ნაწილი.

როგორც ჩანს, მოცემული მეცნიერების შინაარსში უნდა ასახულიყო ხალხური ფიზიკური გამოცდილების თეორიული ასპექტი, რისი იგნორირებაც აღარინებს როგორც თეორიას, ისე პრაქტიკას.

ქართველ მთიელთა ფიზიკური აღზრდის პრობლემათა შესწავლისას, ჩვენ წავაწყდით არა მარტო მისი ხასიათის სისტემურობას, არამედ თავისებურ შეხედულებათა, აზრების, წესების, კრიტერიუმების, ტრადიციების მთელ წყებას, რომელთა საშუალებით ხდებოდა დაუწერელი ხალხური პედაგოგიკის მიერ დაგროვილი გამოცდილების განზოგადება. ერთი სიტყვით, ფიზიკური აღზრდის თანამედროვე პედაგოგიკამ განვლო ემპირიულ გამოცდილებათა დაგროვების. გაანალიზებისა და განზოგადების გრძელი შემოქმედებითი გზა, რომელსაც საფუძვლად უდევს ტრადიციაში გადაზრდილი ხალხური წესები და მოთხოვნები.

ამასთან დაკავშირებულმა განზოგადებამ და, ბუნებრივია, გარკვეულმა აბსტრაგირებამ მიგვიყვანა საერთო კანონზომიერებამდე და საშუალება მოგვცა შეგვეცნო მოცემული მოვლენის ჰეგემონიკი ბუნება, მისი, როგორც საზოგადოებრივი დისციპლინის, თავისებურება. მაგრამ აქ მოჩანს შემეცნების მატერიალისტური დიალექტიკის მხოლოდ ზოგიერთი ნაწილი „კონკრეტულიდან — აბსტრაქტულამდე“.

ამრიგად, აბსტრაგირება, დადებით მხარესთან ერთად, განსაზღვრული საფეხურის გავლის შემდეგ, შეიძლება მოწყდეს კონკრეტულს, მოვლენათა მსვლელობას, თანამედროვე პრაქტიკას საგნობრივ სინამდვილეს.

ასეთი რამ ზოგჯერ შეიმჩნევა პედაგოგიკაში და აგრეთვე ფიზიკური აღზრდის თანამედროვე თეორიაში, სადაც პრინციპების, მეთოდების, საშუალებების, მეცადინეობის ფორმების აუცილებელმა განზოგადებამ დაკარგა კავშირი პედაგოგიკური პროცესის კონკრეტულ პირობებთან, რადგანაც ფიზიკური აღზრდის თეორია უკვე ითვალისწინებდა ცხოვრების ყაიდას, შრომის პირობებს, მატერიალურ და სულიერ დონეს. უფრო მეტიც, დღემდე არ არის უნიფიცირებული სწავლებისა და აღზრდის პრინციპები და მეთოდები, მაშინ როდესაც თანამედროვე პედაგოგიკურ პროცესში, ფაქტიურად, ისინი ერთდროულად უნდა განიხილებოდეს.

როგორც ჩანს, დადგა დრო, როდესაც ისევ უნდა დაუახლოვდეს ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდოლოგია რეალობას, რათა გათვალისწინებულ იქნეს პროცესის ყველა თავისებურება, გამომდინარე არა მარტო მატერიალური, არამედ ეთნიკური და კულტურული პირობებიდანაც. პედაგოგიაში, როგორც ეს მედიცინაში და სხვა დისციპლინებში ხდება, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყველა თავისებურება, რომელსაც მასთან რაიმე ურთიერთობა აქვს.

სწავლება, ფიზიკური განვითარება და მოსწავლეთა პროგრესული მორალის მოთხოვნათა შესაბამისად აღზრდა ფიზიკურ კულტურასა და სპორტში უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ერთიანი პედაგოგიკური პროცესით. მაგრამ თეორია ვერ გვაძლევს ამომწურავ პასუხს როგორ ვიხელმძღვანელოთ პრინციპებითა და მეთოდებით, რათა ერთდროულად მივაღწიოთ გამაჯანსაღებელ, საგანმანათლებლო და აღმზრდელობით ეფექტს. ერთი სიტყვით, თეორია ჯერ კიდევ ვერ გვაძლევს იმის დასაბუთებულ რეკომენდაციას სხვადასხვა კულტურულ, ეთნიკურ, კლიმატურ-გეოგრაფიულ და სხვა პირობებში, თუ როგორ გამოვიყენოთ პედაგოგიკური პროცესი რაციონალურად. და ეს მაშინ, როდესაც არავინ უარყოფს ხალხთა კულტურისა და ყოფის თავისებურებებს. ამ ფაქტთა გათვალისწინება კი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია. ამას მოითხოვს კომუნისტური საზოგადოების მშენებელ, ფიზიკურად სრულყოფილ თაობათა აღზრდის კეთილშობილური საქმე⁴. ჩვენ ამაში ვხედავთ ფიზიკური კულტურის თეორიის დიალექტიკური გზის ნაწილიდან — „აბსტრაქტულიდან კონკრეტულამდე“ — უკან დახევას, რაც წარმოადგენს ლოგიკურ წინააღმდეგობამდე დაყვანილ აბსტრაქციას, რომლის დროსაც გათანაბრებულია საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურული თავისებურებანი. ამავე დროს, არ შეიძლება უარყოფოთ, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, დასახლებულ ხალხებს ბევრი საერთო აქვთ, თუმცა არის ისეთი, ნიშან-თვისებანი, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ და პედაგოგიკური პროცესის გაუმჯობესებისათვის შემოქმედებითად უნდა გამოვიყენოთ.

4 როდესაც ვლაპარაკობ ხალხთა ეთნიკურ თავისებურებათა გათვალისწინების აუცილებლობაზე (რომელიც ვლინდება საწარმოო ძალების, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის, პოლიტიკური კულტურულ-ყოფითი წყობის თავისებურებაში), უპირველესად მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ადამიანთა შეგნებაზე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების ცვალებადობიდან გამომდინარე, შეიძლება ეს თავისებურებანი არასწორად გამოიხატოს, მაშინ იგი გადაიზრდება ცრუმორწმუნეობაში, რაც შეაფერხებს სოციალისტური ერების დაახლოებისა და განვითარების პროცესს. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად ხალხთა ეთნიკურმა თავისებურებებმა ცვლილება განიცადა, ჩამოყალიბდა ახალი ეთნიკური

პრაქტიკაში აღზრდა წარმოადგენს კონკრეტული ეთნოგრაფიული ჯგუფებისა და შრომის კატეგორიების წარმომადგენლებზე ზემოქმედებას. მაგრამ არის ფიზიკურ აღზრდაში პროფესიული ფიზიკური მომზადების მეთოდოლოგია, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც აღზრდის პროცესში სრულებით არ ითვალისწინებს არც ფსიქიკურს, არც ანტროპოლოგიურ, ეთნიკურ, გეოგრაფიულ, კლიმატურ პირობებს.

ეს თავისებურებანი არც საფუძველსაა მოკლებული და არც სწრაფად იცვლება. ამიტომ აღზრდისა და სწავლების დროს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ პედაგოგიაში არ შეიძლება ზოგადი დებულებებისა და თავისებურებების უარყოფა. არ შეიძლება აგრეთვე აღზრდის ხალხურ საშუალებათა და მეთოდების ობიექტური შინაარსის უგულვებელყოფა. ასეთ შემთხვევაში მივიღებთ „იზოლირებულ აბსტრაქციას“.

გასაგებია, რომ „აბსტრაქცია საგნის სიღრმეში ჩაწვდომაა, მისი დანაწილებაა, არსებითი მომენტების გამოყოფაა, მოცემულ ცნებაში ჰერეტიკის გადამღწევაა“, რომ აბსტრაქციის საშუალებით აღმოცენდა ყველა ცხოვრებისეული და სამეცნიერო ცნება და კატეგორია და ა. შ. „აბსტრაქცია ეს არის პროდუქტი და ამასთან მეცნიერების განვითარების წინაპირობა“. აბსტრაქცია თითქოს დროებითია, მაგრამ შინაგანად სინამდვილიდან დაშორებულია. აბსტრაქცია თავისთავად ცალმხრივია. ასეთი აბსტრაქცია პედაგოგიკას არ სჭირდება. დიალექტიკური მატერიალიზმის კანონების ძალით მისი დაბრუნება პრაქტიკაში პედაგოგიკის კონკრეტულ მოთხოვნათა მთლიანი გათვალისწინებით უნდა მოხდეს, ე. ი. უნდა უზრუნველყოფილი ერთიანი პედაგოგიკური პროცესის ყველა მხარის მტკიცე კავშირი. რაც მთავარია, თანამედროვე პედაგოგიკური პროცესის მთავარი მიმართულება უნდა იყოს კომუნისტური ზნეობრივ-ესთეტიკური აღზრდა. სამწუხაროდ, აბსტრაქციამ დაკარგა ხალხურობის სპეციფიკის შეგრძნება და იმდენად აკადემიური გახდა, რომ პედაგოგიკური პროცესის ორგანიზაციის დროს, აღარ ითვალისწინებს ხალხთა (ეთნოგრაფიული ჯგუფების) ადგილობრივ თავისებურებებს. ეს მაშინ, როდესაც ვერავენ უარყოფს კულტურისა და ყოფის სპეციფიკას, მათი განვითარების სხვადასხვა დონეს, რომელიც ესოდენ აუცილებელია ადამიანის ზნეობრივი ჩამოყალიბებისათვის.

ადრე, როდესაც მუშავდებოდა საერთო პედაგოგიკური, პრინციპული დებულებანი, პედაგოგია ემყარებოდა ხალხური სიბრძნის წყაროების სხვადასხვა მონაცემებს, რომლებსაც დიდმა პედაგოგებმა და ჰუმანისტებმა, მათ შორის თანამედროვე მკვლევარებმა, თავიანთ შრო-

გარემო, რომელშიც, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ ვადმონაშს, დადებითად გამოიხატა ეროვნებათა ნიშან-თვისებები.

მებში ჯეროვანი ადგილი დაუთმეს. ყოველივე ამის განზოგადების შედეგად კი დაიკარგა კონკრეტული საზოგადოებისათვის სპეციფიკური პედაგოგიკური დებულებანი. რაც შეეხება იმ მიზნებსა და ამოცანებს, რომლებსაც ცხოვრება აყენებს ადამიანთა წინაშე, უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი, ცხოვრების სხვადასხვა პირობების გამო, სხვადასხვაგვარი უნდა იყოს და ასახავდეს მათ კონკრეტულობას. აღმზრდელობითი ეფექტის სწრაფად მიღწევა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ გამოვიყენებთ კონკრეტულ რეგიონში შემონახულ ფიზიკური აღზრდის პროგრესულ საშუალებებს, მეთოდებსა და ფორმებს.

ჩვენ მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ შრომებში ვეხებოდით ამ საკითხებს, მაგრამ ახლა ფიზიკური კულტურის ხალხური ტრადიციების გამოყენების აუცილებლობაზე სპეციალურად გავამახვილეთ ყურადღება. იგი გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს და უზრუნველყოფს სწავლების, ფიზიკური განვითარებისა და მოსწავლეთა საერთო აღზრდის ერთიანობას და აღკვეთს იმ გათიშულობას, რომელიც შეიმჩნევა აღზრდასა და სწავლებას შორის, განსხვავებას ქალაქად და სოფლად აღზრდის დონეებს შორის. ეს კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს თანამედროვე პრაქტიკაში პედაგოგიურ პოსტულატებს.

ვემყარებით რა ობიექტურ მონაცემებს, ფიზიკური აღზრდის ხალხურ პედაგოგიკას ჩვენ განვიხილავთ, როგორც ერთ-ერთ ქმედით საშუალებას, რომელიც ეხმარება ერთიან, უფრო სწორად, აღზრდის კომპლექსურ პროცესს. ამ პრობლემამ ბოლო ხანებში მკვლევართა ყურადღება მიიპყრო და ეს შემთხვევითი არ არის. 1971 წელს ქალაქ ორჯონიკიძეში ჩატარდა საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია დევიზით — „კომუნისტურ აღზრდაში ეროვნულისა და ინტერნაციონალურის ერთიანობისათვის“. კონფერენციაზე განხილულ იქნა პედაგოგიკის სხვადასხვა ასპექტი, მათ შორის ხალხური აღზრდის. ბევრმა მომხსენებელმა გამოთქვა თავისი გულისწყრომა ფიზიკური აღზრდის ხალხური საშუალებებისა და მეთოდების უგულვებელყოფის თაობაზე. აქვე ითქვა, რომ ეს სამწუხარო მოვლენა შეინიშნება თანამედროვე პედაგოგიკის, აგრეთვე ფიზიკური აღზრდის პრაქტიკაში. უფრო მეტიც, ჩატარდა შედარებითი კვლევა: ხალხური თამაშებისა და ვარჯიშების გავლენა მოძრაობითი დე-სქემების განვითარების დონესა და მთიელი ბავშვებისათვის აუცილებელი ცხოვრებისეული ჩვევების ჩამოყალიბებაზე (ვ. გ. კოროევი), ხალხური საშუალებები გონებრივი, ესთეტიკური და შრომითი აღზრდის სამსახურში (ი. ა. პეჩერნიკოვი, კ. ი. ბუზაროვი, ე. ფ. ტუნკაევი, ბ. ს. სალამოვი, ტ. ორნოკოვი, მ. ბ. გურტუევა, კ. ბ. სალჩაი, რ. მ. ფაშაევი და სხვ.). თანამედროვე პედაგოგ-პუმანისტის ვ. ა. სუხომლინსკის მემკვიდრეობის შემოქმედებითი ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა ხალხური პედაგოგიკისადმი

მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება. იგი ყოველთვის მიმართავდა ხალხურ პედაგოგიურ სიბრძნეს, ყოველთვის ახსოვდა, რომ მომავალი თაობის კომუნისტური სულისკვებით აღზრდაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა ეროვნულისა და ინტერნაციონალურის ჰარმონიული შერწყმა (ნ. ს. სიდოროვი).

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენელი, რომელთაც აღიარეს, რომ ხალხური ფიზიკური კულტურა შეიძლება გადაიქცეს მასტიმულირებელ საშუალებად, საერთოდ, სასწავლო პროცესში აღზრდელობითი ეფექტის მისაღწევად და კერძოდ, ფიზიკურ აღზრდაში. იქ, სადაც ეს ნაწილი ჩამორჩება სასურველ დონეს, სწორი ორგანიზაციის შედეგად, ხალხური ფიზიკური აღზრდა საკმარისად გააღრმავებს ახალგაზრდების მორალურ-ესთეტიკური აღზრდის საშუალებებს. იგი ემსახურება სკკპ პროგრამას, რომელშიც კომუნისტური მორალი ითვისისწინებს ხალხური აღზრდის გამოცდილებას, რომელიც ჩამოყალიბდა „ექსპლოატაციის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და სოციალური თანასწორობისათვის, ბედნიერებისა და მშვიდობისათვის მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში“⁵.

ეს საკითხი იმდენად მომწიფდა, რომ „1918—1985 და მომდევნო 1990 წლამდე სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებაშიც“ პოვა თავისი გამოხატულება. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიანიჭა საბჭოთა ადამიანების ზნეობრივ აღზრდას. ამ მხრივ პირველი მერცხალი იყო გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ დაბეჭდილი სტატია. შემდეგ იგი გამოცემულ იქნა ცალკე წიგნად — „ხალხური პედაგოგიის ბრძნული მცნებები“⁶. სასიამოვნოა, რომ ამ შრომაში საკმაო მასალაა წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის ქართული ხალხური პედაგოგიიდან (გვ. 78—82). მახაჩყალაში 1984—86 წლებში გამოვიდა შ. მირზოევის ორი წიგნი — „ხალხური პედაგოგიკა“ და „დაღესტნის ხალხური პედაგოგიკა“, რომლებშიც დაღესტნის მაგალითზე განხილულია მრავალი საკითხი. სასიამოვნოა, რომ მას ბევრი საერთო აქვს საქართველოს მთიანეთის ხალხურ პედაგოგიკასთან. ხალხური პედაგოგიის, საერთოდ და კერძოდ, მასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების შესწავლა მიზნად დაისახეს ქართველმა ეთნოგრაფებმა. ამ მხრივ აღსანიშნავია ნ. კაპანაძის ნაშრომი „ბავშვის აღზრდის ქართული ხალხური ზნე-ჩვეულებანი“. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ავტორი გააგრძელებს ამ დარგში კვლევით მუშაო-

⁵ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა. 1986, გვ. 80.

⁶ ზ. პ. ვასილცოვა. ხალხური პედაგოგიის ბრძნული მცნებები. 1983 (რუს. ენაზე).

ბას და ბევრ ახალსა და საინტერესო მასალას შემოგვთავაზებს. ნ. ლობერიძეს აქვს ჩაწერილი და დამუშავებული ქართული ხალხური, მათ შორის, რიგი მოძრავი თამაშებისა. ნ. შიშინაშვილსა და გ. კახიძეს კი, გარდა იმისა, რომ ჩაწერილი აქვთ მოძრავი თამაშები, ზოგიერთ სკოლაში მათი თაოსნობით ჩაატარეს შერჩეული თამაშების აპრობაცია და რეკომენდაცია გაუკეთეს მათ სასკოლო ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში გამოყენებაზე.

ამჟამად ასეთი სურათი გვაქვს: მთიან ადგილებში არ სრულდება ფიზიკური აღზრდის სასკოლო პროგრამა, ერთი მხრივ, სპორტულ-მატერიალური ბაზის უქონლობის გამო, მეორე მხრივ კი იმის გამო, რომ ეს პროგრამები ხშირად არ პასუხობენ ადგილობრივი პირობების მოთხოვნებსა და ტრადიციებს, ვერ იზიდავენ ახალგაზრდობას⁷.

ხალხის მიერ ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში საუკუნეების განმავლობაში შექმნილი ადგილობრივი საშუალებების გამოვლინება, არის ხალხური სიბრძნის ერთხელ კიდევ შემოწმება და მისი დაზუსტება, ამ საუნჯიდან საუკეთესო თვისებათა გამოყენება. ხალხთა ყოფაში, წესებსა და ტრადიციებში ჯერ კიდევ შემონახულია ფაქტიური მასალა, აღზრდის პროგრესული, ხალხური მეთოდები, რომელთა შემოქმედებითად გამოყენება დიდ სამსახურს გაუწევს აღზრდის თანამედროვე სისტემას (ამ შემთხვევაში ფიზიკურს) პედაგოგიური პროცესის ყველა მხარის შერწყმაში. ამასთან, საჭიროა აღინიშნოს, რომ ხალხური პედაგოგიკის მნიშვნელოვანი ნაწილი შეუსწავლელია, ბევრი გამოუვლინებელი, ზოგი კი, სამწუხაროდ, დავიწყებულიც.

იყო დრო, როდესაც ხელოვნებასა და კულტურის სხვა დარგებში საერთოდ ხალხური უარყოფილი იყო. არ იყენებდნენ იმას, რაც ხალხმა საუკუნეების განმავლობაში შექმნა. ყოველგვარ „სიახლეს“ კი ხშირად მეცნიერული მიდგომის გარეშე აღიარებდნენ. ხელოვნებასა და ლიტერატურაში ასეთ მდგომარეობას დროულად მიაქციეს ყურადღება და ხალხურისა და კლასიკურის შერწყმით მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს. მედიცინაში კი ამ მხრივ დაშვებული შეცდომები მხოლოდ ახლახან აღიარეს. გამოირკვა, რომ მკურნალობის ბევრმა ხალხურმა მეთოდმა დიდი შემოწმება გაიარა, ვიდრე ჩვენადე მოაღწევდა, ისიც გაირკვა, რომ ბევრი ძველი ხალხური წამალი არაფრით ჩამოუვარდება თანამედროვე ქიმიურ პრეპარატებს. ყოველივე ამის შედეგად, დაიწყო ხალხური მედიცინის რეაბილიტაცია და თანამედროვე მედიცინაში მისთვის ჯეროვანი ადგილის მიკუთვნება. ასეთივე მდგომარეობა იყო ფიზიკურ აღზრდაში. საუკუნეების განმავ-

7 გ. კახიძე. სოფლის სკოლებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დროს საჭიროა ადგილობრივი პირობების გათვალისწინება. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. ცელინოგრაფი, 1980.

ლობაში ზუსტდებოდა ფიზიკური აღზრდის საშუალებანი, მეთოდები და ფორმები. XIX საუკუნეში საქართველოში კაპიტალიზმის და მასთან ერთად სპორტის ევროპულ სახეობათა შემოქრამ უკანა პლანზე გადაწია ყველაფერი ხალხური. თუ ქალაქში ახალმა სახეობებმა ფართოდ გაიღვა ფესვები, ამას ვერ ვიტყვით სოფელზე, რადგან სოფლის მცხოვრებნი ვერ შეეგუენ, ვერ აღიქვეს იგი, გაუგებარი იყო მათთვის არადამახასიათებელი „სპორტული სიახლენი“⁸. როგორც ხალხების განვითარების ისტორიის ანალიზმა გვიჩვენა, ბევრი ეროვნული თავისებურება სხვადასხვა ფაქტორის და უპირველესად, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობის გავლენით, სახეს იცვლის, „შრომის განაწილების სისტემით, საქონლის გაცვლის, ყოფის, ზნეჩვეულებებისა და საზოგადოების შეგნებულობის მეშვეობით“. ყოველივე ეს დიდად ეხმარება სახელმწიფო აღმზრდელობით დაწესებულებებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქის თანამედროვე ურბანიზაციას, მის ერთდროულ კონცენტრაციას და მოსახლეობის იზოლაციას, საწარმოო ინტერესების სხვადასხვაგვარობასა და ერთიანობას. სატრანსპორტო საშუალებათა მოზღვავებამ და საცხოვრებელი ფართობის კეთილმოწყობამ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა და ა. შ. საბოლოო ჯამში უარყოფითი გავლენა მოახდინა არა მარტო ნათესაურ, არამედ მეზობლურ კონტაქტებზე და ბევრი ეროვნული ტრადიცია, მათ შორის აღმზრდელობითი, დაკარგვამდე მიიყვანა.

ამასთან დაკავშირებით, სპორტის სახეობათა რაოდენობრივ ზრდას და აგრეთვე კლასიკურთან დაკავშირებულ ფიზიკური აღზრდის ხალხურ საშუალებებს ქალაქად დახვდა ნოყიერი ნიადაგი, ხოლო სოფლად, საზოგადოებრივი წყობის შეცვლის მიუხედავად, თითქმის უცვლელი დარჩა ისეთი ფაქტორები, როგორცაა ბუნებრივი გარემო, ეროვნული ერთიანობა, ადათ-წესები, ყოფა, ნაწილობრივ, წარმოება და კულტურაც, რომლებსაც სჭირდება არა განყენებული, არამედ გამოყენებითი საშუალებები კონკრეტული სპეციფიკის გათვალისწინებით. ამიტომაც, რომ სოფლად ჭერ კიდევ ფეხი ვერ მოიკიდა სპორტის ბევრმა კლასიკურმა სახეობამ და სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულმა ფიზიკური აღზრდის საშუალებებმა.

გამოვდივართ რა ლენინური კონცეფციიდან, ყოველივე ძველის დავიწყება არ შეიძლება. პატივისცემით უნდა მოვეპყრათ ყველა პროგრესულს და გამოვიყენოთ ადამიანის კეთილდღეობისათვის, გავატაროთ თანამედროვე მოთხოვნათა პრიზმაში და მივიღოთ მხოლოდ ის, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ყოველმხრივ აღზრდას.

⁸ გ. კ ა ხ ი ძ ე. დასახელებული ნაშრომი.

როგორც ცნობილია, საზოგადოების განვითარების ადრეული ფორმები გულისხმობდა აღზრდის კოლექტიურ ხასიათს, რომელიც ხორციელდებოდა შრომისა და ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ლიტერატურის დამოწმებით, უმთავრესად კი საველე-ეთნოგრაფიული მონაცემებით, ცხადი გახდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარი წესრიგდებოდა ადათით, უფროსი თაობის წარმომადგენელთა მეშვეობით. ისინი, მთელი თემის დანატურით, განსაზღვრავდნენ „კაი-ყმას“-იდეალის-ნიშნებით. შავრამ ეს სრულებით არ ნიშნავდა იმას, რომ ყველა საკითხს, მათ შორის საოჯახოს, ისინი წყვეტდნენ. ყოველ ოჯახში, მთიელის იდეალურ პიროვნებაზე იგივე წარმოდგენათა საფუძველზე, აღიარებდნენ ოჯახის უფროსთა ღირსებას. ცხოვრების მკაცრი პირობების გამო, სიცოცხლე უხანგრძლივდებოდათ მხოლოდ იმათ, ვინც კარგად იყო ფიზიკურად მომზადებული, ჰქონდა ის თვისებები, რომლებიც საფუძველად ედო „კაი-ყმას“ ხასიათს. სწორედ ამიტომ (ეს დამახასიათებელია მთელი კავკასიისათვის) თემის უხუცესები იყვნენ ისინი, რომლებსაც შეეძლოთ კარგად განევითარებინათ ეს თვისებები და საყოველთაო პატივისცემა დაემსახურებინათ. ასეთ ხალხს ანდობდნენ ოჯახის, ნათესაობის, თემის მართვას. აქედან გამომდინარე, მათვე ეკისრებოდათ მომავალი თაობის აღზრდა და რადგანაც საზოგადოებრივი ხელმძღვანელობის ყველა მხარე კოლექტიურ ხასიათს ატარებდა, აღზრდას, როგორც საზოგადოებრივ ფუნქციას, ანალოგიური ხასიათი ენიჭებოდა. მაშასადამე, ქართველ მთიელ ბავშვთა აღზრდა მთელი საზოგადოების მოვალეობა იყო და მას ახორციელებდნენ თემის უხუცესები.

ეს „ინსტიტუტი“ თემის მმართველობის სისტემაში სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით. იგი წარმოიქმნა ხალხური პედაგოგიკის იმ საფეხურზე, როდესაც ამოცანები, საშუალებები, მოსალოდნელი შედეგები და აგრეთვე შესაბამისი ნორმატივები წარმოდგენათა ერთიან სისტემაში ჩამოყალიბდნენ და პასუხობდნენ მათში მიღებულ ადათ-წესებს. ამრიგად, ოჯახში ყოველთვის იყო აღსაზრდელი და მის წვრთნაზე არსებობდა მუდმივი კონტროლი. თუ 4—5 წლამდე ბავშვი მიტმასნილი იყო დედასთან, რომლის ყოველი მოქმედება და სიტყვა აღზრდას ემსახურებოდა, შემდეგ ბავშვის აღზრდას ხელს ჰკიდებდა ოჯახის უფროსი მამაკაცი, როგორც წესი, ოჯახის მამა. იგი, ასაკის გათვალისწინებით, ბავშვს ასწავლიდა შრომით ელემენტებს. შემდეგ უფრო რთულ მოქმედებებზე გადადიოდა სხვადასხვა ბუნებრივ პირობებში. მოძრავ თამაშებთან ერთად, ასწავლიდა არა მარტო მოქმედების, არამედ ქცევის „სიბრძნესაც“. ასევე ხორციელდებოდა უფრო

9 ვ. ი. ელაშვილი. ქართული ხალხური ფიზიკური კულტურის ტრადიციები და თანამედროვეობა. თბ., 1973, გვ. 241 (რუს. ენ.).

დიდი ასაკის ბავშვების აღზრდა სოფლად. აქ კი აღმზრდელებად გვევლინებიან არა მარტო ახლო ნათესაეები, არამედ თემის უხუცესები.

სალამოს, როდესაც მთელი ოჯახი თავს იწრიადა, ბავშვები უფროსებს უყვებოდნენ რას აკეთებდნენ, როგორ იქცეოდნენ მთელი დღის განმავლობაში. არ მალავდნენ არაფერს: სად იჩხუბეს, სად მიიღეს ტრავმა, სად მოიქცნენ ცუდად. უფროსი ასეთ შემთხვევაში კიცხავდა თავის აღსაზრდელს, უწუნებდა საქციელს, იქვე მოჰყავდა ცოცხალი მაგალითები: თვითონ ან ვინმე უხუცესთაგანი ასეთ შემთხვევაში როგორც იქცეოდნენ. ამით ბავშვებს საშუალებას აძლევდნენ გამოეტანათ დასკვნები მომავალში სწორი მოქმედებისათვის, სერიოზული მსჯელობის, დიალოგის სახით.

როდესაც მთიელის ეტაპობრივად აღზრდის და ხელმძღვანელობის, მათ შორის ფიზკულტურის საკითხს, განვიხილავდით, გამოვლინდა ამ ინსტიტუტის ორი ერთმანეთში გადახლართული ტენდენცია. პირველ შემთხვევაში ხელმძღვანელი როლი ოჯახში, გვარში, ხოლო მეორე დაკავშირებულია თემთან, ტომთან, ვინაიდან ორივე ექვემდებარება თემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის საერთო კანონს, ყოველ აღმზრდელს ორივე ხარისხის ფუნქციონირების „უფლება ჰქონდა“. ამასთან, ეს მოქმედება ეყრდნობოდა საერთოდ აღიარებულ უფროსუმცროსობის კანონს. ეს ურთიერთდამოკიდებულება თვით აღზრდის ხელმძღვანელობაშიც არის შემონახული. მაგალითად, უფროსი ასაკის წებისმიერი მამაკაცი (მხედველობაშია სისტემის უფროსი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი), როდესაც შეამჩნევდა უფროსი თაობის წარმომადგენლის არასწორ მოქმედებას, ქცევას, მიუხედავად იმისა, ვისი ოჯახიდან თუ გვარიდან იყო იგი, მოვალე იყო შენიშვნა მიეცა, იქვე გაესწორებინა. ამავე დროს, იგი თვითონ ექვემდებარებოდა შედარებით უფროსი ასაკის ჯგუფის წარმომადგენელთა მითითებას.

მთიელთა განვითარების ისტორია მიგვანიშნებს, რომ უფროსი თაობის ქცევა იყო უდავო მაგალითი ახალგაზრდობისათვის, რადგან მთელი მათი ცხოვრება მიმდინარეობდა მათ თვალწინ და მათი მზრუნველობის ქვეშ. ისინი იყვნენ ახალგაზრდებისათვის მამაკობისა და სიბრძნის ეტალონები. მათ ბაძავდნენ შრომასა და ბრძოლაში. თემს სჯეროდა, რომ უფროსების მაგალითზე აღზრდილი თაობა განუხრელად შეასრულებდა ადათებს და ზნეობის დადგენილ წესებს დაიცავდა. საქართველოს მთიანეთსა და ჩრდილო კავკასიაში შეგროვილი მასალები, შესწავლილი ფაქტობრივი მასალა მეტყველებს მთიელთა მაღალ ზნეობაზე, რაც განსაზღვრავდა ყველაფერს, მათ შორის ფიზიკური აღზრდის ხასიათს.

უფრო მეტიც, ყველა ამ საქმეს მთიელები დიდი სერიოზულობით, მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ. ეს ეხებოდა შრომის, გართობის, დროსტარების ყველა ფორმას, რადგან იმ პირობებში ეს იყო აუცილებელი, წინა თაობების მიერ შემუშავებული ბუნებრივი პრინციპები.

ხალხთა იმედები და ფიქრები უშუალოდ დაკავშირებული იყო ობიექტურ სინამდვილესთან რომელიც განისაზღვრებოდა საზოგადოებრივი ქცევის ყველა ნორმით, მათ შორის ფიზიკური აღზრდის მიზნობრივი დებულებებით, მასშტაბებით, ხერხებით, რადგან მისი ეფექტი ემსახურებოდა თემის კეთილდღეობას. ამით მთიელები ეძებდნენ იმ დროისათვის ახალ გზებს, საუკეთესო ორგანიზაციასა და მეთოდებს. სხვადასხვა თემს ახასიათებდა განსხვავებული საშუალებების გამოყენების, ფიზიკურა აღზრდის ფორმების ხელმძღვანელობის თავისებურებანი, რაც გამოიხატებოდა ცხოვრების მიკროპირობებით, რომელიც მხოლოდ მათთვის იყო დამახასიათებელი. ამ თავისებურებებს მკაცრად იცავდნენ, თაობიდან თაობას გადასცემდნენ როგორც ანდერძს ძლიერი, უშიშარი, მარჯვე მთიელის აღსაზრდელად.

ყოველი თემი, როგორც ცნობილია, ურთიერთკავშირში იყო სხვა თემებთან, ამ ურთიერთობის დროს ერთმანეთს უზიარებდნენ ცხოვრებისეულ, მათ შორის აღზრდის საკითხებზე გამოცდილებას. ზოგჯერ მტრულად განწყობილი თემისაგანაც იღებდნენ კულტურის ელემენტებს და თავისებურად გადაამუშავებდნენ მას.

არსებითად, აქ შეინიშნება იმდროინდელი საზოგადოების განვითარებისათვის დამახასიათებელი თავისებური სისტემა, რომელსაც საფუძვლად ედო ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგაპირობებული საერთო სათემო მოთხოვნები. მრავალსაუკუნოვან პრაქტიკაში მან შეიძინა ხალხური ტრადიციის ძალა და მოგვევლინა კანონები სახით, რომელიც განსაზღვრავდა ფიზიკური აღზრდის ხასიათსა და მიმართულებას.

ცნობილია, რომ კლასობრივ საზოგადოებაში ფიზიკური აღზრდა გამოიყოფა შედარებით დამოუკიდებელ დარგად საშუალებათა განსაკუთრებული კომპლექსის ორგანიზებული გამოყენებით, რომელსაც უკვე დაკარგული აქვს სიუჟეტური შინაარსი და გადაიქცევა საზოგადოებრივ მოვლენად. ამის მიზეზი იყო არამარტო მატერიალური ცხოვრების გართულება, რომელმაც მოითხოვა ადამიანის ფიზიკური მომზადების განსაკუთრებული ორგანიზაცია, თავდაცვისა და შრომის უზრუნველსაყოფად.

მთიელთა ფიზიკური აღზრდა იყო საყოველთაო და აუცილებელი თემის ყველა წევრისათვის და მისი შედეგები ეფარდებოდა არა მარ-

ტო საზოგადოების განვითარების დონეს, არამედ ამ დარგში ცოდნის დაუფლების დონესაც.

მუდმივობას და ხანგრძლივობას გამოყენებითი მოქმედებების ათვისების მიზნით, მის წლიდან წლამდე გაუმჯობესებას, იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ეს მოქმედება თანდათან ზუსტდებოდა და იხვეწებოდა (მოქმედების კომპონენტები ფაქტიურად ჩვევამდე დაიყვანებოდა), რადგან მათ უკვე გამომუშავებული ჰქონდათ იმის უნარი, თუ მოკლე შესვენების დროს როგორ აღედგინათ ძალა. რიგი კომპონენტის მრავალჯერ გამეორების (სხვადასხვა ბუნებრივ და ხელოვნურ ცვლილებებთან ერთად) შედეგად შესრულების რიცხობრივი მაჩვენებლები თვისებრივში, ოსტატობაში გადაიზრდებოდა. მთიელებს პრაქტიკულ ჩვევებთან ერთად, გამოუმუშავდებოდათ რწმენა იმისა, რომ მომავალი თაობის აღზრდა უნდა მიმდინარეობდეს არამცთუ მკაცრ, არამედ ხანდახან სახიფათო (ბუნებრივ პირობებთან მიახლოებულ) პირობებშიც კი, რადგან აღზრდის ასეთ სისტემაში ხედავდნენ ოჯახის და მთელი თემის კეთილდღეობას. ამიტომ ხალხური პედაგოგიკა გამოიყენებოდა კონკრეტულ პირობებში. სწორედ აქ ვლინდებოდა ფიზიკური აღზრდისა და განათლების ერთიანობა. ეს ის დროა, როცა განათლება და აღზრდა ჯერ არ იყო დიფერენცირებული.

ყოველივე ეს გამოწვეული იყო მკაცრი, მაგრამ მათი ცხოვრების მოთხოვნათა შესაბამისი პირობებით. ასეთ გარემოებაში ყოველ მთიელს შთაგონებული ჰქონდა, რომ საჭირო იყო ყოველ წუთს მზადყოფნა ყოველგვარ წინააღმდეგობათა გადასალახავად. საზოგადოების წინაშე ყველა უფლებასა და მოვალეობას მთიელი ითვისებდა სისტემატურად თავისი ასაკობრივი მომზადების მიხედვით, ე. ი. ეტაპების მიხედვით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

ოჯახური ცხოვრება, მშობელთა და უფროსთა ურთიერთობა მიმდინარეობდა ისე, რომ ბავშვები გამუდმებით კონტროლის ქვეშ იყვნენ. გრძნობდნენ გარემოს გავლენას და „მოთხოვნილებას“, რომელთაც ცხოვრება აყენებდა დღის წესრიგში. ამ პროცესში ისინი იგებდნენ როდის და როგორ უნდა გაეკეთებინათ და განსაკუთრებით, რატომ, ე. ი. ისინი გრძნობდნენ პასუხისმგებლობას იმ საქმის მიმართ, რომელსაც მათ დააკისრებდნენ, მაგალითად, ხუთი წლის ხევსური ბიჭუნა თავის თავს არწმუნებდა, რომ იგი უკვე კაცია, მას ანგარიშს უწევენ, უსმენენ სერიოზული საკითხების განხილვის დროს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მას მართლაც უწევენ ანგარიშს. ეს იყო გავლენის მოხდენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება.

ახალგაზრდა მთიელის კოლექტიურ აღზრდაში გარკვეულ როლს თამაშობდა „სოფლობა“ — ხალხის შეკრებილობა, რომელსაც ბევრი საერთო ნიშან-თვისება გააჩნდა მთის ტომებში, რადგანაც ერთიანი

სოციალურ-ეკონომიკური წყობიდან იყვნენ აღმოცენებული. ხევსურები მათ უწოდებდნენ „ფეხონს“, სვანები „სოფლობ“, მოხევეები „ერობას“, თუშები „ბეზენეს“, რაჭველები „სანახვოს“, ჩრდილო ოსეთის ოსები „ნიხას“, ქისტები „პიეგს“. ზოგ შემთხვევაში (პირიქით ხევსურები, ოაები, ქისტები) მას სპეციალურ გადახურულ ადგილებში მართავდნენ, სხვა შემთხვევაში კი (პირაქეთა ხევსურები, მოხევეები, სვანები, თუშები, რაჭველები) შემორაგულ მოედნებზე ქვის საჯდომებით (ნაპოვნია სოფლებში: ბაცალიგო, ბისოხანმატი, კორამეშავი, ხახაბო, არდოტი. იხ. გ. ჩაჩაშვილი. შატლის საფეხნო. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 1949), სადაც განიხილებოდა სოფლის თვითმმართველობის ყველა საკირბოროტო საკითხი.

ახალგაზრდობისათვის ეს იყო ზნეობის, ადათ-წესებისა და ჩვეულებითი სამართლის მოთხოვნების შეთვისების „უნივერსიტეტები“, შრომითი და სამხედრო მომზადების კოლექტიური ფორმა.

აღმზრდელის ავტორიტეტი განისაზღვრებოდა იმით, თუ მისი აღზრდილი „კაი ყმის“ იდეალს რამდენად შეესაბამებოდა. გარდა ამისა, ავტორიტეტის წყალობით მას შესაძლებლობა ჰქონდა განეზოგადებინა ხალხური ტრადიციები. იგი სრულყოფილად ფლობდა თემის მეომრების აღზრდის მეთოდოციას. მთიელის აზრით, სწორედ მათში (მოხუცი აღმზრდელები) იყო განხორციელებული მაღალი აუღიერი და ფიზიკური თვისებები, ისინი იყვნენ ეტალონები კონკრეტულ საზოგადოებაში.

ამრიგად, მაღალი შედეგების მიღწევის პირობად აღზრდაში გვევლინება აღმზრდელის პირადი მაგალითი. თუ თვითონ ის არ ფლობდა კარგად განვითარებულ ფიზიკურ და მორალურ-ნებელობით თვისებებს, ვერ მიაღწევდა წარმატებას აღზრდაში.

უფროსი თაობა სანიმუშო მაგალითს წარმოადგენდა ახალგაზრდობისათვის, რადგან მთელი მისი წარსული გმირობით იყო აღსავსე, იქნებოდა ეს ომი თემის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, თუ მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომა. ამიტომ გასაგებია, რომ იარაღის კულტი უცილობელი ატრიბუტი და ბიძგის მიმკეში იყო მთიელ ბავშვთა სამხედრო-ფიზიკურ აღზრდაში. მისი ფლობის დონე განსაზღვრავდა თემის ბრძოლის უნარს. თემს სწამდა, რომ ტრადიციაზე აღზრდილი თაობა შეუნარჩუნებდა თემს სიცოცხლისუნარიანობას. ეს არაა მთის ძველი საზოგადოების იდეალიზაცია. ეთნოგრაფიული და სხვა მასალებით კარგადაა დადასტურებული მთიელთა მაღალი ზნეობრიობა, რასაკვირველია, ცხოვრების მაშინდელ პირობებში, რაც ყველაფერს განსაზღვრავდა, მათ შორის ფიზიკურ აღზრდასაც. ხალხის ფიქრები და იმედები უშუალოდ ობიექტურ სინამდვილესთან იყო დაკავშირებული, რომლის შესატყვისად ობიექტურადვე განისაზღვრებო-

და საზოგადოებრივი ქცევის ყველა ნორმა, მათ შორის ფიზიკური და ნებელობითი აღზრდის მიზნობრივი განწყობა, მისი მასშტაბი და გამოყენების ხერხები. ფიზიკური აღზრდა მიმართული იყო თემის საკეთილდღეოდ.

ყოველივე ეს გროვდებოდა და ზუსტდებოდა საუკუნეთა განმავლობაში, მდიდრდებოდა და თანდათანობით იქმნებოდა გარკვეული წარმოდგენები, საზოგადოებრივი თვალსაზრისი, შეხედულებები. მათ თავდაპირველად ემპირიული სისტემის სახით პოვეს პრაქტიკული განხორციელება და ცნობილი არიან „ხალხურის“ სახელწოდებით. ხალხურ ჩვეულებაში არსებული წარმოდგენის განზოგადება მთიელის იდეალის შესახებ უკვე ასახავს აღზრდის ობიექტურ მოთხოვნილებას (მათ შორის ფიზიკური აღზრდისა), აპირობებს ისეთი სისტემის შექმნას, რომელსაც შესაძლებლობა ექნება უზრუნველყოს მთიელის ცხოვრებისათვის მოსამზადებლად შესაფერისი დონე.

საზოგადოების თვითმმართველობაში სხვადასხვა შეხედულებების ერთ საერთო მნიშვნელამდე დაყვანა, როგორც ჩანს, გარკვეული მოთხოვნებით იყო გამოწვეული. მთიელები ცხოვრობდნენ როგორც ერთიანი მიზნებისა და სურვილების მქონე საზოგადოება თუ ჯგუფი. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ცხოვრების აწორ ორგანიზაციას, სწორ მომზადებას საბრძოლო მოქმედებისათვის. ჩაკეტილი სათემო ცხოვრების პირობებში თითოეული მათგანი, ვაბატონებული თვალსაზრისის საფუძველზე, თავად ქმნიდა საკუთარ იდეალს. მიგრაცია, ნათესაური კავშირების დამყარება, მეზობლების გამოცდილების გადაღება და ა. შ. ხელს უწყობდა კულტურის ზრდას და მათ შორის ფიზიკური კულტურისა და არა მხოლოდ ცალკეული ჯგუფების, არამედ მთელი თემის საუკეთესო თვისებების სინთეზს. ამაში დაუფასებელ როლს თამაშობდა საერთო აღზრდის სისტემა. მეორე გზა, რითაც ხორციელდებოდა ყოველდღიური პედაგოგიური ზემოქმედება, იყო აღზრდა ოჯახში, რომელიც ყოველდღიურად ზემოქმედებდა აღსაზრდელზე. აქედან კი გამომდინარეობს, რომ ხალხური პედაგოგიკა, მისი გამოცდილება, ზემოხსენებულ გარემოებათა გამო, ეყრდნობოდა საოჯახო აღზრდას. მიუხედავად იმისა, რომ თემი დიდ იდეურ ზემოქმედებას ახდენდა აღსაზრდელზე, ხელმძღვანელობდა რა ჩვეულებითი სამართლით, მაინც საოჯახო აღზრდა იყო მეთემეების პრაქტიკულად მომზადების ინსტიტუტი, რაც იმავე საფუძველებს ემყარებოდა. არსებითად, აქ თავს იჩენდა თაობის აღზრდისათვის პასუხისმგებელთა გარკვეული იერარქია. ისინი ემყარებოდნენ ერთგვაროვან პრინციპებს, მაგრამ ფუნქციონირებდნენ სხვადასხვა პირობებში (მცირე ჯგუფი, გაერთიანება). „პროდუქციას“ კი იძლეოდნენ საერთოდ აღიარებული ნორმების შესატყვისად. ამასთან ერთად, ერთიცა და მეორეც ქმნიდა ცოდნის,

უნარის და თვით აღზრდის ჩვევათა ფორმების წინაპირობას, რაც ხალხური პედაგოგიკის შედეგიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. გარდა ამისა, მთიელებში ცნობილია გოგონებისა და ბიჭების ცალ-ცალკე აღზრდა, რაც გამოწვეული იყო აღზრდის პრაქტიკული მიმართულებით.

მომავალ მეომარში, მეცხვარეში, მიწათმოქმედში ზრდიდნენ ხასიათის გარკვეულ თვისებას, ოჯახის მომავალ დედაში კი სხვაგვარს. ეს განსხვავება აშკარად ჩანდა და ამიტომ აღმზრდელობითი ფუნქციებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული იყო. ამასთან ერთად, მთიელის ოჯახურ აღზრდაში ძირითადი აღმზრდელის როლს მამა ასრულებდა, რომელიც შვილებს, უპირველეს ყოვლისა, უნერგავდა შრომისადმი სიყვარულს, ბიჭების აღზრდის დროს ამას ემატებოდა სამხედრო საქმე. ყოველივე ეს არ გამორიცხავდა იმას, რომ ბავშვებზე, განვითარების გარკვეულ ასაკობრივ საფეხურზე, ზეგავლენა არ მოეხდინათ დედას, ბებიას, უფროს და-ძმებს. ცალკეა აღსანიშნავი პაპის, როგორც ყველასაგან პატივცემული კაცის ზეგავლენა მოზარდზე.

საილუსტრაციოდ მოგვყავს საველე ჩანაწერი: მოხუცმა ჩაჩაურმა გვიამბო როგორ უნდა აღიზარდოს (5—6 წლიდან) ბავშვი კაი ყმად/ „ცუდ სიტყვა არ უნდა თქვასო, ის სახელი არ უნდა თქვას, რაც არ ეთქმის (გინება). დედ-მამასთან უნდა სვინდისიერად იყოს. დედ-მამა უნდა შეინახოს. უფროს კაცს ცუდ სიტყვა არ უნდა უთხრას. რაცა კაცს ღონე არ აქვს, გზა უნდა აჩვენოს, ლოგინში დააწვინას, დახურას, პირ არ უნდა შასჩვიას ტყუილს, ცუდ სიტყვას. დედა არ უნდა გააჭავრას, ჰატივი უნდა სცას, მაუაროს სრუ, სანამ ცოცხალია, ბაღლობიდან დაისწავლის, სიკვდილამდე პატივ სცეს, სიტყვა უნდა შეინახას. არ უნდა ჭორიკანობდეს, ერთიმეორეს არ უნდა უთხრას „იმან ისა თქვა, ამან ესო“, „იმან ფინთი თქვა შენზე“. ერთმანეთს არ უნდა გადახვიდასო, ამტრასო ხალხი, აშუღლასო, ქალ-რძალში ცუდ არ უნდა თქვასო, არც ქალ-რძლისად თქვას. დაფასოს თავისი ნათესაობა, ბიძაშვილობა, სხვანი თუ უგინებენ დედას ან მამას, ან ბიძაშვილს, არ უნდა „მაიხდინას“ (აპატიოს). ზევსურს ყველაფერში წილი უნდა ედვას, არ უნდა დაშინდას არაფერში, პურადობაში, პირველ უნდა იყვას, სწრაფი უნდა იყვას, ცხენმხედრობაში ტოლ არავის დაუდას“.

ქართველ მთიელთა ხალხურ პედაგოგიკაში, აღზრდის ზოგადი საკითხების კვლევისას, თავს იჩენს მეთემის იდეალი, რომელსაც ბაძავდა მთელი მოსახლეობა. იგი საერთო იყო ყველა მეთემისათვის და მოიცავდა გონებრივ-ზნეობრივ-ესთეტიკურ, ფიზიკურ (მათ შორის სამხედრო) და შრომით მომზადებას, რომელიც ხორციელდებოდა ერთიან პროცესში.

მეთემის იდეალის სხვადასხვაგვარი დანიშნულება აპირობებდა განსხვავებულობას აღზრდის ხელმძღვანელობაში: 4—5 წლამდე ბიჭებიცა და გოგონებიც დედის მეთვალყურეობით იზრდებოდნენ, შემდეგ ბიჭები გადადიოდნენ მამის მეურვეობაში. გოგონების აღზრდას კი დედა ხელმძღვანელობდა.

ბავშვი ოჯახში ეცნობოდა ქცევის წესებს, საზოგადოებისა და ოჯახის მოთხოვნებს, უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხებოდა ოჯახის წევრებსა და მეზობლებთან და საერთოდ საზოგადოებასთან ურთიერთდამოკიდებულებას „რჩულის საფუძველზე“ (რჩული — კანონების ზეპირი კრებული, რაც არეგულირებდა საზოგადოების ყველა წევრის მომზადების, ქცევის წესებსა და ნორმებს საწარმოო, ეკონომიკური, პოლიტიკური, ერთი სიტყვით, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების გათვალისწინებით).

მთიელის ქცევის ნორმაში გათვალისწინებული იყო ურთიერთდამოკიდებულების მთელი თავისებურება: უმცროსისა — უფროსთან, მამაკაცებთან და ქალებთან, მეგობრებთან და ნათესავებთან. ამასთან, გათვალისწინებული იყო ურთიერთდამოკიდებულების ყველა შემთხვევა. მთიელთა ურთიერთობაში ქონებრივი ნიშანი თითქმის გამორიცხული იყო (სუბორდინაცია ამ ნიშანზე არ იყო დამოკიდებული), ყველა მთიელი ერთმანეთთან ურთიერთობაში თანასწორუფლებიანი იყო. ბავშვები ისმენდნენ და ეუფლებოდნენ „ანდრეზებს“ (უფროსების მონათხრობი), თანდათანობით ეცნობოდნენ ბუნებას, ტოპონიმიკას, ადგილებს, სადაც შეიძლება თამაში, სირბილი, ხტომა (თავისუფალი, დაბრკოლებების გადალახვით, ჭოკით და ა. შ.), ხოხვა და თხილამურებით, ციგებით დაშვება, რაც თანდათან რთულდებოდა და სხვა ამგვარი. ამავე დროს, ისინი ლეზულობდნენ პირველ ცნობებს გარემომცველი ბუნებისა და მოვლენების, სამეურნეო საქმიანობის და საერთოდ შრომის თავისებურებების შესახებ.

ამასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ირგვლივ მომხდარი მოვლენების აღქმისა და გაზიარების უნარის ფორმირება. ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნა იყო აღსაზრდელს სცოდნოდა როგორ ელაპარაკა უფროსებთან, ქალებთან, სტუმრებთან; თანატოლებთან. ამაზე ბევრად იყო დამოკიდებული მომავალი მეთემეების ურთიერთდამოკიდებულება.

თავდაპირველად ბავშვებს ევალეობოდათ უფროსებისადმი დახმარება ელემენტარული მოქმედებების შესრულებაში (წყლის მიწოდება, რაიმე საგნის, ინსტრუმენტის და ა. შ. ადგილზე მიტანა, წყალზე წასვლა, თუ ძალიან შორს არ იყო წყარო და სხვ.). უფრო მოგვიანებით, სწავლობდნენ მოქნილი წნელისაგან სხვადასხვა ნივთების დაწვანას, ქვის ღობის აგებას და სხვ. თანდათან რთულდებოდა დავალებები, ფარ-

თოვდებოდა გამოყენებული საგნებისა და შრომის იარაღების წრე. ბავშვები საუსებით სერიოზულად ეკიდებოდნენ „ამ თამაშს“, უფროსებისადმი მიბაძვით ეუფლებოდნენ შრომით ჩვევებს, ემზადებოდნენ მომავალი საქმიანობისათვის.

ამ ასაკის ბავშვთა ყოფა და გართობა სხვადასხვა მოძრავი თამაშებითაა დატვირთული. უფრო მალალ ასაკში გოგონები ეუფლებოდნენ ქალის საოჯახო შრომას, ხოლო ბიჭები — მწყემსის ჩვევებს იძენდნენ უშუალოდ საძოვრებზე, სადაც ისინი მამებს მიჰყავდათ. აქ ისინი სწავლობდნენ, თუ სად იყო კარგი საძოვარი, როგორ შეიძლებოდა იქ უსაფრთხოდ მისვლა, როგორ უნდა დაეცვათ ჯოგი საფრთხისაგან და ა. შ. ამავე დროს, ბიჭები აქ ეუფლებოდნენ უბელო ცხენზე ჯდომის ხელოვნებას, ამ საქმიანობის პროცესში მათ უფართოვდებოდათ წარმოდგენა გარემომცველი ბუნების შესახებ. 12—13 წლის ბიჭებს ანდობდნენ საქონლის დამოუკიდებლად მწყემსვას, რადგან ამ ასაკში მათ უფრო რთული სამუშაოს შესრულება არ შეეძლოთ.

ამისათვის, ჩვეულებრივ, რამდენიმე ბავშს აგროვებდნენ, რომლებიც ერთობოდნენ ფიზიკური ვარჯიშების შესრულებით (მათ შორის სამხედრო-ფიზიკური ვარჯიშებითაც), უფრო მეტად თამაშის ფორმით. ამ საქმეში ბავშვებს დიდ დახმარებას უწევდნენ მოზრდილი მწყემსები, რომლებიც ზოგჯერ მათთვის საინტერესო თამაშებსაც კი აწყობდნენ, რაც ანვითარებდა მეტად მნიშვნელოვან მორალურ-ნებელობით და ფიზიკურ თვისებებს, აგრეთვე უნერგავდა მათ სამხედრო-გამოყენებით ჩვევებს.

ისინი თანდათანობით ეჩვეოდნენ ცხოვრების მკაცრ პირობებს, თანდათანობით ითვისებდნენ შრომით ჩვევებს, ემზადებოდნენ მომავალი სიძნელეების გადასალახავად. ამრიგად, ოჯახი იყო ბიჭებისა და გოგონების პირველდაწყებითი აღზრდის ძირითადი რგოლი.

აღზრდის შედეგები ბევრად იყო დამოკიდებული მამის შორსმკვრეტელობასა და პედაგოგიურ უნარზე, რაც მათ ოდითგანვე ჰქონდათ შეთვისებული. ეს თავს იჩენდა მის პირად მაგალითსა და მოთხოვნაში, ფეხდაფეხ მიჰყოლოდნენ მას. ეს იყო მთავარი აქტიურობის გამოუმუშავებაში, ბავშვების მიერ. შრომითი და საყოფაცხოვრებო ჩვევების დაუფლებაში. ბავშვებს უქმნიდნენ რწმენას: „შენ თუ არ გახდები ისეთი, როგორიც მამაა, ოჯახი ვერ გადალახავს სიძნელეებს“. ეს იყო მთავარი ლაიტმოტივი მამის პედაგოგიურ მოღვაწეობაში. ამიტომ, ბიჭი ცდილობდა მამის წინაშე ყოფილიყო მოწესრიგებული, სერიოზული და რაღაცით მაინც დამსგავსებოდა მას. იცოდა, რომ ვერაფრით გააკვირვებდა მამას, მაინც ელოდა მისგან შექებას და ამას მამა აკეთებდა თავშეკავებით. ხშირად იგი მხოლოდ ალერსიანი მზერით თუ წაახალისებდა შვილს მამაკაცური საქციელისათვის.

ამასთან ერთად, მამა მხოლოდ მაშინ ჩაერეოდა ოჯახის სხვა წევრებს აღზრდის პროცესში, როცა დარწმუნებული იყო, რომ ამ საქმეს მასავით სხვა ვერავენ გააკეთებდა. მისი მთავარი ფუნქცია ამ შემთხვევაში იმაში მდგომარეობდა, რომ მკაცრი კონტროლი გაეწია ოჯახის წევრთა პედაგოგიური მოქმედებისა და ბავშვთა მოქმედებისათვის თემის მოთხოვნებიდან გამომდინარე. მამის სიტყვა შეუვალი იყო. მისი სააღმზრდელო იდეალების ძირითადი გამტარებლები იყვნენ: ცოლი, ბებია, პაპა, უფროსი ბავშვები, ახლო მეზობლები (ჩვეულებრივ, ნათესაეები), რომლებიც ასწავლიდნენ აღსაზრდელს როდის, ვისთან როგორ დამოკიდებულებაში ყოფილიყვნენ და როგორ გამხდარიყვნენ „დღიანი“ — ავტორიტეტულნი.

ბავშვებისაგან მოითხოვდნენ დამოუკიდებელ მოქმედებას ერთ შემთხვევაში როგორც ოჯახის წევრის, სხვა შემთხვევაში, როგორც გვარის, თემის წარმომადგენლისაგან, უფროსების მონაყოლში „კაი ყმა“ დახასიათებული იყო როგორც უშიშარი, მამაც, მიზანსწრაფული... აღსაზრდელს ევალბოდა მიებაძა მათთვის, მაგრამ საკუთარი გზით ევლო, ე. ი. როგორც მას უკარნახებდა კონკრეტული გარემოება. ამრიგად, უფროსები არასდროს ასწავლიდნენ „კაი ყმის“ მოქმედების მიბაძვას. შემსრულებელს თავად უნდა გადაეწყვიტა როგორ მოქცეულიყო და გამოეყლინა თავისი ინიციატივა, უნარი. მნიშვნელობა ეძლეოდა შედეგს. მაგალითად, მოეძებნა ჯოგს ჩამორჩენილი საქონელი, ან კიდევ ტაქტიკური მანევრირებით შეერჩია მოკლე გზა და დასწეოდა მტერს.

ქართულ ფოლკლორში არაერთგზისაა ფიქსირებული შემთხვევები, როცა 14—15 წლის ბიჭს დამოუკიდებლად გადაუწყვეტია მტერზე თავდასხმისა და მდევრად წასვლის საკითხი.

ბიჭების აღზრდის დროს უმთავრესად ითვლებოდა თავგანწირვისა და მიღებული გადაწყვეტილების უთუოდ შესრულების უნარი. ამით ცდილობდნენ მათში აღეზარდათ შეუპოვრობისადმი გამუდმებული სწრაფვა შრომისა და სამხედრო მომზადების პროცესში.

ხალხის ეს შეხედულება, მისი გონების პროდუქტი, გადაეცემოდა თაობიდან თაობას როგორც „ანდრეზი“, მოთხოვნა, მდიდრდებოდა გამოცდილებით.

თემი არ იყო აბსოლუტურად კარჩაკეტილი, მას კავშირურთიერთობა ჰქონდა სხვა, პირველ რიგში, მეზობელ თემებთან, რომელსაც უზიარებდა თავის გამოცდილებას, მათ შორის ფართო კავშირი მყარდებოდა კულტურულ-ესთეტიკურ სფეროშიც. ყოველი თემი თავისებურად გადაამუშავებდა და ისე ითვისებდა მეზობლების კულტურის ელემენტებს, მათ შორის მათდამი მტრულად განწყობილი მეზობლი-

საუ. იქმნებოდა განზოგადებული ცნებები, გამოხატული სხვადასხვა ტერმინებში, რომლებიც ამჟამად გამოიყენება.

არსებითად, აქ თავს იჩენს თავისებური, საზოგადოებრივი განვითარების იმ დროისათვის ურთიერთგანპირობებული და ურთიერთდაკავშირებული ტომთაშორისი წარმოდგენები, რომელთაც მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკის შემდეგ, ხალხური ტრადიციების წყალობით, მიიღეს გარკვეული კანონის სახე, რაც განსაზღვრავდა ფიზიკური აღზრდის მიმართულებასა და ხასიათს.

ქართველ მთიელთა ჩვენამდე მოღწეული ფიზიკური აღზრდის სისტემაში ნათლად ჩანს ტომთა ინტერესების გავლენა. ამიტომ სამართლიანობა მოითხოვს ვივარაუდოთ განზოგადებულ წარმოდგენათა მთელი სისტემის არსებობა, რაც დაფუძნებული იქნებოდა ფიზიკური მომზადებისათვის გამოყენებულ საშუალებებზე, მეთოდებსა და ფორმებზე.

ცნობილია¹⁰, რომ ფიზიკური აღზრდა დამოუკიდებელ საზოგადოებრივ მოვლენად იქცა იმ მომენტიდან, როცა ის გამოეყო საერთო აღზრდას და უშუალოდ ჩადგა საზოგადოების სამსახურში. ამის მიზეზი იყო არა მარტო მატერიალური ცხოვრების გართულება, რამაც მოითხოვა საწარმოო შრომაში ჩართული ადამიანის განსაკუთრებული ფიზიკური მომზადების ორგანიზაცია, არამედ გარეშე მტრებისაგან თავდაცვის უზრუნველყოფის პირობებიც. შეგროვილმა ემპირიულმა მასალამ და ფიზიკური აღზრდის სპეციალური ორგანიზაციის სავალდებულობის გააზრებამ განაპირობა ფიზიკური აღზრდის საშუალებებისა და ორგანიზაციის ფორმების სრულყოფა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ობიექტური პირობები ხელს უწყობდა ფიზიკური აღზრდის გარკვეული სისტემის შექმნას.

მთიელთა ფიზიკური აღზრდა ამ გზით მიდიოდა. ის იყო საერთო და სავალდებულო საზოგადოების ყველა წევრისათვის, ხოლო მისი შედეგები ხელს უწყობდა საზოგადოების განვითარების დონის ამაღლებას. ფიზიკური ვარჯიშებისა და მოძრაობის თამაშების მუდმივი სრულყოფის, მათი განმეორების მრავალჯერადობის შედეგად, მთიელთა მოქმედებები თითქმის ყოველთვის იყო უნაკლო, იგი იქცეოდა ჩვევად, რაც ხელს უწყობდა განმეორებებს შორის გარკვეული დასვენების შემდეგ უზუსტესი მოძრაობების სწრაფ და ადვილ აღდგენას.

ყოველივე ეს გამოწვეული იყო ცხოვრების მკაცრი მოთხოვნებით, სახელდობრ კი იმით, რომ აუცილებელი იყო მზადყოფნა ყოველგვარი დაბრკოლებების გადასალახავად, მათ შორის სიცოცხლისათვის ბრძოლაში.

¹⁰ ვ. ი. ელაშვილი. ფიზიკური აღზრდა — საზოგადოებრივი მოვლენა. — ზაქ. სახ. ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის შრომები. ტ. IV, 1962 (რუს. ენაზე).

ქართველ მთიელთა ფიზიკური აღზრდა, როგორც გააზრებული მთლიანი სისტემა (მიზნისა და ამოცანების ერთიანობა, ორგანიზაცია, ნორმატივები, შედეგები და ა. შ.) შესატყვისი ქცევის ნორმათა კომპლექსისა, საზოგადოების წევრთა უფლებრივი ურთიერთდამოკიდებულების განუყრელი ნაწილი იყო.

კონკრეტული მიზანდასახულობის ასეთი გააზრება მიუთითებს პრაქტიკულ განზოგადებაზე, რომელიც ყოველთვის პოულობდა თავის ასახვას ფოლკლორში აღზრდის და მათ შორის ფიზიკური აღზრდის, საერთო იდეალის სახით.

მამაცური საქციელი გულმოდგინედ შეისწავლებოდა და განზოგადდებოდა ხოლმე, განსაკუთრებით იმათი, რომელთაც აღმზრდელის ფუნქციები ეკისრებოდათ. მთიელის ფიზიკური აღზრდა ადრეული ასაკიდან იწყებოდა. მას ბავშვობიდანვე უნერგავდნენ, რომ ის უნდა ყოფილიყო „კაცური კაცი“, „კაი ყმა“. გმირების მოქმედება, მათი აღზრდა იყო სხვებისათვის მისაბაძი მაგალითი. აღმზრდელობითი ეფექტის შესაქმნელად აღსაზრდელს ყოველივე ამას ხშირად ჰიპერბოლური ფორმით აწოდებდნენ. სწორედ ასეთი სახით გადაეცემოდა თაობიდან თაობას „კაი ყმის“ საქმენი. მათ აქებდნენ თემში, დღეობებზე, ლოცვის დროს. მათ პატივსაცემად თვალსაჩინო ადგილას სახელობით ქვებს დგამდნენ და ა. შ. საკარგყმოს დგამდნენ თემის ძირითად ხატში, სადაც წელიწადში ერთხელ, ხატობაში აღდგურდებდნენ, ხოლო თუ მკვდარი იყო, მისთვის ლოცულობდნენ.

ყოველივე ეს ინერგებოდა ბავშვებში ადრეული ასაკიდან. თემის, ერის სიყვარული (პატრიოტიზმი), სამშობლოსადმი ერთგულება აისახებოდა ლეგენდებში, თქმულებებში, სიმღერებში, რაც უდიდეს როლს თამაშობდა თაობების აღზრდაში. გარდა ამისა, ფოლკლორში, ასევე ქართველ მწერალთა შემოქმედებაში უმღერდნენ არა მხოლოდ გმირებს, ღირსეულ ადამიანებს, არამედ ღირსეულ მტერსაც, რომელსაც თავისი ბრძოლისუნარიანობით ქართველი მთიელები აღტაცებაში მოჰყავდა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიგონოთ ვაჟა-ფშაველას „აღუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“ და სხვ. მაგრამ ამასთან ერთად ხალხი არ ივიწყებდა უარყოფით პიროვნებებსაც, რათა გამოვლენილიყო და გაკიცხვის საგანი გამხდარიყო ცუდი საქმენი.

თქმულებებში (გადმოცემებში), ისტორიულ ნიმუშებში მთიელთა ისეთი თვისებები, როგორიცაა: სიმამაცე, სიმტკიცე, ნებისყოფა და ერთგულება, გათანაბრებული იყო საუკეთესო ფიზიკურ მონაცემებთან. ყოველი მეთემე ცდილობდა ჩაენერგა ბავშვებში ამ პარამონიის უმაღლესი გამოვლინება. ეს ბიძგს იძლეოდა ხასიათის ცალკეული თვისებების, ნებელობითი თვისებებების აღსაზრდელად. მათი აღზრდის მე-

თოდიკაც იმ დროისათვის საკმაოდ პრაქტიკული იყო და სათანადოდ განზოგადებულიც.

ხალხი ითვალისწინებდა პიროვნების მთლიანობის, სულიერისა და ფიზიკურის ერთიანობის მნიშვნელობას. ამასთანავე, უპირატესობას ანიჭებდა სულიერს, რადგან ყველა ადამიანური მოქმედება, ასე თუ ისე, სულიერის გამოვლინებაა, უფრო ზუსტად, ინტელექტუალურ-აღმზრდელობითის, რადგან უკანასკნელი სულიერის საფუძველია.

მთავარი ბავშვის აღზრდაში თავიდანვე მშობლების პირადი მაგალითი იყო, მათი სამართლიანი სიმკაცრე, აღზრდა იწყებოდა იაენანათი, რომელშიც ხობტას ასხამდნენ იმას, რაზედაც ოჯახი, მშობლები ოცნებობდნენ, რაც შეეხება ბავშვის მოფერებას, იგი დედის საქმე იყო, თუმც გარეგნულად არც ისინი ავლენდნენ ამას მაინც და მაინც. მაგრამ დედის სახის ალერსიანი გამომეტყველება, მელოდიასთან ერთად, მაგიურად მოქმედებდა. ასეთი განწყობილება უადვილებდა ყრმას გარემოს აღქმას.

საქართველოს მთიანეთში არსებობდა სწავლების მეთოდები, რომლებიც ითვალისწინებდნენ არა მხოლოდ ცალკე, გამოყენებით სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას, არამედ პირველ რიგში ზოგადი ფიზიკური მომზადების ორგანიზაციასაც. აქ ვლინდება თანამედროვე პედაგოგიკის ხალხური საწყისები. არსებობს თვალსაზრისი, რომ ასეთი, ობიექტური სინამდვილიდან გამომდინარე საწყისები, არის ამ გარემოებებთან თაობათა ემპირიული გამოცდილების შედეგების შედეგი. არაფერია აქ წინააღმდეგობრივი, თუ გამოცდილებას განვიხილავთ არა როგორც პასიურ შეგუებას, არამედ ადამიანთა სავსებით გააზრებულ აქტიურ მოქმედებას.

მთიელის ყოველი მოქმედება, იქნებოდა ეს შრომა, სამხედრო საქმე, მითუმთეს აღზრდა, თუ ურთიერთობა ოჯახში (თემის რიტუალები, წეს-ჩვეულებები), სხვადასხვა გართობა-დროსტარებასა და თამაშებში მონაწილეობა და თვით ხუმრობაც კი გარკვეული სერიოზულობით გამოირჩეოდა. და ეს არც არის გასაკვირი, არსებობისათვის იმ მკაცრ პირობებში, როცა მთიელის ყოველი არასწორი სიტყვა თუ ნაბიჯი სიცოცხლის ფასად შეიძლება დამჯდარიყო. ეს იყო თავის გადარჩენის სავსებით ბუნებრივი პრინციპი. ამიტომ მამის მიერ შვილის მომზადებულობის შემოწმების მეთოდებიც ასახავდა ამ მოთხოვნას. ამის მაგალითად შეიძლება გამოვსვა შვილის სიმამაცისა და უშიშრობის შემოწმების განსაკუთრებით მკაცრი ჩვეულება, რომელსაც ქველად მიმართავდნენ (ჩაწერილია 1947 წ. სოფელ უშგულში, ზემო სვანეთში სვანეთის ყოფისა და ჩვეულებების კარგი მცოდნის ბესარიონ ნიჟარაძის მონაყოლის მიხედვით). მამა, როცა ამის მიზეზს იშვილდა, მოზარდ შვილზე თავის მრისხანებას გადმოაფრქვევდა. ამით იგი ამოწმებდა მის სიმამაცეს და მზადყოფნას, საჭირო შემთხვევაში დაეცვა

საკუთარი თავის, ოჯახის, გვარისა და მთლიანად საზოგადოების ინტერესები.

აღზრდის ხალხური მეთოდის ერთ-ერთი თავისებურება იყო სხვადასხვა მოძრაობითი ჩვევების კომპლექსის, ფორმირება ფიზიკური და ფსიქიკური თვისებების სათანადო აღზრდა-განვითარებით. ამის ნიმუშად შეიძლება გამოდგეს აღზრდის სამხედრო-ფიზიკური მიმართულება. რამდენადაც სიცოცხლის დაცვა იარაღის ხარისხსა და მის სრულყოფილობაზე ბევრად იყო დამოკიდებული, ამდენად აღმოცენდა იარაღის კულტი, რომელსაც განსაკუთრებით იცავდა თემი (დაწვრილებით იარაღის კულტის შესახებ ისტორიულ საქართველოში, იხ. „ქართული ხალხური ფიზიკური კულტურა და თანამედროვეობა“, თბ., 1973. რუს. ენაზე). ბიჭებში ადრეული ასაკიდანვე ნერგავდნენ მეომრის თვისებებს: უშიშრობას, სიმამაცეს, გამირობას. შეუპოვრობას მიზნის მიღწევაში, მომჭირნეობას, ამტანობას, მოხერხებულობას. ძალას, სისწრაფის კომპონენტს. ამასთან, ყოველივე ეს ხორციელდებოდა ბუნებრივთან მიახლოებულ პირობებში.

მაგალითად, ხევსურს ბავშვობიდანვე უნერგავდნენ იმის რწმენას, რომ მამაკაცისათვის აუცილებელია ფარიკაობის ჩვევის გამომუშავება, იმისათვის, რათა არ ეშინოდეს მტერთან შეხვედრისა და არ გამოიჩინოს სიმხდალე, რაც მთელი თემის გმობის საგანი იყო. ყოველივე ამის გამო ბიჭები სერიოზულად უყურებდნენ ყოველგვარ საბრძოლო იარაღს და მისი ფლობის საქმეს¹¹. საჭიროებისას ბრძოლას აჩერებდნენ ხოლმე და უფროსები თავად უჩვენებდნენ თავდასხმისა თუ თავდაცვის ამა თუ იმ ხერხის შესრულების სწორ ტექნიკას. აღნიშნავდნენ ვინ გამოიჩინა მეტი მოხერხებულობა დარტყმების შესრულებასა და თავდაცვაში. ტექნიკის შესწავლას თან ახლდა ბრძოლის შერჩევა, ტაქტიკური გააზრება, დისტანციის გათვალისწინება, იარაღის „გრძნობის“ განვითარება, მოწინააღმდეგის ფსიქიკურად დათრგუნვის თუ პარალიზების უნარის გამომუშავება შეძახილით, სხეულისა თუ იარაღის ცრუმოძრაობით და სხვ. ბრძოლის წარმოების ეთიკის ყოველგვარი დარღვევა სასტიკად იკრძალებოდა (უკანდახევა, დარტყმები სხეულის აკრძალულ ადგილებში და სხვ.), რადგან მთიელის პატიოსნება, მისი ღირსება განუყრელი იყო მეთემის გამირობისაგან.

ხევსურული ეთიკა უკრძალავდა ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესალებს აღტაცებისა თუ გაკიცხვის გამომხატველი გრძნობების გამოვლენას უცხოთა თანდასწრებით. მაგრამ ოჯახურ გარემოში მამები შვილების მიერ კარგად ჩატარებული ბრძოლის გამო ამაყობდნენ, ხოლო შეცდომებისა და ხარვეზებისათვის კი კიცხავდნენ, ხშირად საკმაოდ მკაცრად.

¹¹ ი. ე ლ ა შ ვ ი ლ ი. ფარიკაობა. თბ., 1956 (რუს. ენაზე).

ანალოგიურად მიმდინარეობდა ყველა სხვა მოქმედების, იქნებოდა ეს მოძრაობი თამაშები, თუ ვარჯიში ტუორცნებში, მშვილდოსნობაში და სხვ., სწავლების პროცესი. ჩვეულებისამებრ, უფროსები თვლიდნენ, რომ ბავშვები თავდაპირველად დამოუკიდებლად შეძლებდნენ მოძრაობების ტექნიკისა და მოქმედების თავისებურების სწორ აღქმას, რამდენადაც მათში განვითარებული იყო უფროსებისადმი მიბაძვის მისწრაფება. ტექნიკის შემდგომი სრულყოფა უკვე მოითხოვდა გამოცდილი ხელმძღვანელის ჩარევას, უმეტესად მშობლების სახით.

მთიელები პატივისცემით ეპყრობოდნენ ბავშვთა ყოველგვარ წარმატებით საქმიანობას, იქნებოდა ეს შრომა თუ ყოფითი სფერო, რადგან აკავშირებდნენ მას გვარის მომავალი კეთილდღეობის სულისკვეთებასთან. მაგალითად, მამა მოზარდს პირველად დამოუკიდებლად სოფლის ახლომახლო ადგილებში უშვებდა ახადიროდ, ერთ გილხს აძლევდა და აფრთხილებდა, რომ წარმატებით გამოეყენებინა ის. ამასთან, იგი შენიშნავდა: კარგი მთიელი არ დაუშვებს ფუქვასროლას. ამიტომ იგი კვალში ჩაუდგებოდა ნადირს, მიეპარებოდა ისეთ მანძილზე, საიდანაც ნასროლი ნამდვილად მოხვდებოდა მიზანს... აქ ჩანს მეთოდური ხერხების ინტეგრაცია, თავმოყრილია ერთდროულად სიზუსტე და ტყვია-წამლის მომჭირნეობა, დაყინებულობა და შეუპოვრობა ნადირის დევნისას, კლდოვან რელიეფზე, რაც გამოწვეულია მისწრაფებით, რაც შეიძლება სწრაფად გახდეს „კაი ყმის“ საპატიო წოდების მფლობელი (მატარებელი), ანდა უფროსთაგან ქება დაიმსახუროს. ამასთან ერთად, ისინი ავლენდნენ თვითმყოფადობას ცოდნის, უნარისა და ჩვევების შექმნაში, ზნეობრივი პრინციპების გაგებასა და განხორციელებაში. ასეთივე განწყობა იგრძნობოდა მოქმედებათა დაუფლების დროს, რაც სრულდებოდა საკუთარი ფიზიკური, ნებელობითი და ინტელექტუალური შესაძლებლობების შესატყვისად, მაგრამ ყოველთვის მაქსიმალური დაძაბულობის ნიშნით. შეიძლება ითქვას, რომ აღზრდა და თვითაღზრდა დამოკიდებული იყო ოჯახსა და საზოგადოებრივ წყობაზე, თემის სულიერ სიმწიფეზე.

როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, აღზრდის შედეგიანობის შემოწმების ერთ-ერთი ფორმა იყო ტრადიციული საღამოს საუბრები, ოჯახის „წუხრ-წუხრ ჯალაფთ საუბრები“. ამ დროს მამა არჩევდა სამეურნეო საკითხებსა და იმ ახალ ამბებს, რასაც დღის განმავლობაში იგებდა ოჯახის ყოველი წევრი. არაუმნიშვნელო ადგილი ეჭირა მასში მშობლების მამის, პაპის საუბრებს ბავშვებთან, განსაკუთრებით ბიჭებთან. უფროსები ამ საუბრებში ეხებოდნენ ბავშვების მოქმედებასა და საქციელს, ზნეობის საკითხებს, საზოგადოებრივ ნორმებს, შრომითი და საბრძოლო მომზადების ხარისხს, ბავშვების ფიზიკურ მდგომარეობას და სხვ. ასეთი ყურადღება გამოწვეული იყო იმით, რომ

ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი უნარების, ჩვევების, ფიზიკური და ნებელობითი თვისებების დაუფლება ძირითადად ხორციელდებოდა დამოუკიდებლად, იმათ მიერ, ვისაც შეჰყურებდნენ როგორც ოჯახის მომავალ იმედს („მომნაგრებელი“), საოჯახო ტრადიციების შემნახავსა და გამგრძელებელს. ხევსურეთში გაბატონებული რწმენის თანახმად, არსებობის წარმატება დამოკიდებული იყო მამაკაცის უნარზე შეეფასებინა ცხოვრების მოვლენები, ჩამოყალიბებული ურთიერთდამოკიდებულებანი, სიტუაციები და ამის საფუძველზე მიეღო გადაწყვეტილება. ასეთ დამოკიდებულებას აჩვენებდნენ ბავშვობიდანვე. ამიტომ საუბრებში უფროსები ყურადღებით უსმენდნენ ბავშვებს, მაშინაც კი, როცა ისინი ცდებოდნენ ანდა სისულელეს ამბობდნენ. მათ უსმენდნენ სერიოზული გამომეტყველებით, უსწორებდნენ შეცდომას, არწმუნებდნენ „ანდრეზის“ მოშველიებით. მაგალითები მოჰყავდათ „კაი ყმის“ საქციელიდან ისეთი ფორმით, რომ ეს ბავშვებს საწყენად არ დარჩენოდათ. ამით მათ წახალისებდნენ საკუთარი აზრების გამოსათქმელად. იმავდროულად ყოველმხრივ ცდილობდნენ სამართლიანობის, განსჯის უნარის, ზნეობრიობის აღზრდას. ამ პროცესში ვლინდებოდა ბავშვების ცოდნის დონეც და მათი პიროვნული თვისებები.

შექმდებელია ადექვატური შედეგები მივიღოთ ადამიანთა აღზრდისაგან კონკრეტულ-ისტორიული, კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების, ბარში, ზეგანსა და მაღალმთიან რაიონებში მცხოვრები ადამიანების ეთნიკური და სხვა თავისებურებების მხედველობაში მიღების გარეშე, მათი ერთნაირი მეთოდებითა და საშუალებებით აღზრდის დროს. მთის რაიონებში ერთგვარი უპირატესობა ეძლევა საუკუნეებში გამომუშავებულ ადგილობრივ საშუალებებს, რადგან სწორედ ისინი პასუხობენ ცხოვრების, ყოფის, წარმოების, კულტურის კონკრეტულ მოთხოვნებს. ჰიგიენური, საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი, მათ შორის ზოგადკულტურული ამოცანების განსაკუთრებით ეფექტური გადაწყვეტის ინტერესები კარნახობენ ცხოვრების ყველა თავისებურების მხედველობაში მიღებას.

თანამედროვე პედაგოგიკის მეთოდური ნაწილის ერთ-ერთ წყაროდ და პირველსაწყისად აღიარებულ უნდა იქნეს ხალხური პედაგოგიკა პროგრესული ელემენტები. მარქსისტულ-ლენინური თეორიის და განსაკუთრებით მისი ფილოსოფიის, როგორც თანამედროვე პედაგოგიკის მთავარი საფუძვლის, ძირითადი ფუნდამენტის არსებობის პირობებში ცხოვრებისაგან მოწყვეტა უპატიებელია.

ჩვენი მისწრაფებაა ფიზიკურ კულტურაში პროგრესული ხალხური ტრადიციებისადმი, მთელი საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ერთიანობისადმი ერთგულება. საჭიროა ადამიანთა სპეციფიკური ცხოვრების პირობებისათვის ანგარიშის გაწევა, რადგან ისინი ყველასათვის.

ერთნაირი არასდროს იქნება, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი ვერასდროს იცხოვრებენ ერთნაირ კლიმატურ-საყოფაცხოვრებო პირობებში, ერთნაირ სახლებში. ალბათ შეუძლებელია ისინი ვაიძულოთ იმუშაონ შრომის ერთნაირი იარაღებით, მიიღონ ერთნაირი აღზრდა, ჰქონდეთ დასვენების ერთნაირი პირობები. მრავალფეროვნება იქმნება ცხოვრების ზემოხსენებული პირობების წყალობით, მის გარეშე კი ცხოვრება არ იქნება სრულფასოვანი.

მიუხედავად იმისა, რომ დღემდე გრძელდება დავა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების საინტერესოდ ჩატარებაზე (რომ მეტად იქნეს გამოყენებული თამაშობანი), ან ფიზიკური ვარჯიშების თამაშის ფორმით ჩატარებაზე, მაინც ძველებურად, სტანდარტულად ტარდება გაკვეთილები. ისევ ერთი და იგივე მოსაშზადებელი ვარჯიშები გამოიყენება თითქმის ყველა კლასში, ხოლო ზოგი მასწავლებელი ამით ამაყობს კიდევ. და ეს მაშინ, როცა ამის თაობაზე არაერთხელ დაიწერა, ცხარე კამათიც იმართებოდა პრესაში და სხვადასხვა თათბირებზე, თითქმის ყველა თანახმაა, რომ თვითეული გაკვეთილი განსხვავდებოდეს წინა გაკვეთილისაგან თავისი შემოქმედებითი მიდგომით, სიახლის ძიებით, მიზანდასახულობით.

საერთაშორისო სარბიელზე საბჭოთა სპორტის გასვლამ (ძირითადად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ) გვაიძულა ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში ანგარიში გაგვეწია სპორტსმენთა მომზადებაში მსოფლიო გამოცდილებისათვის და ამავე დროს, თითქმის მთლიანად გადავრთულიყავით სპორტის საერთაშორისო სახეობათა კულტივირებაზე. ამით ჩვენ გავხდით მსოფლიოში სპორტის განვითარების საქმის აქტიური მონაწილენი და თვით მოთავენიც კი. მაგრამ არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ მათ გვერდით არსებობს საერთო და ფიზიკური აღზრდის ადგილობრივი საშუალებანი, ხალხური მეთოდები და მეცადინეობის მასობრივი ფორმები. მათი მოსპობა კი არაა საჭირო, არამედ, პირიქით — განვითარება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველმხრივ უწყობს ხელს პროგრესული ეროვნული კულტურის განვითარებას. ამიტომ ჩვენ უფლებამოსილები ვართ ვამტკიცოთ, რომ მოცემულ შემთხვევაში ეროვნული ფიზიკური კულტურა კიდევ უფრო განამტკიცებს კავშირს თანამედროვეობასთან და მის შესატყვისად სრულყოფილი გახდება. ამ მხრივ არ შეიძლება დაეთანხმო მტკიცებას, თითქოს „თანამედროვე ეტაპზე სპეციფიკურის ელემენტები თანდათანობით კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას“¹².

¹² საკავშირო სამეცნიერო-თეორიული ჟურნალი „ტეორია და პრაქტიკა ფიზიკესკოი კულტურის“, 1975, № 2, გვ. 65 და სხვ.

თანამედროვე პედაგოგიაში, თავს იჩენს შეხედულებები, რომლებიც ანგარიშს უწევენ კონკრეტული ხალხის კულტურის, ყოფის, ეთნიკური და სხვა პირობების მნიშვნელოვან თავისებურებებს.

აბსტრაქციის პირველი ფაზაა „გრძნობადი კონკრეტულობიდან“ აბსტრაქტულისაკენ სვლა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ამის შემდეგ უნდა ვიაროთ „აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ“. აი, სწორედ ეს გვაკლია ჩვენ ფიზიკური კულტურის თეორიასა და მეთოდოლოგიაში. არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ მოვლენის დამახასიათებელი თვისება და გამოვყოთ მხოლოდ ისინი, რომლებიც ზოგადია, მოვწყდეთ ობიექტურ სინამდვილეს. ფაქტიურად, ასეთი აბსტრაქცია ლოგიკურ დაპირისპირებამდე მიდის. საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის ტოლობის ნიშნის დასმა ყველაფერში არ შეიძლება. მაგრამ სოციალიზმის პირობებში მცხოვრებ ხალხებს ბევრი რამ საერთოც აქვთ.

პედაგოგიკამ უნდა გაითვალისწინოს აღსაზრდელის ყველა თავისებურება, როგორც ამათ აკეთებს მედიცინა და სხვა დისციპლინები. ალტაცებას იწვევს ხალხური პედაგოგიკის ეროვნული წყაროები. იგი სრულებითაც არ უპირისპირდება ზოგადსაკაცობრიო აღზრდის თანამედროვე ამოცანებს, პირიქით, ყოველმხრივ ეხმარება მას. ხალხური პედაგოგიკის საუკეთესო პროგრესული საშუალებები კი არ უნდა გავმიჯნოთ იმისაგან, რასაც დღეს არ დაუქარავს თავისი პედაგოგიკური მნიშვნელობა, არამედ უნდა გამოვიყენოთ შესაბამისად; არ შეიძლება უკუვაგდოთ ისეთი ღირებული მონაპოვარი, როგორიცაა ზნეობრივ-ესთეტიკური აღზრდის ხალხური მეთოდები და საშუალებები; უნდა ავიმალლოთ ხმა მაღალი შეგნების აღზრდაში პროგრესული ტრადიციების, საზოგადოებისადმი სამსახურის მოვალეობის, მამაცი მებრძოლისა და მშრომელის იდეისადმი ერთგულების აღზრდის ხალხური გამოცდილების დასაცავად. ეს გააძლიერებს და დააზუსტებს ხალხის ისტორიის, და მათ შორის, ხალხური აღზრდის ბევრ საკითხს. უფრო მეტიც, ფიზიკური აღზრდა ექვემდებარება ადგილობრივ პირობებს, რაც თავს იჩენს თავისებურებაში, და ქვეყნის საზღვრებს გარეთ გასვლის საშუალებას იძლევა (ტრადიციები თავს იჩენენ მაშინ, როცა გვაქვს პრეცედენტი). უნდა ვისწრაფოდეთ იქითკენ, რომ სპორტის ტექნიკური სახეობების „მოწოლა“ არ გახდეს ფიზიკური აღზრდისა და ეროვნული სპორტის გამოყენებითი საშუალებების შემდგომი განვითარების შემაფერხებელი ზღუდე.

ფიზიკური აღზრდის თანამედროვე თეორია და მეთოდოლოგია, ისე როგორც ზოგადი პედაგოგია, პედაგოგიური მეცნიერების ღირსეული მონაპოვარია. დამუშავებულია სწავლებისა და აღზრდის ძირითადი საკითხები, დასაბუთებულია ძირითადი პრინციპები და მეთოდები.

შემთხვევითი როდია, რომ პედაგოგიკური მეცნიერების ბევრი დარგი ძალზე წარმატებით ახერხებს ზოგადპედაგოგიური დებულებების კონკრეტიზირებას იმ თავისებურებებითა შესატყვისად, რითაც ისინი ხასიათდებიან. ამავე დროს, მხედველობაში იღებს რა საზოგადოების განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს დემოკრატიზაციისა და საქაროობის გაძლიერებაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების უსწრაფეს ტემპებს, მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ივიწყებს ცხოვრების კონკრეტულ პირობებს, მათ შორის კლიმატურ-გეოგრაფიულს, ეთნიკურს და სხვ.

ხალხური პედაგოგიკა ეხმარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოთხოვნებს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის შესახებ. თუ გამოვალთ პარტიული პოზიციებიდან, მხარი უნდა დაუჭიროთ ყოველივე იმას, რაც ხალხიდან მომდინარეობდა, ეს კი არა მარტო ჭანსალი პატრიოტიზმის, არამედ ინტერნაციონალიზმის ფუნდამენტიცაა. ჩვენი პედაგოგიური პრობლემა საერთო-სახალხო ინტერესების სფეროში აღმოჩნდა და ფიზიკური კულტურის ჩარჩოებს გასცდა. ეროვნული კოლორიტის შენარჩუნებამ და საერთოდ, პატივისცემით მოპყრობამ პროგრესული მემკვიდრეობისადმი, უნდა უზრუნველყოს ფიზიკური აღზრდის პედაგოგიური არსენალის საუკეთესო მოდელის შექმნა. ხალხური პედაგოგიკის შესწავლა საშუალებას მოგვცემს, რათა მოზარდი თაობის აღზრდის ხალხური გამოცდილებიდან გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები და სხვადასხვა პედაგოგიური მიმდინარეობის შედარების საფუძველზე გავაუმჯობესოთ აღზრდის მთელი პროცესი.

ხალხური პედაგოგიკა მთიელთა ყოფაში ყოველ ფეხის გადადგმაზე იგრძნობოდა. ყველა თამაში თუ რიტუალი, რომელიც დღემდე შემონახულია და საანალიზოდ ხელი მიგვიწვდება, ხალხური პედაგოგიკის დაუწერელ წესებს ემორჩილება. ბევრი მათგანი იმდენ მიმზიდველ და უხვ ნედლ მასალას შეიცავს, რომ საქმეში ჩახედულ კაცს უადვილდება მისი გარდაქმნა, გადაკეთება და თანამედროვეობის სამსახურში ჩაყენება.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის ხალხური სახეობების როლი მავნი ტრადიციებთან ბრძოლაში

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობა გასწია მშრომელთა შეგნებულობის, მათი იდეურ-მორალური დონის ამაღლებისათვის. აღადგინა ცხოვრების ლენინური ნორმები და სწორი გზით წარმართა მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდების აღზრდა. ეს საკითხი ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს ესება და რასაკვირველია, ფიზიკურ კულტურასაც.

ადამიანის ცხოვრებაში ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა ოდითგანვე განსაზღვრული რიტუალით აღინიშნებოდა. ზოგიერთი მათგანი მტკიცედ დამკვიდრდა ხალხის ყოფაში, მისი აუცილებელი ატრიბუტი და ცხოვრების თანამგზავრი გახდა. ასე იქმნებოდა და ეყრებოდა საფუძველი ტრადიციას.

როგორც ცნობილია, ტრადიციაში იგულისხმება ისტორიულად ჩამოყალიბებული, თაობიდან თაობაზე გადაცემული ადამიანთა ურთიერთობისა და კავშირის საფუძველზე შექმნილი სხვადასხვა წესები და ადათები, ყოფა-ქცევის ნორმები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა ადამიანის სულიერი და ყოფითი ცხოვრების საფუძველზე. ტრადიცია საზოგადოების განვითარების აუცილებელ პროცესთან ერთად მუდმივ განვითარებას განიცდიდა.

საზოგადოება ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების გარეშე წარმოუდგენელია. სწორედ ტრადიციებსა და მთელ რიგ ზნე-ჩვეულებებშია ისტორიულად ასახული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პირობები, ხალხთა შორის ურთიერთკავშირი, მათი დამოკიდებულება გარემოსთან.

ტრადიციები — ადამიანთა ამა თუ იმ ჯგუფის თავისებურებასთან დაკავშირებული ჩვეულებების, ადათების, შეხედულებებისა და სხვა, კონგლომერატია. იგი ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურის კუთვნილებაა, ხოლო მისი საწყისები წმინდა ხალხურია. სწორედ ტრადიციების მეშვეობით მტკიცდებოდა და ვითარდებოდა წინა თაობების გამოცდილებანი, ქცევის მორალური მოთხოვნები. მაგრამ,

დროთა ვითარებაში ზოგი გადაგვარდა, მახინჯი ფორმა მიიღო, ზოგი რელიგიამ გამოიყენა, ზოგი წმინდა კლასობრივ მოვლენად იქცა და ა. შ.

ჩვენი მიზანია სწორად მივეუდგეთ ფიზიკური კულტურის ტრადიციების საკითხს, არ გამოვიტანოთ ნაჩქარევი დასკვნები. ყველაფერი კი არ უნდა უარყოფთ, რაც ძველია, არამედ გამოვყოთ პროგრესული ელემენტები და შევახამოთ ისინი ახალ სოციალისტურ ტრადიციებთან.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა მეცნიერულად შევისწავლოთ ტრადიციებისა და ცალკეულ წეს-ჩვეულებათა წარმოშობის საკითხები, მათი განვითარების ეტაპები, დადებითიდან უარყოფითში (ან პირიქით) გადასვლის პირობები, განსაკუთრებით უარყოფითი ტრადიციების შემორჩენის, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში, მათი გაფართოების ან სახეცვლილების კონკრეტული მიზეზები, რათა მათთან ბრძოლა უფრო რეალური და ეფექტური იყოს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ პრინციპულადაა მითითებული, რომ სოციალისტურ ყოფაში დაუშვებელია რაიმე ისეთი ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების მოთმენა, რომლებიც მორალურად თუ მატერიალურად ზიანს აყენებს ცხოვრების სოციალისტურ წესს. ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს პიროვნების თავისუფლებისა შეზღუდვას, მით უმეტეს ხალხური ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების აკრძალვას. ადამიანი ვერ იარსებებს სათანადო ტრადიციებისა და რიტუალების გარეშე. ადამიანის ცხოვრების ბუნებრივი თანამგზავრი იყო და რჩება მთელი რიგი მოქალაქეობრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ზნე-ჩვეულებები და ტრადიციაში გადაზრდილი ქცევის ფორმები. ამათ რიცხვს, ბუნებრივია, მიეკუთვნება როგორც, სასიამოვნო ამბებთან, ისე არასასიამოვნო შემთხვევებთან დაკავშირებული რიტუალები.

ჩვენ ვალდებული ვართ თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ, შემოვიზნახოთ და შეძლებისადაგვარად გავაუმჯობესოთ ფიზიკური კულტურის საუკეთესო ტრადიციები. უფრო მეტად ჩავაყენოთ ისინი თანამედროვე საზოგადოების, ხალხთა მასების სამსახურში, მომავალ თაობას გადავცეთ კიდევ ერთხელ შემოწმებული, გაცხრილული, ხალხთა ყოფაში შემორჩენილი და მასთან შესისხლხორცებული ტრადიციები, ანუ მხოლოდ ის ტრადიციები, რომლებიც პროგრესულია და ახალი ადამიანის შემოქმედებით ცხოვრებას უფრო გააღამაზებს და სისხლსავეს გახდის. პროგრესული ტრადიციების აღდგენა და დანერგვა საბჭოური ფიზიკური კულტურის ინტერნაციონალიზაციის

ერთ-ერთი ნაცადი გზაა. იგი ხელს უწყობს ურთიერთგაგებას. ეროვნული სახეობები — ფიზიკური აღზრდის ქმედითი საშუალებები — არ უნდა მიეცეს დავიწყებას, ისევე როგორც არ უნდა დაიკარგოს ყოველი ხალხის დადებითი ისტორიული გამოცდილება, რათა არ შენეღდეს პრაქტიკული მეცადინეობების მასტიმულირებელი მომენტები, აქედან გამომდინარე, არ უნდა დაეცეს ვარჯიშებისადმი ინტერესი. ასეთია ამ პრობლემის ერთ-ერთი მთავარი მხარე, რომლის დამუშავება და პრაქტიკაში დანერგვა ჩვენი ფიზკულტურული ორგანიზაციების ვალია.

ტრადიციებმა და სხვადასხვა ზნე-ჩვეულებებმა დიდი როლი შეასრულეს ადამიანთა ხასიათის ჩამოყალიბებაში, მისი „მეობის“ დამკვიდრებისათვის ბრძოლაში, აქედან კი საერთოდ საზოგადოების განვითარებაში. შრომისმოყვარეობა, ფიზიკური წრთობა, თავისუფლებისათვის ბრძოლა, აღმზრდელის, ქალის პატივისცემა, მეზობლებთან მჭიდრო ურთიერთობა, სტუმართმოყვარეობა — ისტორიულად ჩამოყალიბებული საუკეთესო ტრადიციებია. სწორედ ეს ტრადიციები უზრდიდა ჩვენს ხალხს სამშობლოს ერთგულ ვაჟაკებს, ზოგი ფიქრობს, რომ ტრადიცია ის არის, რასაც ადამიანისათვის მხოლოდ სიკეთე მოაქვს. ეს არ არის სწორი. ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ უარყოფითი ტრადიციების არსებობას. სამწუხაროდ, ეს ფაქტია. ადამიანთა საზოგადოებაში არსებობენ არა მარტო დადებითი, არამედ უარყოფითი მოვლენებიც, რომელთა ნაწილი თავის დროზე ტრადიციად იქცა. სულ სხვაა, რომ ყველა ჩვენთაგანი ერთნაირად უნდა ებრძოლოს ყოველგვარ დრომოკმულ, დღეს მიუღებელ, მანე, მანკიერ კუთხურ ტრადიციებს. ტრადიციებს, რომლებიც სახელს უტეხენ ხალხს, აფერხებენ საზოგადოების განვითარებას. უნდა გავითვალისწინოთ, ისიც, რომ საუკუნოვანი ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლა ადვილი არ არის. ამიტომაც, რომ პრინციპული დებულებები უნდა გადაწყდეს პირველ რიგში კულტურისა და ყოფის ყველა დარგების მიმართ და შემდეგ თანდათანობით გაიშალოს ბრძოლა მათ წინააღმდეგ. ეს ბრძოლი უნდა წარმოებდეს სისტემატურად, მეთოდურად, აქ კამპანიურობა არ გამოდგება.

წინამდებარე ნაშრომი ფიზიკური აღზრდის ქართულ ხალხურ პედაგოგიკაზე არ იქნება სრულყოფილი, თუ ჩვენ გაკვრით მაინც არ აღვნიშნავთ ამ დიდ საქმეში რელიგიის წვლილზე. ქართველობა საუკუნეების მანძილზე თავის მიწა-წყლის დასაცავად ქრისტიანული დროით იბრძოდა.

ქრისტიანული რელიგია ხალხური იდეოლოგია იყო. მას ჩამოყალიბებული ჰქონდა თავისი ზნეობრივ-ესთეტიკური კოდექსი, რომელიც ადამიანთა (მორწმუნეთა) სულიერ აღზრდას გულისხმობდა,

მაგრამ ამავე დროს არ იფიქრებდა ხალხთა ფიზიკურ აღზრდას, რადგანაც იცოდა, რომ მრევლი, რომელსაც იგი განაგებდა, მისივე იდეოლოგიის დამცველი უნდა ყოფილიყო, დაცვას კი სჭირდებოდა ფიზიკური სიძლიერე. ამისათვის კულტის მსახურნი მრავალ მასობრივ ღონისძიებას ატარებდნენ. რელიგიამ შექმნა და დააყანონა დღესასწაულები (წმინდაგიორგობა, მარიამობა, ათენგენობა და სხვ.), სადაც რელიგიურ ქადაგებასთან ერთად ხალხის მოზიდვისათვის აწყობდა, სხვადასხვა სანახაობებს, რომლის პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა თამაშობებს, სპორტულ ვარჯიშებს (ქართული ჭიდაობა, ცხენოსნობა). ეს არ იყო ხალხის უბრალო თავშეყრა. წმინდა რელიგიური რიტუალის გარდა, დღესასწაულებზე იმართებოდა საქმიანი მოლაპარაკებები, ტრიალებდნენ მაქანკლები, ეწყობოდა ვაქრობა, საქონლის გაცვლა-გამოცვლა, დროსტარება, სპორტული შეჯიბრებები და სხვ. ყოველივე ამან გარკვეული კვალი დაამჩნია საზოგადოების წინსვლას. ამ შემთხვევაში ჩვენ გვინტერესებს პროგრამის ის ნაწილი, რომელიც ფიზიკურ ვარჯიშებსა და მოძრაობებს ეხება. სარბიელზე თუ ცხენთა სარბენ ბილიკზე ყველა მონაწილე ცდილობდა პირველი ადგილის მოპოვებას. ამისათვის საჭირო იყო წინასწარი ვარჯიშობა — წვრთნა, რომელიც სპეციალური პროგრამით, თუმცა ინდივიდუალურად, ტარდებოდა. ეს პროგრამა დაწერილი არ იყო. მაგრამ არსებობდა ხალხის შეგნებაში და თვითუღმა მონაწილემ იცოდა, რის შემდეგ რა უნდა გაეკეთებინა, რათა, როგორმე თავი გამოეჩინა ამ ხალხურ დღესასწაულზე დამსწრეთა წინაშე. საერთოდ, არც ერთ რელიგიურ დღესასწაულს უქმად არ ჩაუვლია. შეჯიბრებები მიმდინარეობდა წესების ზუსტი დაცვით, ერთდროულად წვრთნის მეთოდისა და შეჯიბრების ჩატარების წესების დაზუსტება-დახვეწა ხდებოდა. რელიგიურმა დღესასწაულებმა შემოგვინახა ხალხური სპორტისა და ხალხური თამაშების უმრავლესობა.

საერთოდ, ცალკე უნდა იქნეს შესწავლილი და გამომზეურებული რელიგიის როლი ერის ფიზიკურ აღზრდაში.

უკანასკნელ ხანს დიდი ყურადღება ეთმობა არსებული ხალხური დღესასწაულების მოწესრიგებას, მათ ჩაყენებას ადამიანის აქტიური დასვენება-გართობის სამსახურში. პრესაში არაერთი წერილი გამოქვეყნდა, რომლებშიც ეხებოდნენ სახალხო დღესასწაულების მოწესრიგებას და ახლის შექმნას. საზოგადოების აქტიური ჩარევით შეიქმნა ახალი დღესასწაულებები: ყვავილებისა და გაზაფხულის, მწყემსისა, ვეჯობა, შოთაობა, ილიაობა და მრავალი სხვა. მათ მტკიცედ მოიკიდეს ფეხი საბჭოთა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ყოფაში და საკმაო პოპულარობით სარგებლობენ.

ფიზიკურ კულტურასა და სპორტში, ეთნოგრაფიასა და სხვა მომიჯნავე დარგში მომუშავე საბჭოთა სპეციალისტებმა საქმიანობა

უნდა წარმართონ იქითკენ, რომ გამოიკვილონ ხალხების ყოფაში შემორჩენილი ფიზიკური ვარჯიშები და მოძრავი თამაშები, მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც რელიგიურ დღეობებზე ასრულებენ, დახვეწონ და თანამედროვეობას შეუფერადონ ისინი. ასეთ ღონისძიებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი დაკავშირებულია სოფლად ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვასთან, სადაც მუშაობა ამ დარგში არ დგას სათანადო სიმაღლეზე. სოფლად შენარჩუნებული უნდა იქნეს თავშეყრის ადგილები. უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი წინაპრები სოფლის შუაგულში, ცაცხვისა და კაკლის ხეების ქვეშ, როგორც ზოგს ჰქონია, კი არ ლაყბობდნენ, არამედ მრავალ საჭირობოტო საკითხს არჩევდნენ, აგრეთვე აჯიბრებდნენ ერთმანეთს პატარებს, სინჯავდნენ მათ ვარგისიანობას მომავლისათვის, ამხნევებდნენ, ასწავლიდნენ და ა. შ. ასეთმა თავყრილობებმა შემოგვინახა ძველი თამაშები, ფიზიკური ვარჯიშები.

ხალხური ფიზიკური ვარჯიშებისა და მოძრავი თამაშების უმრავლესობა მარტივია, მაგრამ კოლორიტული და მიზნიდველი. ხალხურ სახეობებში სისტემატურმა მეცადინეობებმა და შეჯიბრებებმა შექმნა თავისებური ტრადიცია, რომელიც ხასიათდება ცხოველყოფილობით, სიბრძნითა და უშუალობით. XIX საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე სერგეი მესხი წერდა: „რა დააშავა ჩვენებურმა ჩოხამ, ახალუხმა, ქუღმა, თავსაკრავმა? რითია სხვა თამაშებზე ნაკლები ჩვენი ბურთაობა, კიდაობა, ფალავნობა, ჯირითობა? ცვლილება გვქირდება, მაგრამ ისეთი კი არა, რომელიც თან ჩვენს გაუფარულებას მოიტანს“ (თხზ. ტ. 1, 1962, გვ. 435).

ხალხური დღეობების მოდერნიზება საშუალებას მოგვცემს განვაფიქროთ სპორტის არა მარტო ადგილობრივი, ხალხური, არამედ, საერთაშორისო სახეობებიც. სასურველია ღონისძიებები, პირველყოვლისა, ჩატარდეს რაიონში პოპულარულ სახეობებში. შეიძლება ამ დღისთვის კვალიფიციურ სპორტსმენტა მოწვევა და საჩვენებელი გამოსვლების გამართვა, შეჯიბრების ფართო რეკლამირება ადგილობრივი პრესის საშუალებით, ასეთი ხასიათის შეჯიბრების შემდეგ ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა უნდა შეაჯამონ მისი შედეგი, თუ რამდენად მიაღწია მიზანს ღონისძიებამ, სად დაუშვით შეცდომები, რათა შემდეგისათვის ყველაფერი იქნეს გათვალისწინებული.

მაგნე ტრადიციები ახალგაზრდების შეგნებაში ბავშვობიდანვე უნდა აღმოვფხვრათ, რომ მერე გვიან არ იყოს. ამ საქმეში ჩვენ, ფიზკულტურისა და სპორტის მუშაებს, დიდი წვლილის შეტანა შეგვიძლია, ჩვენს ხელშია სანახაობათა ის ნაწილი, რომელსაც ხალხი თავდავიწყებამდე ეტანება.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ხალხურ-ეროვნულ
საშუალებათა როლი და ადგილი თანამედროვე
სოციალისტურ საზოგადოებაში

ფიზიკური კულტურის საბჭოური სისტემის ერთ-ერთი მიზანია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ხალხურ-ეროვნული საშუალებების ფართოდ განვითარება, რაც გულისხმობს მათ ორგანულ შერწყმას საერთაშორისო სახეობებთან. საამისოდ ფართოდაა გაშლილი საკვლევი მუშაობა, მეცნიერები იცავენ დისერტაციებს, საკმაოდ ქვეყნდება მონოგრაფიები, ამ საკითხების გაშუქებას პრესა აქტიურად ეხმარება, გამოდის მეთოდური ლიტერატურა (შეჯიბრების წესები, პრაქტიკული რეკომენდაციები და სხვ.), ბევრ რესპუბლიკაში თავისი საკუთარი სპორტული კლასიფიკაციაც კი დაამუშავეს. მეცნიერ გ. აბსალიამოვის მონაცემების მიხედვით¹. უკიდურეს ჩრდილოეთში კლიმატური და სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით, თითქმის მთელი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა აგებული იყო ადგილობრივ საშუალებებზე, როგორცაა ირმებისა და ძაღლების რბოლა, ქამანდის ან ცულის ტყორცნა, ნართებზე ხტომები და სხვა მრავალი. აქეთ, სამხრეთისაკენ პოპულარობა მოიპოვეს ხალხურმა ჭიდაობამ, ცხენოსნურმა თამაშებმა და სხვ. როგორც ვხედავთ, მუშაობა მიმდინარეობს. საბჭოთა სპორტულმა მოძრაობამ საერთაშორისო სარბიელზე ჯერჯერობით მხოლოდ სამბო გაიტანა. ამ საქმეში დიდ წარმატებას მიაღწია იაპონიამ (სუმო, კარატე, ძიუდო), ინდოეთმა (ბალახის ხოკეი).

1956 წელს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ რუსეთის ფერედაციის მიმართ სპეციალური დადგენილება გამოიტანა. დადგენილება რეკომენდაციას იძლეოდა ყოველმხრივ განვითარებინათ სპორტის ეროვნული სახეობები, რომლებიც ფართო პოპულარობით სარგებლობენ რესპუბლიკებში, ოლქებსა და რაიონებში. ბუნებრივია, ეს გამოიწვევდა ფიზიკური კულტურის ყველა პროგრესული საშუალების განვითარებას, ხოლო ზოგიერთი მათგანის სპორტის დამოუკიდებელ სახეობაში გადაზრდას.

ამ მიმართებით ჩვენს რესპუბლიკაში კარგა ხანია რაც მიმდინარეობს კვლევითი მუშაობა, გამოვლენილია და აღწერილია აურაცხელი ფაქტიური მასალა მთელი რიგი მკვლევარების მიერ, აღწერილია ქართული ხალხური მოძრაი თამაშები და ფიზიკური ვარჯიშების დიდი რაოდენობა, დამუშავებულია და გამოქვეყნებული ფაქტიური

¹ გ. შ. აბსალიამოვი. ნენეცთა ხალხის სპორტის ეროვნული სახეობები. პედაგოგიური მეცნიერების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციის ავტორეფერატი, 1963.

მასალის შეკრებისა და ფიქსაციის მეთოდოლოგია (ალ. რობაქიძე, ვ. ელა-შვილი). გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზე კონკურსიც კი ჩატარდა ახალი, მანამდე ლიტერატურაში უცნობი მოძრავი თამაშებისა და ფიზიკური ვარჯიშების აღწერაზე, თბილისის სკოლების მოსწავლეთა საბავშვო დღესასწაულზე დემონსტრირებული იყო ქართული ხალხური მოძრავი თამაშები (ნ. შიშნიაშვილი). გამოსულია მთელი რიგი კრებულები (ნ. შიშნიაშვილი, ზ. შერაზადაშვილი, ნ. ლოლობერიძე. საქ. განათლების სამინისტროს სასწავლო-მეთოდური ცენტრის ავტორთა კრებულები და სხვ.). უფრო ადრე აღდგენილია და კოდიფიცირებული ცხენოსნური სპორტული თამაშების ნაწილი. ფიზიკური კულტურის სასწავლო ინსტიტუტში დამუშავდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ხალხურ-ეროვნულ საშუალებათა არსის თეორიული საკითხები და დადგინდა მათი განვითარების ძირითადი ეტაპები. ჩვენს რესპუბლიკაში, პირველად საბჭოთა კავშირში, სპორტის ხალხურ-ეროვნულ სახეობებში შემოღებულია სპორტის ოსტატობის საპატიო წოდება. სპორტის ეროვნული სახეობები შემდგომ შეტანილ იქნა „ერთიან საკავშირო სპორტულ კლასიფიკაციაში“. ამას მოჰყვა ხალხურ-ეროვნული სახეობების რესპუბლიკაში დანერგვის პერსპექტიული გეგმის შემუშავება.

1972 წელს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და მაშინდელი ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის“ ინიციატივით აღდგენილ იქნა სპორტის ეროვნულ სახეობებში რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩატარების პრაქტიკა. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ სპარტაკიადის პროგრამა თანდათანობით ფართოვდება.

საქართველოსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში ეროვნული ფიზიკური ვარჯიშებისა და მოძრავი თამაშების პრაქტიკაში გამოყენებამ ცხადად დაგვანახა, რომ იგი ფიზიკურ კულტურასა და სპორტში სისტემატურ მეცადინეობებში მიზიდვის საუკეთესო საშუალებაა და სათანადო ანალიზისა და გადამუშავების შემდეგ დიდ სარგებლობას მოუტანს სკოლამდელი დაწესებულებების, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და საწარმოო დაწესებულებების, განსაკუთრებით კი სოფლის ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობის გამოცდილებას.

სკოლამდელ დაწესებულებათა პროგრამებში ხალხური თამაშების ჩართვის ცდამ, გარდა იმისა, რომ სათანადოდ გაუხსნა გზა ბავშვთა ფიზიკურ განვითარებას, მათ ზრდას, ორგანიზმის გააქვებას, გააფართოვა სხვადასხვა ხასიათის გამოყენებითი მოძრაობითი ჩვევები, სპეციალური ცოდნის მიღებისა და ზემოხსენებული საშუალებების დამოუკიდებლად შესრულების შესაძლებლობანი.

იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ასაკობრივ ჯგუფში ფიზიკური აღზრდა მკიდროდა და დაკავშირებული ზნეობრივ აღზრდასთან, ხალხური თამაშები ორივე ამ ფაქტორის განვითარებას ხელს უწყობს. ამიტომ აქედანაც უნდა ველოდოთ დიდ ეფექტს. ამ გზით აღსაზრდელს ჩამოუყალიბდება ურთიერთდახმარების, დისციპლინიანობის, პატიოსნების, შრომისმოყვარეობის, თავდაპყერილობისა და შეუპოვრობის გრძნობა. სწორად შერჩეული ხალხურ-ეროვნული მოძრავი თამაშები დიდ გავლენას მოახდენს ბავშვის ესთეტიკურ გემოვნებაზეც.

საბავშვო დაწესებულებებში (ბაგა, საბავშვო ბაღი, სამკურნალო დაწესებულებები), სადაც ყველა საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი მუშაობა სათანადო პროგრამების მიხედვით ტარდება, ფიზიკური აღზრდის ხალხური საშუალებების ჩართვას წინ უნდა უძღოდეს მოსამზადებელი მუშაობა: საშუალებების შერჩევა, სისტემატიზაცია, უნიფიკაცია-და აპრობაცია.

არანაკლებ მნიშვნელობას იძენს ხალხური თამაშებისა და სპორტის სახეობების გამოყენება ისეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, როგორცაა საბავშვო ქალაქი, მოედნები, სადაც ბავშვები, ფაქტიურად, სათამაშო ქცევის შერჩევისას თავიანთ ნებაზე არიან შიშვებულნი. აქ გემართებს დიდი სიფხიზლე, რათა ისინი არ მიეჩვიონ ისეთ თამაშებს, რომლებიც უცხო ზნეობრივ თვისებებს, ეთიკურ საქციელს უყალიბებენ, და არ პასუხობენ ჩვენი საზოგადოების მოთხოვნებს.

ამ საქმეში რეალური დახმარება შეიძლება გაუწიონ სახლმმართველობათა მუშაკებმა, მშობელთა საბჭომ, საშეფო ორგანიზაციებმა...

მაგრამ საქმე ისაა, რომ ფიზიკური კულტურის ზოგიერთი მუშაკი თვითონ არ იცნობს ფიზიკური აღზრდის ხალხურ საშუალებებს, ან შემოტანილი (ევროპული) საშუალებების ტყვეობაშია. ამ საკითხებს არ ასწავლიან სკოლებში, ტექნიკუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში. თუ სოფლის პირობებში ეს პრობლემა აღზრდის შემორჩენილი ტრადიციების საფუძველზე, ასე თუ ისე, გადაჭრილია, ქალაქებში იგი მთლიანად თვითდინებაზეა მიშვებული.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საშუალო სკოლა ახალი ადამიანის ჩამოყალიბების ის რგოლია, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს ამ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანის წარმატებით შესრულებას. ამიტომაც, რომ სკოლას, ასაკობრივი განვითარების ეტაპზე, ყოველმხრივი ფიზიკური მომზადების ამოცანათა გადაწყვეტის ფუძემდებლური მნიშვნელობა ეძლევა.

ფიზიკური კულტურის სასწავლო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე ფორმები შესაძლებლობას გვაძლევენ ფართოდ გამოვიყენოთ ხალხური საშუალებები განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ეროვნ-

ნულობის ნიშნით ერთგვარია მომეცადინეთა შემადგენლობა. ბუნე-
ბრივია, ეს, პირველ რიგში, ეხება სოფლის სკოლებს, მათ შორის
მცირეკომპლექტურ სკოლებს და პროფტექნიკური სასწავლებლების
ტიპის სასწავლო დაწესებულებებს, სასოფლო-სამეურნეო, ზოოვე-
ტერინალურ ტექნიკუმებს, რომლებიც ნაკლებადაა უზრუნველყოფი-
ლი სათანადო პირობებით (სპორტდარბაზი, მოწყობილობა, ინვენტა-
რი). რათა შესრულდეს სახელმწიფო პროგრამები, უნდა გამოვიყენ-
ოთ მოძრავი თამაშების ადგილობრივი, საკმაოდ მდიდარი ფონდი.
მათი ძირითადი ნაწილი უკვე შესწავლილია; ზოგი უკვე პასპორტი-
ზებული და შემოწმებულია. თანამედროვე პედაგოგიური ნოთხოვნე-
ბის შესაბამისად. გარდა ამისა, შეიძლება გამოყენებული იქნეს ის
სახეობებიც, რომლებიც შეესატყვისებთან სახელმწიფო პროგრამით გა-
თვალისწინებულ საშუალებებს, რომლებიც მოძრაობის დინამიკით
გვანან ხელყუმბარის ტყორცნას, მხოლოდ უფრო ელემენტარული
არიან, ვიდრე შუბის ტყორცნა, მაგრამ ავითარებენ იგივე ფიზიკურ
თვისებებს, და არ საჭიროებენ სპეციალურ მოწყობილობებს, მათ თვით
მოსწავლეები ამზადებენ. ამის ანალოგიაა ჭოკით სიგრძეზე ხტომა,
მშვილდოსნობა და სხვ. ყველა ზემოჩამოთვლილი სახეობის სწორად
გამოყენება მასობრივ ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში
დიდად შეუწყობს ხელს ტალანტების გამოვლენას, მათ შერჩევას სი-
სტემატურ, ე. ი. პროფილირებულ მეცადინეობაში ჩასაბმელად.
სეზონურ სახეობებს შეიძლება მიეკავთვნოთ რესპუბლიკის მთიან
რაიონებში კულტივირებული ორიგინალური სამთო (მოკლე) თხი-
ლამურები. საინტერესო ის არის, რომ მოკლე თხილამურებით და-
შვება შეიძლება არა მარტო ზამთრობით, არამედ ზაფხულობით და
შემოდგომითაც კი, როდესაც ბალახს მზე მოსწავს ხოლმე.

მხედველობაში ვიღებთ რა ხალხურ-ეროვნული სპორტის მნიშ-
ვნელობას საერთაშორისო სპორტული მოძრაობის საკითხების გადა-
წყვეტაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას სპორტის სახეობების
საკავშირო საბჭო, რომელსაც დაევალება კოორდინაცია და ფართო
პროპაგანდა და წინადადებების მომზადება საერთაშორისო ოლიმპი-
ური კომიტეტისათვის; ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებთან და სა-
ერთაშორისო სპორტულ ფედერაციებთან კომისიის (ან ქვეკომისიის)
ჩამოყალიბება, რათა მათ გამოავლინონ და შეისწავლონ სპორტის
ეროვნული სახეობები და იზრუნონ მათ პოპულარიზაცია და გავრ-
ცელებაზე. ამრიგად, ახალი სახეობების დანერგვა დაფუძნებული იქ-
ნება რაციონალურ საწყისებზე, ეს კი, თავის მხრივ, გამოთიშავს სა-
ერთაშორისო სპორტულ მოძრაობაში ფიზიკური აღზრდისათვის მა-
ზინჯ გამოვლინებათა შეღწევას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვიძლევი რეკომენდაციებს,
რომლებიც, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობენ ხალხური სპორტის შემ-

დგომ გამოვლენა-განვითარებას და აქედან, საერთოდ ფიზიკულტურულ-სპორტული მოძრაობის აღმავლობას.

რეკომენდაციები

1. პირველ რიგში უნდა შეიქმნას ფიზიკური კულტურისა და სპორტის ხალხურ-ეროვნულ საშუალებათა ფედერაცია საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტთან, ხოლო საქალაქო და რაიონულ ფიზიკულტურულ ორგანიზაციებთან სექციები. ამ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ სპორტის ხალხური სახეობების თეორიული და პრაქტიკული მუშაობის ყველა ასპექტის კოორდინაცია.

2. როგორც წესი, რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხალხურ-ეროვნულ სპორტში როგორც ცალკე, ისე კომპლექსური ხასიათის (სპარტაკიადების) შეჯიბრებების ჩატარება, პროგრამის თანდათანობით გაფართოებით.

3. ფიზიკური კულტურის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამუშაო გეგმებში ჭეროვანი ადგილი უნდა დაიკავოს ხალხურ-ეროვნულ საშუალებათა შემდგომი შესწავლის პრობლემებმა; გაფართოდეს საკვლევი საკითხების თემატიკა, მათი კულტივირების ააორგანიზაციო-მეთოდური საკითხების დამუშავება; განისაზღვროს ამა თუ იმ კონკრეტული სახეობის დანერგვის აუცილებლობა, სისტემატურად ჩატარდეს მუშაობა შერჩეული სახეობის აპრობაციასა და მათი რესპუბლიკის პრაქტიკაში დანერგვის მიზნით.

4. საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უნდა აღდგენს სპორტის ეროვნულ სახეობათა, ალპინიზმისა და ტურიზმის სექტორი.

5. ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქართველოს სახ. კომიტეტის საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელ საბჭოს დაევალოს:

ა) ფიზიკური კულტურის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორთან ერთად, სისტემატურად მოაწყონ კონფერენციები, სესიები და სიმპოზიუმები. საჭირო შემთხვევაში, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მეცნიერთა მოწვევით;

ბ) ფიზიკური კულტურის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა თავიანთი სამეცნიერო კონფერენციების პროგრამებში გაითვალისწინონ ხალხურ სახეობათა პრობლემების საკვანძო საკითხების განხილვა, საჭირო შემთხვევაში, სათანადო პრაქტიკული რეკომენდაციების მიღებით;

გ) ფიზიკური კულტურის სასწავლო ინსტიტუტი მიჩნეულ იქნეს ამ პრობლემის მოთავე ინსტიტუტად;

დ) ეთხოვოს განათლების სამინისტროს სათანადო ორგანოს ჩააბას სკოლების (განსაკუთრებით სოფლის) ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები ადგილობრივი ხალხური საშუალებების გამოვლენა-შესწავლისა და პრაქტიკაში დანერგვის საქმეში.

6. ფიზიკური კულტურის ინსტიტუტისა და ტექნიკუმის თეორიული დისციპლინების პროგრამებსა და სათანადო სახელმძღვანელოებში (ფიზიკური კულტურის თეორია და მეთოდოლოგია, ფიზიკური კულტურის მართვა და ორგანიზაცია, მოძრაობის თამაშები და სხვ.), განსაკუთრებით პედაგოგიურ ფაკულტეტზე, ჩართულ იქნეს სათანადო თემები, ხოლო მწვრთნელთა ფაკულტეტზე მათი პრაქტიკულად ათვისებაც. ზემოჩამოთვლილი საგნების პროგრამები შევსებულ იქნეს სათანადოდ დამუშავებული მასალებით.

7. უმაღლესი სასწავლებლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრებს დაევალოს თავიანთ პროგრამაში ჩართონ პროგრესული ხალხური ტრადიციები. ისინი გამოყენებულ იქნეს როგორც აკადემიურ გაკვეთილებზე, ისე მასობრივ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმ სახეობებს, რომლებიც მონათესავე არიან საერთაშორისო სახეობებისა (ქართული ჭიდაობა, ჭოკით სიგრიძეზე ზტომა, მშვილდოსნობა, მოკლე თხილამურებით სწრაფდაშვება, ლახტაობა და სხვ.). ამასთან, ორგანიზებულ იქნეს საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა და მსაჯების მომზადება.

8. სპორტის ეროვნულ სახეობებს უწინ გარკვეული ადგილი ეკავა ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა ფიზიკურ აღზრდაში. მაგალითად, თბილისის სახ. უნივერსიტეტში თავის დროზე დაინერგა ქართული ჭიდაობა, ცალკეული მოძრაობის თამაშები, ტარდებოდა ფაკულტეტებს შორის მასობრივი შეჯიბრებები. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახეობებმა დიდი ინტერესი გამოიწვია უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის, მათ რატომღაც თავი მიანებეს და სრულიადაც მიივიწყეს.

9. სტუდენტთა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში ქართულმა ტრადიციულმა სახეობებმა სათანადო ადგილი უნდა დაიკავონ, ამასთან, თანამედროვე მოთხოვნებს უნდა პასუხობდნენ. კათედრები მეტი სიყვარულით უნდა მოეკიდონ ხალხურ-ეროვნულ საუნჯეს. მისი გამოყენება საჭიროა არა მხოლოდ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე, შეიძლება მოეწყოს მასობრივი შეჯიბრებები, თამაშები, საჩვენებელი გამოსვლები.

10. უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებშიც რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან, მოძმე რესპუბლიკებიდან და უცხოეთიდან ჩამოსული ახალგაზრდები სწავლობენ, ქართული ხალხური სახეობების უნარიანად დანერგვა, გარდა ფიზიკური აღზრდის წინაშე დასმული-

ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისა, ხელს შეუწყობს ეროვნული სიმდიდრის პოპულარზაციას, ახალგაზრდების დაახლოებასა და შემ-
ქიდროებას, მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას, იგი ფიზიკური
კულტურის ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი გზაა. ახლადჩარცხუ-
ლი სტუდენტის ფიზიკური მომზადების დონის, სპორტული ბიოგრა-
ფიის შესწავლის დროს საჭიროა ყურადღება მიექცეს იმასაც, თუ
რომელ სახეობას მისდევდა იგი თავის სოფელში. ამით საშუალება
გვეძლევა გამოვძებნოთ, შევარჩიოთ ისეთი ახალგაზრდები, მათი შემ-
დგომი დახვეწისა და განვითარებისათვის, რომლებიც უკვე გააფულ-
ნი არიან ეროვნულ სახეობებში.

11. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მაღალი კვა-
ლიფიკაციის სპეციალისტმა, როგორც ცნობილია, ფიზკულტურულ-
სპორტული მუშაობის თავისებურებანი უნდა იცოდეს. რაოდენ სასარ-
გებლო იქნება, თუ ახალგაზრდას, რომელიც სოფელს მიაშურებს,
სპორტის საერთაშორისო სახეობების გარდა, ექნება ცოდნა-ჩვევები
ეროვნულ სახეობებში. ამიტომ უმაღლესმა სასწავლებლებმა მჭიდრო
საქმიანი კავშირი უნდა იქონიონ სათანადო ფიზკულტურულ ორგანი-
ზაციასთან, რომელსაც ამ საქმეში დიდი გამოცდილება აქვს.

12. ხალხური სპორტის, ფიზიკური აღზრდის ხალხური პედაგოგი-
კის საკითხებს სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს ფიზიკური კულტუ-
რის სასწავლო ინსტიტუტში. ფიზიკური კულტურის მაღალკვალიფი-
ციური, ფართოდ ერუდირებული კადრების მომზადებისას გათვალის-
წინებულ უნდა იქნეს სპორტის ეროვნული სახეობების ცოდნაც. ამ-
დენად, ეს საკითხები ფიზიკური კულტურის თეორიისა და მეთოდი-
კის პროგრამაშიც უნდა იყოს შეტანილი.

13. რესპუბლიკის ყველა ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ, პრე-
სის, რადიოსა და ტელევიზიის, აგრეთვე ლექციური პროპაგანდის სა-
ხით, გააფართოვონ ხალხურ სახეობათა მეცნიერული პროპაგანდა.

14. ორგანიზებულ იქნეს ხალხურ სახეობებზე როგორც საერთო
საკითხავი (ნარკვევების სახით), ისე სასწავლო-მეთოდური ლიტერატუ-
რისა და ქართული მოძრავი თამაშებისა და ფიზიკური ვარჯიშების
კრებულების გამოცემა.

15. ეთნოგოს კინემატოგრაფიის სახ. კომიტეტს განაგრძოს კინო-
ნარკვევების შექმნა ხალხურ მოძრავ თამაშებსა და სპორტის სახეო-
ბებზე.

16. წინადადება მიეცეს სახლმმართველობებს ეზოს სპორტულ მო-
ედნებზე და საზოგადოების დასვენების ადგილებზე მოაწყოს საჩე-
ნებელი გამოსვლები და შეჯიბრებები სპორტის ხალხურ სახეობებ-
ში.

ეს ნაშრომი გვინდა დავამთავროთ დიდი ილიას სიტყვებით — „წარსული მკვიდრი სძძირაკველია აწმყოსი, როგორც აწმყოსი—მომადი ისა“. ხალხური აღზრდა სათავეს უხსოვარი დროიდან იღებს, მ. იგი, როგორც მინდერის ყვაილი, ახლაც გვათრობს თავისი სუ. .ით, გვხიბლავს თავისი შნოთი და ლაზათით.

В. И. ЭЛАШВИЛИ

ГРУЗИНСКАЯ НАРОДНАЯ ПЕДАГОГИКА ФИЗИЧЕСКОГО ВОСПИТАНИЯ

Резюме

Проблема народной педагогики — одна из актуальных в коммунистическом воспитании, особенно в его органической части — физическом воспитании. Правильное решение этой проблемы будет способствовать органическому сочетанию в новом человеке духовного богатства, моральной чистоты и физического совершенства, что должно осуществляться с помощью сохранившихся в народном быту средств, методов и форм воспитательной работы и систематизации всего выявленного и переработанного конкретного материала.

При изучении проблемы физического воспитания горцев Грузии нами выявлена не только системность постановки ее, но и цепь взаимосвязанных представлений, мыслей, правил, критериев, традиций, что и дало возможность научно обобщить собранный опыт неписаной народной педагогики.

На основе научного анализа полевого этнографического материала мы постарались показать сущность народной педагогики, ее основные стороны, средства, формы и методы, роль старших в воспитании и др.

В работе особое место отведено роли народных средств физического воспитания и спорта и борьбе с вредными привычками и традициями. Конкретно представлены положительные результаты проводимой работы.

Работа завершается практическими рекомендациями, которые должны опосредствовать усилению этой борьбы и широкому распространению народных видов физического воспитания и спорта, наряду с дальнейшим развитием общераспространенных средств, а также массовому вовлечению людей в систематические занятия физической культурой и спортом.

წინათქმა	3
ფიზიკურა აღზრდის ძირითადი საშუალებები	12
ქაოთული კიდაობა	16
ბურთაობა	18
ლახტაობა	20
ქოყით სიგრძეზე ხტომა	21
მოკლე თხილამურები	25
მთიდან დაშვება	29
ხალხური პედაგოგიკა	32
ფიზიკური კულტურისა და სპორტის ხალხური სახეობების როლი შვენე ტრადიციებთან ბრძოლაში	60
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ხალხურ-ეროვნული საშუალებების როლი და ადგილი თანამედროვე სოციალისტურ საზოგადოებაში	65
რეკომენდაციები	69
В. И. Э л а ш в и л и, Грузинская народная педагогика физического воспитания (резюме).	73

ЭЛАШВИЛИ ВАСИЛИЙ ИВАНОВИЧ
 ГРУЗИНСКАЯ НАРОДНАЯ ПЕДАГОГИКА
 ФИЗИЧЕСКОГО ВОСПИТАНИЯ

ТБИЛИСИ
 »МЕЦНИЕРЕБა 1989

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3989

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ქვებენავა
 მხატვარი გ. ლომიძე
 მხატვრული რედაქტორი ი. სიხარულაძე
 ტექნორედაქტორი ნ. შოვნაძე
 კორექტორი ნ. შაჩაიძე
 გამომშვები ე. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 15.3.89; ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.8.89;
 ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆; ქალაქი № 1; ბეჭედა მაღალი;
 გარნიტურა ეენურო; პირობითი საბეჭდი თაბახი 4.5;
 პირ. სალ. გატ. 4.75; სადრიცხეო-საგამომცემლო თაბახი 4.12;
 ტირაჟი 1600; შეკვეთა № 753;

ფასი 80 კაპ.

Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380030, ул. Кутузова, 19
 გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380030, კუტუზოვის ქ. 19